ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 21 დღე



ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 167 (12 542) 18 ივლისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## ქართველებს მოლდოვიდან აძევებენ?

საქმე უკვე სასამართლოშია

»»» 2

## ძალიან მინდა, ინტერში ყველა ჩემნაირად აზროვნებდეს

ინტერვიუ ჟოზე მოურინიოსთან

»»» 8-9

# 1:1 ფერო და ჯორჯია 2:2
# თავსხმაში დაუმარცხებელია

## ორი წვიმიანი მატჩის დიდებული დასაწყისი



»»» 3

დიორი-ზესტაფონი



# ქართულ ოლიმპიურ დელეგაციას საქა-რთველო დაემატა

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

»»» 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამოს მეტოქე

# პანათინაიკოსი ძლიერდება და...

წესითა და რიგით, ფარერის ჩემპიონ "რუნავიკთან" თბილისში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ (3:0), თბილისის "დინამოს" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს.

ასეთ შემთხვევაში, მისი მეტოქე საბერძნეთის "პანათინაიკოსი" იქნება. როგორც ჩანს, ბერძნულ კლუბს დაცვაში უჭირს, რადგან კლუბის მეპატრონეებმა უკანახაზელების შეძენას მიჰყვეს ხელი.

აი, ბოლო ინფორმაციაც: "პანათინაიკოსის" ხელმძღვანელობას დაცვის ხაზის გასაძლიერებლად **ზურაბ ხიზანიშვილის** თანაგუნდელის, "ბლექბრნის" 34 წლის ჰოლანდიელი მცველის, **ანდრე ოოიერის** დამატება გადაუწყვეტა.

ოოიერი მხოლოდ ერთ-ერთი სავარაუდო შენაძენთაგანია. გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, "პანათინაიკოსი" პსჟ-დან **მარიო იეპესის**, "ჩელსიდან" კი 27 წლის **ჰალიდ ბელარუზის** გამოსყიდვას ფიქრობს – იუწყება იტალიური ინტერნეტ-სააგენტო "კარჩომერკატო".

**მერაბ მამულაშვილი**

# ...გუშინ ბანიკი დაამარცხა

ათენის "პანათინაიკოსმა" ლონდონის "არსენალის" ყოფილი ფორვარდი **ჟილბერტო სილვა** დაიმატა. სხვათა შორის, ჟილბერტო ბერძნულ ლიგაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება. ბრაზილიელი ფეხბურთელი წელიწადში 2 მილიონ ფუნტს მიიღებს.

გუშინ "პანათინაიკოსმა" ამხანაგური მატჩი ოსტრავის "ბანიკთან" გამართა და 2:0 გაიმარჯვა. მე-3 წუთზე **რუკავინამ** გახსნა ანგარიში, 61-ზე კი **ხრისტოდულოპულოსმა** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

პანათინაიკოსი: **გალინოვიჩი, ნილსონი, გუმასი (46. სარიეგი), ვინტრა, სპიროპულოსი, სალპიგიდისი, სიონტისი (67. სამიოსი), ციოლისი (46. მატოსი), ხრისტოდულოპულოსი (78. მუნი), რუკავინა (55. ივანჩიცი), მანკიოსი.**

შეგახსენებთ, რომ "პანათინაიკოსს" ჰოლანდიელი **ჰენკ თენ კეიტი** წვრთნის, რომელიც გასულ სეზონში ლონდონის "ჩელსის" თავკაც **ავრაამ გრანტის** თანაშემწე იყო. ალბათ ისიც გახსოვთ, რომ ათენური კლუბის ჩაბარებამდე თენ კეიტი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატადაც განიხილებოდა, მაგრამ საბერძნეთში არჩია კარიერის გაგრძელება. თენ კეიტმა გუშინ "პანათინაიკოსი 4-2-3-1 სქემით ათამაშა.

**დავით ცაბაძე**

ქართველები უეფას თასზე

# ნოზაძეს გოლი მოჰპარეს



გივი კვარაცხელია (მარცხნივ)

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა. ყარაღანდაში „შახტიორი" 1:1 ეთამაშა უნგრულ „დებრეცენს". მატჩის მე-16 წუთზე **ლაშა ნოზაძემ** შორი მანძილიდან დაარტყა, მეკარემ ბურთი ხელში ვერ შეიკავა და, როგორც სტადიონზე შეკრებილთ მოეჩვენათ, ბურთმა კარის ხაზის გადაკვეთა მოასწრო. მასპინძელთა პროტესტის მიუხედავად მსაჯმა გოლი არ ჩათვალა. ლაშამ კიდევ ერთხელ დაარტყა შორიდან სახიფათოდ, მაგრამ ამჯერად ბურთი ოდნავ აცდა სტუმართა კარს. ნოზაძე 71-ე წუთზე შეცვალეს.

მინსკში „მტზ-რიპო" „ჟილინას" 2:2 დაუზავდა. **გივი კვარაცხელია** მეორე ტაიმის დასაწყისიდან გამოჩნდა **დენის საშჩენკოს** ნაცვლად. ქართველ ლეგიონერს თითქმის თვე გაუცდა ტრავმის გამო, სასტარტო შემადგენლობაშიც ამ მიზეზის გამო ვერ მოხვდა. 89-ე წუთზე მან უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო.

სერბეთში „ვოივოდინასთან" 0:1 დამარცხდა ბაქოს „ოლიმპიკი". „ოლიმპიკის" სასტარტო შემადგენლობაში **რომან ახალკაცი** და **მიხეილ ხუციშვილი** იყვნენ. აზერბაიჯანელებს გოლის გატანის ორი მომენტი ჰქონდათ, აქედან ერთი ხუციშვილს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირმა საგოლე მომენტი გაანიავა.

კიშინოვის „დაჩია" შინ 1:1 დაუზავდა ჩაჩაკის „ბორაცს". აქტიურობდნენ **ლევან კორღალიძე** და **ჯაბა დვალი**, პირველი ტაიმის მიწურულს ამ უკანასკნელს გოლი აუცილებლად უნდა გაეტანა, მაგრამ ერთი-ერთზე გასულმა ბურთი კარს ააცილა. მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურებულ „დაჩიას" მატჩის მიწურულს გაუტანეს, მცველმა შემთხვევით ხელით ითამაშა და პენალტი სერბებმა ზუსტად შეასრულეს. კიშინოველ ფანებს დიდი ბანერი ჰქონდა გამოკრული : „კოსოვო სერბეთია", მატჩის შემდეგ სერბი ფეხბურთელები იმ სექტორთან მივიდნენ და ტაშით მადლობა გადაუხადეს მოლდოველ გულშემატკივრებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერები. მოლდოვა

# დვალი, კორღალიძე და ორბელაძე შესაძლოა მოლდოვიდან გააძევონ

## საქმე სასამართლოს უკვე გადაეცა

*"მოლდოვური "დაჩიას" 5 ფეხბურთელი, შესაძლოა, ქვეყნიდან გააძევონ. ამ ხუთეულიდან სამი ქართველი მოთამაშეა, თანაც ცნობილი ფეხბურთელები და მოლდოვური კლუბისთვის წამყვანი ფიგურები. საუბარია ქართველებზე, 26 წლის მცველ სერგი ორბელაძეზე, 23 წლის ფორვარდ ჯაბა დვალსა და 28 წლის ნახევარმცველ ლევან კორღალიძეზე. ასევე რუმინელებზე, 27 წლის მარინე კელინეზე და 29 წლის მანუელ ამარენდოზე...", - ეს ცნობა გუშინ ვებგვერდმა "მოლდფუტბოლმა" გაავრცელა.*

როგორც ირკვევა, ამ ხუთ ფეხბურთელს მოლდოვაში ცხოვრებისა და დასაქმების უფლება არ ჰქონდა. ზემოთ ნახსენები წყაროს ცნობით, მათზე ადმინისტრაციული საქმე უკვე აღძრულია. ლეგიონერებს მსხვილი ფინანსური ჯარიმის გადახდა მოუწევთ. თუმცა მხოლოდ ამას არ აკმარებენ და მოლდოვის დატოვებაც მოუწევთ. ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც.

სანქციები მხოლოდ ფეხბურთელებს არ შეეხებათ. "დაჩიას" ხელმძღვანელობის წინააღმდეგაც აღიძრა ადმინისტრაციული საქმე. მათ კანონი დაარღვიეს, ლეგიონერებს ქვეყანაში ცხოვრებისა და დასაქმების ნებართვის მიღების საკითხი არ მოუგვარეს. კლუბის თავკაცთა საქმე სასამართლოს გადაეცა. მოლდოვის ფეხბურთის ფედერაცია კი მკაცრად გააფრთხილეს, რომ მსგავს ფაქტებს ყურადღება მიაქციონ.

**დავით ცაბაძე**



ჯაბა დვალი



## ტატანაშვილის პირველი

გამბრინუს ლიგის სტარტისთვის ემზადება პლზენის „ვიქტორია". ჩეხური გუნდი ამხანაგურად პოლონურ „გორნიკს" დაუპირისპირდა და 3:2 მოუგო. ამ გამარჯვებაში ლომის წილი ქართველმა ფორვარდმა **დიმიტრი ტატანაშვილმა** დაიდო, რომელმაც „ვიქტორიას" მაისურით პირველი გოლი გაიტანა, ჯერ მხოლოდ ტესტმატჩში. დიმიტრი თამაშში 70-ე წუთზე ჩაერთო **მიკას** ნაცვლად. იმ დროს ანგარიში 2:2 იყო, ხუთ წუთში ტატანაშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

## თარხნიშვილი საპასუხოს იმედად

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის ნახევარი მოლდოვის ჩემპიონმა „შერიფმა" წააგო – დნესტრისპირელები ყაზახეთში, „აკტიობესთან" დამარცხდნენ – 0:1. მატჩის 49-ე წუთზე **სამატ სმატოვის** დარტყმა პენალტის ნიშნულიდან ყაზახთათვის მომგებიანი აღმოჩნდა. „შერიფის" კაპიტანმა, **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა. 67-ე წუთზე მან ყვითელი ბარათი მიიღო. „შერიფის" მწვრთნელ **ლეონიდ კუჩუკს** საპასუხო მატჩის იმედი აქვს, რომელიც 22 ივლისს გაიმართება.

## იაშვილის მეოთხე

ბუნდესლიგის მორიგი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს „კარლსრუე". **ედმუნდ ბეკერის** გუნდი სამოყვარულო „კუპენჰაიმს" შეხვდა და 6:1 გაანადგურა. **ალექსანდრე იაშვილმა** პირველი ტაიმი ითამაშა (მეორეში მის ნაცვლად **კენედი** გამოვიდა). 39-ე წუთზე მან ანგარიში 4:0 გახადა. ამ წინასასეზონო შეკრებაზე ალექსანდრე იაშვილმა უკვე მეოთხედ დალაშქრა მეტოქეთა კარი. სხვათა შორის, თამაშის შემდეგ ბეკერს „კარლსრუესთან" კონტრაქტი ერთი წლით გაუგრძელეს (1010 წლის ივლისამდე). მეორე ბუნდესლიგის „მიუნხენმა, 1:0 დაამარცხა ბულგარული „სლავია", თუმცა **მათე ლვინიანიძეს** არ უთამაშია. ქართველი მცველი ჯერ მხოლოდ ინდივიდუალური პროგრამით ემზადება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**. ნომრის მორიგე რედაქტორი დავით თავართქილაძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

# ზესტაფონი მეტოქემაც აღიარა

## დიორი ბიორმა იხსნა



დიორს ბექა გოცირიძემ ჰაერშიც არაფერი დაუთმო

**დიორი-ზესტაფონი 1:1**

0:1 ვიეირა (45), 1:1 ბიორი (58.)

დიორი: სტეპანოვიჩი, ნიკოლოვი, სტარკი, სუპიჩი, პინტერი (68. ვიოლგაი), ბიორი, იაკლი, იოჟი, ბიჩაკი (46. კოლტაი), ბაიჟატი, კოვაჩსი.

სათადარიგოები: ზოლტანი, ბანკი, ფომუმბოდი, ბრნოვიჩი, პაკოლიჩი.

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, დოს სანტოსი, ლობჟანიძე, თოდუა, ვიეირა, დაუშვილი, ძარია (80. იონანიძე), ონიანი, ნ. კვასხვაძე (46. ბოიომო), გოცირიძე, გელაშვილი (70. ჩასემი).

სათადარიგოები: ჭანტურია, მაკარიანი, ლონლაძე, გორგიაშვილი.

გაფრთხილება: ბოორი (12), გელაშვილი (34), ბაიჟატი (84), ვიოლგაი (87), გოცირიძე (87).

არბიტრი: ანგელ ანგელოვი (ბულგარეთი)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **თემურ მახარაძის** გუნდმა "რაბა ეტოზე" ჩინებული თამაში აჩვენა. პირველ ტაიმში ზესტაფონელებმა პირწმინდად დაჯაბნეს მეტოქე და ეს მასპინძელთა თავკაცმა **შანდორ ეგერვარმა** მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აღიარა კიდეც. ნუხელვე უნგრეთში "ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძეს** დავუკავშირდით და მატჩის პერიპეტიებზე ვკითხეთ. თუმცა ამას თავი რომ დავანებოთ, თავად "დიორის" ოფიციალურ ვებგვერდსა და სხვა უნგრულ საიტებზე ნანახი ონლაინ რეპორტაჟის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმერლებმა მადიარებს არაფერი დაუთმეს - პირველ ნახევარში პირწმინდად, მეორე ტაიმში კი რიგ ეპიზოდებში სჯობნიდნენ მასპინძლებს.

თამაში კოკისპირულ წვიმაში მიმდინარეობდა. მოწინააღმდეგეებმა კლასიკური 4-4-2 სქემა აირჩიეს. ზესტაფონელებმა მადიარები რომ დაჯაბნეს, ამაზე სახიფათო მომენტებიც მეტყველებს. ერთი სიტყვით, თავად განსაჯეთ...

მე-10 წუთზე **ბექა გოცირიძე** ფლანგიდან შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, მაგრამ მასპინძლებმა ბოლო მომენტში ხიფათი განმუხტეს.

34-ე წუთზე უნგრელთა კარს **ნიკა გელაშვილი** დაემუქრა, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა.

30-ე წუთზე **ბაიჟატი** მეკარე **როინ კვასხვაძესთან** პირისპირ დარჩა, მაგრამ იმერელთა გოლკიპერმა საიმედოდ ითამაშა.

უნგრელთაგან განსხვავებით, მახარაძის ბიჭები უფრო მეტ დროს ატარებდნენ საჯარიმოში.

45-ე წუთზე **ვიეირამ** 30 მეტრიდან ძლიერად შეასრულა საჯარიმო დარტმა. ბურთმა **ნიკოლოვის** ფეხიდან ძალზე მცირედით შეიცვალა მიმართულება და "დიორის" კარში აღმოჩნდა - ეფექტური გოლი კი იმერელთა ბრაზილიელ ფეხბურთელს ჩაეთვალა.

გოლამდე სამი წუთით ადრე მასპინძლებს ჰქონდათ კარგი შანსი, მაგრამ **ბიჩეკის** დარტყმულს როინ კვასხვაძე გადაეფარა.

შესვენებაზე მოწინააღმდეგეებმა თითო შეცვლა გააკეთეს და შეეცადნენ თავიანთ სასარგებლოდ წარემართათ თამაში. მეორე ნახევარი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს და არაერთხელ დაემუქრნენ სტუმართა კარს. 55-ე წუთზე უნგრელებმა კონტრშეტევით იხეირეს. ბაიჟატის დარტყმული მეკარემ მოიგერია, დამატებაზე კი **იშტვან ბიორმა** იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა. 1:1.

გატანილმა გოლმა დიორელებს მადა მოჰგვარა, მაგრამ მახარაძის ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და მოედნის ცენტრი არ დათმეს. უფრო მეტიც, ზესტაფონელთა თავკაცმა მე-80 წუთზე აქტიური **ძარია**, რომელიც დაიღალა, **იონანიძით** შეცვალა და შემტევი პოტენციალი გააძლიერა. თუმცა დარჩენილ ათ წუთში აღარაფერი შეცვლილა. ჩასანიშნი ერთი ეგ იყო, 87-ე წუთზე **ვიოლგაიმ** და **გოცირიძემ** ორთაბრძოლის შდეგად ბულგარელ არბიტრ **ანგელოვისგან** ყვითელი ბარათები დაიმსახურეს.

ზესტაფონელებმა ბოლომდე იბრძოლეს და მთლიანობაში აჯობეს მეტოქეს. სტუმართაგან ძნელია, რომელიმე არ შეაქო. თუმცა უფრო გამორჩეულები ძარია, **დაუშვილი** და **ლობჟანიძე** იყვნენ - გვითხრა "ზესტაფონის" პრესსამსახურმა.

ერთიც: შეხვედრას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტი** და ჩვენი ნაკრებების მენეჯერი **თამაზ ბოკერია** დაესწრნენ.

**პრესკონფერენცია**

თემურ მახარაძე: უნგრულ ფეხბურთს დიდი ტრადიციები აქვს და დიდ პატივს ვცემ. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ კოკისპირული წვიმის მიუხედავად სტადიონზე მოსული ხალხი არ გავაწბილეთ. მათ დაძაბული და სანახაობრივი მატჩი ნახეს. ორივე გუნდმა ბოლომდე იბრძოლა. შედეგით უკმაყოფილო არ ვარ.

შანდორ ეგერვარი (დიორი, მთ. მწვრთნელი):

- მეტოქისგან ასეთ თამაშს ნამდვილად არ ველოდი. ქართველებმა პირველ ტაიმში პირწმინდად დაგვჯაბნეს. ფეხბურთში ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მოედანზე არაფერი გამოგდის. ეს ფრე ჩვენი დამსახურებაა და არა მეტოქის. საპასუხო შეხვედრაშიც დიდი ბრძოლა მოგვიწევს. მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გვაქვს და მის გამოყენებას შევეცდებით.

იშტვან ბიორი: მეტოქემ ჩინებულად ითამაშა. შანსი გვაქვს და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**დავით ცაბაძე**



ბაიჟატი ვიეირას ხელებიდაც გადაელობა

# არადა, მეტიც შეიძლებოდა

**სპარტაკი-ვიტ ჯორჯია 2:2**

კოჟუხი 74, ბერნატი 90 – ლომაია 14, რაზმაძე 43 (პენ)

სპარტაკი: რიბანსკი-პონჩაკი, ციფერსკი, დოლეჟაი, ლ. ჰანცელი-პ. დურიში (მ. გულდანი 65), იელენკოვიჩი, კოპუნეკი, პერეს გარსია (მ. პრუშკა 46)-კოჟუხი, ფილიპოვიჩი (ბერნატი 56)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი-ბეჟქვაია, კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე-დათუნაიშვილი, მელქაძე (ქვალინიძე 64), რაზმაძე, კლიმიაშვილი-ლიპარტია (ყველაშვილი 82), კვარაცხელია (ლუჟაშვილი 69)

გაფრთხილება: კოჟუხი 35, ლომაია 35, რაზმაძე 47, ჰანცელი 61, ბეჟქაია 81.

მსაჯი: ვალგეირსონი (ისლანდია)

„ვიტ ჯორჯია" ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან, **ნესტორ მუმლაძის** გუნდი მაგრად დაუდგა ტრნავაში ადგილობრივ „სპარტაკსაც" და უჩვეულოდ შემართულ ხუთი ათას ფანსაც. დასანანია, რომ დიდებულად დაწყებული საქმე „ვეტერინარებმა" ბოლომდე ვერ მიიყვანეს, არადა **გრიგოლ ბედიაშვილმა** საბედისწერო შეცდომა მსაჯის მიერ კომპენსირებულ წუთზე დაუშვა..

სტუმრად 2:2 ევროთასებზე ნებისმიერი ქართული გუნდისთვის კარგი შედეგია.. ლამის ნებისმიერ მეტოქესთან. მით უმეტეს, სლოვაკეთის ვიცე-ჩემპიონი ჯაბანი სულაც არაა. სასიამოვნოა, რომ ორი ვიცე-ჩემპიონის დუელში კარგახანს ქართული გუნდი 2:0-ს იგებდა. დასასრული კი მაინც „ქართული" გამოვიდა – „ვიტ ჯორჯიამ" ბოლო 16 წუთში ორი გოლი გაუშვა.

საქართველოს არხებმა უეფას თასზე ჩვენი გუნდების მატჩების პირდაპირი ტრანსლაცია არ შემოგვთავაზეს, ალბათ მორიგი სირცხვილის შიშით და მწარედაც მოტყუვდნენ. „ზესტაფონმაც" და „ვიტ ჯორჯიამაც" არათუ არ შეიცხვინეს თავი „შუაგულ ევროპაში", არამედ მოგებასთანაც ახლოს იყვნენ. თამაშის ნახვის საშუალება სლოვაკური არხის სპორტ-2-ის ინეტერნეტვერსიის წყალობით მოგვეცა, ოღონდ სლოვაკურმა სერვერმა მეორე ტაიმზე უარი გვითხრა. ასე რომ, მეორე ტაიმში განვითარებული მოვლენების შესახებ მხოლოდ სლოვაკური საიტების იმედად დავრჩით.

პირველი ტაიმში „ვიტ ჯორჯია" აბსოლუტურად მტრულ გარემოში მოხვდა, სულ რაღაც 5 ათას გულშემატკივარს ისეთი ხმა ამოსდიოდა, ირგვლივ გნიასი სუფევდა. ფავორიტი უმალვე ეკვეთა „ვიტ ჯორჯიას" და ბზარი დაცვის ხაზშიც მალე აღმოუჩინა – მარცხენა ფლანგი. „სპარტაკმა" ჩვენების გაარღვია და ყველა სახიფათო ჩაწოდება თუ შეტევა იქიდან მოდიოდა ბედიაშვილის კართან. ერთ ეპიზოდში კი **ჯაფარიძემ** ჯარიმა საჯარიმოს ხაზთან „აიკიდა", მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა – უშედეგოდ. ეს ყველაფერი დაახლოებით ათ წუთს გაგრძელდა. შემდეგ **ჯაბა ლიპარტიას** კონტრშეტევისას საგოლე მომენტი შეექმნა, ის დაახლოებით სამი მეტრიდან უტევდა მასპინძელთა კარს და ოდენ კუთხური მოინადირა. სწორედ ეს ეპიზოდი აღმოჩნდა გარდამტეხი. მართალია, ლიპარტიამ ვერ გაიტანა, მაგრამ გოლმა არ დააყოვნა - ზედიზედ მესამე კუთხურის მერე **კლიმიაშვილის** ჩაწოდებულს **დავით ლომაია** შესაშური თავურით გამოეხმაურა, მეკარე ბურთს ველარ შეწვდა,ტრნაველი მცველი – კი, მაგრამ კარის ხაზის შიგნით იდგა და მსაჯმა გოლი ჩათვალა.

ამის მერე თანაბარი ფეხბურთი გაჩაღდა, „ვიტ ჯორჯიამ"ხისტად, უხეშობის ზღვარზე ითამაშა, რითაც მასპინძლებს ფრთები შეუკვეცა, თან ქართული გუნდი სახიფათოდაც „იკბინებოდა". 43-ე წუთზე „სპარტაკს" ქართველთა კონტრშეტევა გაეპარათ, **ჰენცელმა** საჯარიმოში ბურთით დატრიალებული **კვარაცხელია** მოცელა. ასპროცენტიანი პენალტი გოლად **ლუკა რაზმაძემ** აქცია, რომელმაც მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა – 2:0.

ტაიმი ასე მორჩა და მეორის ნახევარ საათშიც „ვიტ ჯორჯიამ" მშრალად შეინახა კარი. დასანანია, პირველი გოლი **კოჟუხმა** კონტრშეტევის შედეგად გაგვიტანა. ამ გოლმა ტრნაველებს ფრთები შეასხა, მაგრამ "ვიტ ჯორჯიამ" გაძლო.. 91-ე წუთამდე. მასპინძლებს შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი შეცვლაზე შესულმა **ბერნატმა** დაუბრუნა. ვნახოთ, 31 ივლისს თბილისში გადაწყდება ვინ ვის. ყოველ შემთხვევაში, „ვიტ ჯორჯიამ" თავდაყირა დააყენა ამ წყვილში ფავორიტის და აუტსაიდერის ცნება, არადა, როგორც აღმოჩნდა, მეტიც შეიძლებოდა..

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტრნავა-ვიტ ჯორჯია

ანგარიში ლომაიამ გახსნა



პენალტი რაზმაძემ გაიტანა

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

# რომ არა ეს ჩაგდებები...

## რამაზ მუმლაძე: ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს

**ვიტჯორჯიელთა დამრიგებელ რამაზ მუმლაძეს ტრნავაში მატჩის დასრულებიდან რამდენიმე წუთში დავურეკეთ.**

- ძალიან მძიმე თამაში გამოდგა, მეტოქედ მოძრავი, სწრაფი გუნდი გვყავდა. პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და შანსი უკეთ ჩვენ გამოვიყენეთ.

**- შესვენების შემდეგ რა მოხდა, როგორ გაფლანგა თქვენმა გუნდმა ორბურთიანი უპირატესობა?**

- მეტოქემ უფრო მძლავრად შემოგვიტია, წვიმაც გაძლიერდა, შეცდომები დავუშვით დაცვაში და...

**- და "ვიტ ჯორჯიამ" კონცენტრაცია დაკარგა?**

- არა, უბრალოდ მძიმე გრუნტი იყო და "სპარტაკმა" გრძელ, დიაგონალურ გადაცემებს მიმართა, ბევრი იყო ბურთის ჩაგდება ჩვენს საჯარიმოში თუ მის მისადგომებთან. მატჩს უამრავი მაყურებელი ესწრებოდა და ცხადია, მეორე ტაიმში უფრო ემოციურად რომ ქომაგობდნენ "სპარტაკს", ამ ფაქტორმაც იმოქმედა.

**- ისე გამოდის, "ვიტ ჯორჯიას" ძალისმიერი თამაში გაუჭირდა და მაღალი ბურთისთვის ბრძოლაშიც დაეჩაგვრინა "სპარტაკს"...**

- პირველ ნახევარშიც ბევრი იყო ძალისმიერი ბრძოლა და ბურთის "ჩაგდებები", მაგრამ 2:0 მოვიგეთ. მეორე ტაიმშიც არაერთი ხიფათი შევქმენით მეტოქის კართან - რამდენჯერმე შორიდან დავარტყით. ძალიან ძლიერად ითამაშა "სპარტაკის" მეკარემ.

**- როგორც უნდა იყოს, "ვიტ ჯორჯიამ" არც თუ ურიგო შედეგს მიაღწია...**

- ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ, მათ მაქსიმუმი ჩადეს თამაშში.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადისი. ამხანაგური მატჩი

# ურეკში გოლი არ გასულა

**სიონი–ლოკომოტივი 0:0**

სიონი: **ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, ქემოკლიძე, ხუბუა, ზ. ჭელიძე, სანიკიძე, ავალიანი, კოშკაძე, ი. შენგელია, შ. ჯიქია.**

მეორე ტაიმში შევიდნენ: **ბ. ნოზაძე, ნაყოფია, ოქროპირიძე, ჯიქიძე.**

ლოკომოტივი: **ბათიაშვილი, გრიგალაშვილი, ფარულავა, ფოფხაძე, სარალიძე, ზ. ჩხეტიანი, სამხარაძე, ჩირიკაშვილი, კახელიშვილი, გ. ჭელიძე, ალექსიძე (დ. ჩაგელიშვილი).**

მეორე ტაიმში შევიდნენ: **ბოჭორიშვილი, მიქაძე, ქურდაძე, ლ. ჩაგელიშვილი, შალიკაშვილი, ბარბაქაძე, კაჭახიძე, კობიაშვილი, ქუხილავა, ბახტაძე.**



რატი ალექსიძე

**ოთარ კორღალიძის** "სიონი" და **გიორგი კიკნაძის** "ლოკომოტივი" გრიგოლეთში ემზადებიან და იქ გუშინ ამხანაგური მატჩიც გამართეს. როგორც გავიგეთ, მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. **რატი ალექსიძემ** პირველ ტაიმში გოლი კი გაიტანა, მაგრამ "ლოკომოტივის" თავკაცთა თქმით სადავო ეპიზოდი იყო და არბიტრმა რატის გოლი არ ჩათვალა. ალექსიძე ტაიმის მუწუკუ-ლს დაშავდა და **დავით ჩაგელიშვილით** შეცვალეს.

ბოლნისელები მომდევნო ამხანაგურ მატჩს დღეს ლანჩხუთის "გურიასთან" გამართავენ. "ლოკომოტივი" კი 20 ივლისს საჩხერის "ჩიხურას" დაუპირისპირდება, მეორე დღეს გრიგოლეთს დატოვებს და თბილისში დაბრუნდება.

რაც შეეხება "სიონს", შესაძლოა, იქ "ამერის" ყოფილი ფეხბურთელები გამოჩნდნენ - ნახევარმცველები **არჩილ ალავიძე** და **გივი დიდავა**, მცველი **ლადო კაკაშვილი** და ფორვარდი **სულიკო დავითაშვილი** . ეს საკითხი რამდენიმე დღეში გაირკვევა.

**დავით ცაბაძე**

# კონტრაქტი არ დამირღვევია

## ხიდეშელი ოლიმპში ვარჯიშობს

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი **გიორგი ხიდეშელი** რუსთავის "ოლიმპში" გადავიდა. 20 წლის მცველს "ზესტაფონთან" კონტრაქტი დაუსრულდა და მიუხედავად იმერული კლუბის სურვილისა, დარჩენაზე უარი უთხრა.

*"დღეს კლუბთან საბოლოოდ შევთანხმდი და "ოლიმპს" ურეკის შეკრებაზე მივყვები. მე თავისუფლად შემიძლია "ოლიმპთან" კონტრაქტის გაფორმება, რადგან "ზესტაფონთან" დამიმთავრდა, ხელშეკრულების არცერთი პუნქტი არ დამირღვევია და რუსთაველებიც საკომპენსაციო თანხასაც ისე იხდიან, როგორც ეს ფიფას მიერაა დადგენილი.*

*მართალია, "ზესტაფონს" ჩემი გათავისუფლების ფურცელი ჯერ არ მოუცია, მაგრამ იქ აღარ დავრჩები და ეს ოფიციალურად უნდა დამიდასტურონ, რის შემდეგაც "ოლიმპის" მოთამაშე გავხდები. ახალი ჩემპიონატისთვის რუსთაველებმა სერიოზული შემადგენლობის შეკრება მოახერხეს და ძალიან მიხარია, ასეთ გუნდში თამაში რომ მომიწევს"*,- გვითხრა ხიდეშელმა.

"ზესტაფონთან" კონტრაქტი უმთავრდებოდა 19 წლის ცენტრალურ ნახევარმცველ **ბუბა დაუშვილსაც**, მაგრამ ის დარჩა და ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

6-თვიანი დისკვალიფიკაციით დასჯილი 19 წლის **ლექსო ბენაშვილი** კი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ქუჩაშია დარჩენლი - "ზესტაფონშიც" არ ვარჯიშობს და ფორმის შესანარჩუნებლად, ინდივიდუალური ვარჯიში დარჩენია. არ შეიძლება, ობოლი, ნიჭიერი ბიჭის ასეთი მდგომარეობა არ გვაწუხებდეს.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ხიდეშელი

ფესვები

# საუკეთესო, მაგრამ წამგებიანი

## საფეხბურთო სკოლას ერთი მოედანი 2 500 000 უჯდება: სად ჩანს სახელმწიფოს დახმარება?



მამუკა გუგეშაშვილი

ამ დროისთვის რომელია საუკეთესო ქართული საფეხბურთო სკოლა? ასეთი გამოკითხვა არავის ჩაუტარებია, მაგრამ თუ ჩაატარებენ, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი "ოლიმპის საფეხბურთო აკადემიას" ექნება - ეს არ არის მხოლოდ ვარაუდი, ამას ფაქტები და არგუმენტები განაპირობებენ.

"ოლიმპი", ცოტა არ იყოს, მიუდგომელ ადგილზეა, ჯიქიას ქუჩაზე, საბურთალოს ბოლოში, მაგრამ იქ ყველას სურს ფეხბურთზე სიარული, რადგან "ოლიმპი" უკვე სახელდაგდებული საფეხბურთო სკოლაა.

წარმატებას ყველაზე უფრო ის განაპირობებს, რომ "ოლიმპი" კომპლექსური სკოლაა და არ არის დამოკიდებული ბავშვთა რაოდენობაზე, სხვა გეზი აქვს აღებული.

"ოლიმპი" 2000 წელს შეიქმნა და მისი დამფუძნებლები იყვნენ **მამუკა გუგეშაშვილი, ნიკა დოლიძე** და **თემურ უგულავა**. დღეს "ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიას და მთლიანად "ოლიმპის" კოპლექსს სამეულიდან ერთი დამფუძნებელი შემორჩა - გუგეშაშვილი.

საფეხბურთო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ღია აუზი - ასეთი იყო "ოლიმპის"კომპლექსი, რომელსაც ღია აუზი კი გამოაკლდა, მაგრამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დახურული აუზი მოეწყო და საცაა დასრულდება სატრენაჟორო დარბაზიც - ყოველივე ამით საგანმალათლებლო სკოლის გარდა "ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიის მოზარდებიც ისარგებლებენ.

"ოლიმპის"დირექტორი **გელა გომელაურია**, მთავარი მწვრთნელი - **ლევან გვანცელაძე**. რაც შეეხება სწავლის საფასურს, ის დიფერენცირებულია - წელიწადში 250-დან 500 ლარამდე. თანხა დამოკიდებულია ასაკზე და ბავშვის მონაცემებზე - ნიჭიერები შედარებით ნაკლებს იხდიან. 12 წლის ზევით კი მოზარდი "ოლიმპში" ვარჯიშისთვის ერთ თეთრსაც აღარ იხდის - ამ ასაკიდან "ოლიმპი" მხოლოდ ნიჭიერებს იტოვებს.

"ოლიმპს" სამი ხელოვნურსაფარიანი მოედანი აქვს, აქედან ერთი სტანდარტული ზომის, სადაც უამინდობაში არაერთხელ უვარჯიშია ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. სხვათა შორის, "ოლიმპი" ამისთვის ფულს არ ართმევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

საფეხბურთო სკოლის სიახლოვეს კიდევ ორი მინი-მოედანია და საჭიროების შემთხვევაში "ოლიმპს" მათი იჯარით აღება უწევს. "ოლიმპს" ტერიტორიის გააფრთოება უნდა მოედნების შესამატებლად, მაგრამ აქ ვაწყდებით იმ პრობლემას, რომლის გადაჭრა ძალიან რთულია - სახელმწიფომ რამდენიმე გამონაკლისი დაუშვა და მიწის ფართი შეღავათიანი ფასებით გასცა მოედნების აშენების მსურველთათვის, მაგრამ პირობა დაირღვა და მოედნების ნაცვლად კომერციულად საინტერესო ნაგებობები აშენდა.

"ოლიმპს" შეუძლია, ფართობი ისე შეიმატოს, რომ კვადრატულ მეტრში 218 ლარი გადაიხადოს. სტანდარტული ზომის სტადიონს დაახლოებით 6 000 კვადრატული მეტრი სჭირდება, რაც ამ ფასში დაახლოებით მილიონნახევარი ლარი გამოდის. თუ ამას დავუმატებთ მოედნის ასაშენებელ ხარჯებს, ერთი მოედანი ჯამში 2 500 000 ლარი დაჯდება. როგორ უნდა დაფაროს ასეთი ხარჯი საფეხბურთო სკოლამ? ცხადია, ეს დღევანდელ ვითარებაში შეუძლებელია.

"საფეხბურთო აკადემია ოლიმპი" ფინანსური თვალსაზრისით ისედაც წამგებიანია და თუ "ოლიმპმა" წელიწადში ერთი ფეხბურთელი მაინც ვერ გაასხვისა, ხარჯი ეზრდება.

თანხის მიღების წესი ასეთია. მაგალითად, ჭაბუკი ბოლო ხუთ წელიწადში დადიოდა "ოლიმპში" და გადავიდა პროფესიულ კლუბში - "ოლიმპი" ასეთ შემთხვევაში მიიღებს 5 000 დოლარს. არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა მოზარდის მშობელი კეთილ ნებას გამოხატავს და თავის შვილის აღმზრდელ საფეხბურთო სკოლას უფრო მეტს შეახვედრებს. გუგეშაშვილმა გვითხრა, ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება და მაქსიმალური თანხა ასეთ დროს 30 000 დოლარამდე ადისო.

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ფეხბურის ფედერაციას ალბათ შეუძლია დაარეგულიროს ეს პროცესი და საფეხბურთო სკოლიდან გასხვისებული ყმაწვილის სატრანსფერო თანხის მინიმუმი მნიშვნელოვნად გაზარდოს.

"რატომ ვარ ფინანსურად ასეთ წამგებიან საქმეში? ეს ფეხბურთის დიდი სიყვარულითაა გამოწვეული, მაგრამ უსასრულოდ მაინც ვერ გაგრძელდება, 2-3 წელიწადს კიდევ მოვიცდი და თუ საშველი არ დაგვადგა, ამ საქმეს შევეშვები. ორი გზა უნდა ავერჩია. პირველი: სკოლაში ბევრი ბავშვის აყვანა, ანუ ცეხის პრინციპი; მეორე: ხარისხი, ანუ კარგი ფეხბურთელის გაზრდა. მეორე გზა ავირჩიე და არანაირი დამატებითი შემოსავლის გამო ამ კურსს არ გადავუხვევ", - განგვიმარტა გუგეშაშვილმა.

**ზაალ ელიავა, გოგიტა გოგუა, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, ზაქარია ბეგლარიშვილი...** ისინი "ოლიმპში" ჩამოყალიბდნენ ფეხბურთელებად. თუ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს გადავხედავთ, უმეტესობა "ოლიმპის" გაზრდილია - ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ "ოლიმპი" ახლა ყველაზე წარმატებული საფეხბურთო სკოლაა საქართველოში. "ოლიმპის" აღზრდილია **დავით დევდარიანიც**, ვინც ახლა დანიურ "ორჰუსშია" და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჩაირიცხება იქ. ამ ცოტა ხნის წინათ კი კიევის "არსენალში" "ოლიმპიდან" **დავით ვაშაკიძე** გადავიდა.

"ოლიმპი" პროფესიულ სარბიელზეც საინტერესო კლუბი იყო . 2004-05 წლებში **გიორგი დევდარიანის** გაწვრთნილი "თბილისი", რომელიც სწორედ "ოლიმპის" ბაზაზე შეიქმნა და ამ საფეხბურთო აკადემიის სტრუქტურაში შედიოდა, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ძალიან ძლიერი, თანამედროვე ფორმაციის გუნდი იყო, უეფას თასზეც ითამაშა, თუმცა მერე კლუბის დაფინანსებაზე რამდენიმე დამფუძნებელმა უარი თქვა და...

ახლა "ოლიმპს" პირველ და ასაკობრივ ლიგებში ჰყავს გუნდები. რაც შეეხება უმაღლეს ლიგაში მოთამაშე "ოლიმპს", რომელიც შარშაწწინ საქართველოს ჩემპიონი გახდა და მომდევ სეზონში კიდევ ერთი ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებს, სულ სხვა დამფინანსებელი ჰყავს, თუმცა სახელი "ოლიმპის საფეხბურთო აკადემიას"ეკუთვნის და ფორმალურად ერთ-ერთი დამფუძნებელიც არის.

ორი თვის წინათ "ოლიმპის" აღზრდილი ბეგლარიშვილი, ვინც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია, "ფონდ არველაძის" დახმარებით ამსტერდამის "აიაქსის" ახალგაზრდულ გუნდში იყო გასინჯვაზე და მის იქ ჩარიცხვას ოდენ სავიზო პრობლემები აფერხებს. " თუ ყველაფერი მოგვარდება, "ოლიმპის" აკადემია იმდენ თანხას აიღებს, არსებობისთვის ერთი-ორი წელიწადი რომ ეყოფა",- გვამცნო გუგეშაშვილმა.

**დავით თავართქილაძე**



ზაქარია ბეგლარიშვილი (№13)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუთი ქართველი რუსეთის პრემიერლიგაში?

## ომარ თეთრაძემ თბილისში საჩვენებელი ვარჯიშები გამართა

**ომარ თეთრაძეს თბილისში რამდენიმე დღით ჩამოსვლა მოუხდა. მიზეზი სამწუხარო ამბავი იყო - სიდედრი გარდაეცვალა. გამგზავრებამდე თეთრაძემ დრო გამონახა და ინტერვიუ ჩამოვართვით. ომარი ისეთი ემოციებითა და სიყვარულით საუბრობდა საქართველოზე, ჩვენს ფეხბურთელებსა და თბილისზე, თავისთავად კითხვაც დაგვებადა - ასეთი პიროვნების საქართველოში დასაქმებაზე რატომ არასდროს გვიფიქრია? თუ იტყვით, რომ ეს არარეალურია, წაიკითხეთ ჩვენი ინტერვიუ და მიხვდებით,რომ საქმე სხვაგვარადაა.**


ომარ თეთრაძე (მარჯვნივ) რუსეთის ნაკრებში ანდრეი კანჩელსკისის თანაგუნდელიც იყო

**- ომარ, დავიწყოთ იმით, რაც საზოგადოებისთვის უცნობი ფაქტია - საქართველოში ჩამოსვლის დროს, თურმე საფეხბურთო სკოლებში საჩვენებელ ვარჯიშებს ატარებ.**

- დიახ, ასეა. ჩემი მეგობრების სკოლაა "საბურთალო" და როდესაც საშუალება მეძლევა, ბავშვებს ვავარჯიშებ. ეს ჩემთვის სასიამოვნო მომენტია, პატარა ბავშვები სახელების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან და მიხარია, ნემსაძის სკოლაში მათთან ურთიერთობის საშუალება რომ მომეცა. ყოველთვის მზად ვარ, საჩვენებელი ვარჯიშები ჩავატარო. კარგი იქნება, თბილისში ჩამოსული ნაკრების ფეხბურთელები წელიწადში ერთხელ მაინც თუ მოძებნიან საამისო დროს.

**- მართალია, რომ ზაფხულში "ანჟის" მოსამზადებელი ეტაპი თბილისში უნდა ჩაეტარებინა?**

- კი, იყო ამაზე საუბარი. თბილისში 8 ივლისს ჩამოვედი, სიდედრი ცუდად იყო და თან შეკრების ჩასატარებლად ადგილს ვარჩევდი. "ანჟის" ხელმძღვანელობაც თანახმა იყო, თბილისში რომ ჩამოვსულიყავით. მართალია, მიზეზთა გამო ჩანაფიქრი ველარ განვახორციელეთ, მაგრამ არაა გამორიცხული, თბილისს სხვა დროს მაინც ვესტუმროთ.

**- გუნდებს მოსამზადებლად ასარჩევად აქვთ საქმე - კვიპროსი, თურქეთი, ბულგარეთი, ევროპის მთიანი რეგიონები. თქვენ საქართველოში ჩამოსვლა რატომ გსურდათ, აქ რა პირობებია?**

- გუნდში შვიდი ქართველი მოთამაშე მყავს, სპორტული დირექტორიც მამუკა ჯულელია და ჩავთვალე, რომ თითოეული ჩვენგანისთვის ნაცნობ და მშობლიურ გარემოში მომზადება უკეთესი იქნებოდა. თან, მე ვიცი აქაური კლიმატი.

**- ზამთარში თბილისის "დინამოსთან" მატჩი დაგეგმეთ, მაგრამ ისიც ჩაიშალა.**

- ეს რაღაც გაუგებრობა იყო. იანვარში თურქეთში რომ ჩავედით, თბილისის "დინამოსთან" მატჩი დაგეგმილი იყო. თუმცა მერე მითხრეს, რომ "დინამომ" უარი თქვა და სხვა გუნდს შევხვდით. მერე მირეკავს "დინამოს" ადმინისტრატორი გია იმნაძე, ომარ, რა გაწყენინეთ, ჩვენთან თამაშზე უარი რატომ თქვიო. როგორც ჩანს, გაუგებრობა იყო ორგანიზატორების მხრიდან, მაგრამ თამაშის ჩაშლის მიზეზი დღემდე ჩემთვის გაუგებარია.

**- მახაჩყალაში შვიდი ქართველის გამოჩენამ უარყოფილი რეაქცია რომ გამოიწვია, რუსული მედიის სტატიებიდანაც იგრძნობოდა. თქვენი აზრით, ქართველებმა გაამართლეს?**

- რა თქმა უნდა, გაამართლეს, თორემ ტყუილად არავის გავაჩერებდით. შვიდივე ძალიან კარგი ფეხბურთელია.

საერთოდ, ქართველებმა თამაში რომ იციან, არავისთვის საეჭვო არაა. "ანჟიში" ისეთები თამაშობენ, მაყურებლები მათ სანახავად დადიან. ეს იმიტომ, რომ ქართველები ფეხბურთს თამაშობენ, პირადად მეც მათი ყურება მსიამოვნებს. თუმცა სხვა საკითხია, მათი ხასიათი...

**- ეს ქართველების პრობლემაა?**

- რა თქმა უნდა. ქართველები მალე მშვიდდებიან, ერთს მოიგებენ და შემდეგ მთელი წელი ამაზე ლაპარაკობენ. ფეხბურთში კი წარსულით ტკბობის საშუალებას არავინ მოგცემს. დღეს გუშინდელზე ფიქრით ველარ მოიგებ.

**- "ანჟი" ლიდერებშია, მაგრამ რუსეთში მთავარია კლუბის ფინანსური შესაძლებლობა. "ანჟის" ფინანსები პრემიერლიგაში გადასვლის უფლებას უტოვებს?**

- ჩვენი შემადგენლობის და ბიუჯეტის გათვალისწინებით, პირველ წრეში შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენეთ. მეორე წრეში გასაძლიერებლად საჭირო ფული კი ვერ მოიძებნა. ამ თვალსაზრისით "ანჟის" შესაძლებლობები შეზღუდულია: ძლიერი რუსი მოთამაშის ტრანსფერი 700 ათასიდან მილიონნახევრამდე ჯდება, პლუს ხელფასი. ჩვენ ამხელა ხარჯებს ვერ გავწვდებით, თანაც მახაჩყალაში ცხოვრება არავის უნდა, ესეც სერიოზული პრობლემაა.

**- გამოდის, რუსეთის ამ ჩიხში თამაში მხოლოდ ქართველებს სურთ?**

- ასეც ნუ ვიტყვით, "ანჟი" ქართველებისთვის რუსეთის პრემიერლიგაში ტრამპლინია, თუნდაც რუსებისთვისაც, რომელთაც თავის გამოჩენა სურთ. თუ არ ითამაშებ, მაღალ დონეზეც ვერავინ შეგნიშნავს. მეც არ მინდა, რომ ამ ბიჭებმა რუსეთში მხოლოდ პირველ ლიგაში ითამაშონ. მათ დიდი პოტენციალი გააჩნიათ და თამამად ვიტყვი, რომ პრემიერლიგაში თამაშს უპრობლემოდ მოახერხებენ. ამის რეალური შანსი ბევრ მათგანს გააჩნია.

**- მაგალითად, ვის?**

- გუნდებს არ დავასახელებ, ისე გეტყვით, რომ ნავალოვსკის, ხოჯავას, არზიანს, აბრამიძეს და აშვეთიას პრემიერლიგაში იწვევენ. სამწუხაროდ, ბარაბაძეს ისე ხშირად ვერ ვათამაშებ, როგორც მსურს. ქართველების დიდი ნაწილისგან განსხვავებით, მას რუსეთის პასპორტი არ გააჩნია და ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტი თამაშში ხელს უშლის.

**- რაღა დაგიმალოთ და განსაკუთრებით გოჩა ხოჯავას მდგომარეობა მაინტერესებს. ბოლო დროს მას საკმაოდ კარგი პრესა აქვს. თუმცა ერთია მედიის შეფასება და მეორე მწვრთნელის.**

- გოჩა არის უდიდესი პოტენციალის ფეხბურთელი და მან თავისი ფასი იცის. თუ დამიჯერებთ, ხოჯავას შეუძლია, ნებისმიერ დონეზე უპრობლემოდ ითამაშოს. დღეს ის "ანჟის" ლიდერია. მოსკოვის ცსკა-ში რომ გადავიდეს, იქაც ლიდერი გახდება, მას ეს თვისება გააჩნია. თუმცა გახდა "ანჟის" ლიდერი და გაჩერდა, საკუთარ თავს მეტს არ სთხოვს. ცსკა-შიც ასე მოუვიდოდა. არ შეუძლია ყველა გუნდთან მობილიზაცია - ეს მისი დიდი მინუსია. ამ ფსიქოლოგიურ პრობლემას თუ დაძლევს, დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბდება.

**- გულახდილად გვითხარით, რას ფიქრობენ რუსულ საფეხბურთო წრეებში საქართველოს ნაკრებზე?**

- ძალიან დიდი პატივსცემით საუბრობენ ქართველ ფეხბურთელებზე, მაგრამ არა ნაკრებზე. ყველასთვის გამოცანაა, რატომ ვერ ჩამოვაყალიბეთ ძლიერი ნაკრები, როდესაც ძალიან ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვყავს.

**- საქართველოში ბევრი ფიქრობს, რომ მაღალი კლასის ორიოდე მოთამაშეა.**

- არ დაიჯეროთ, ქართული ფეხბურთი პოტენციური ვარსკვლავების ბუდეა.

**- თქვენი აზრით, რა არის მიზეზი?**

- მე რომ გიპასუხოთ, ქართული ფეხბურთის სამზარეულოში ღრმად ჩახედული უნდა ვიყო. ჩემი აზრით, ეს პრობლემა უკავშირდება არა იმდენად მოთამაშეთა კლასს, არამედ მათ ფსიქოლოგიურ პრობლემებს.

**- ყოველთვის მსურდა თქვენთვის მეკითხა და საშუალება ახლა გამიჩნდა, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი კაცი ოდესმე სერიოზულად დაფიქრებულხართ აქ დაბრუნებაზე?**

- თუკი საქართველოში ჩემ მიმართ ვინმეს სერიოზული ინტერესი გაუჩნდება, რატომაც არა, სიამოვნებით ვიმუშავებ. მე თბილისში დავიბადე, აქაურ გარემოში გავიზარდე, ახლობლები, მეგობრები, ნათესავები აქ მყავს და თავს თბილისელად, ქართულ კულტურაზე გაზრდილ ადამიანად ვთვლი. ეს ჩემი ქვეყანაა და გულით მინდა დაბრუნება. აქვე მინდა შესაძლებლობით ვისარგებლო და ფედერაციის ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო, ჩემი ოჯახის მწუხარება რომ გაიზიარეს და პირადად მომისამძიმრეს.

**მერაბ მამულაშვილი**



# მთავარია ვარჯიში!

"შალკემ" ამხანაგური მატჩი გამართა "ვუპერტალთან" და **ფრედ რუტენის** შეგირდებმა ძალიან შეურაცხმყოფელი მარცხი განიცადეს: 0:3. "შალკემ" ასეთი შემადგენლობით იასპარეზა:

**ფერმანი - რაფინია, ჰიოვედესი (46.ძამბრანო), ბორდონი (46. კრსტაიჩი), კობიაშვილი - ერნსტი, ჯონსი - გროსმიულერი (62. ყენია) - შტრაიტი (76. სანჩესი), ასამოა (62. ფარფანი), ჰალილ ალთინთოფი (62. ვარელა).**

რუტენმა კობიაშვილი მარცხენა მცველად ათამაშა , ყენია კი მოედანზე 62-ე წუთზე შეუშვა. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, "ლევან მეორემ" საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა - მეორე ტაიმში **ჯეფერსონ ფარფანთან** ერთად, ყველაზე აქტიური იყო. ყენიას ჩინებული საგოლე მომენტიც შეექმნა, მაგრამ "ვუპერტალის" მეკარემ აული. მოგვიანებით კი **სანჩესი** სამჯერ გაიყვანა ჩინებულ პოზიციაზე. აქედან, ურუგვაელმა ერთ მომენტში გოლიც გაიტანა, მაგრამ ლაინსმენმა მასზე თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

რუტენმა საკუთარი ფეხბურთელები დაამშვიდა და განაცხადა, ამ მატჩის შედეგი ჩირადაც არ მიღირს, მთავარია, რომ დამდეგი სეზონისთვის კარგად ვემზადებითო. ამ ფოტოზეც ალბათ იმავეს ეუბნება "შალკეს" ჰოლანდიელი მწვრთნელი ლევან კობიაშვილს .

**გოტფრიდ ლენცი**

# ასათიანი ტურის ანტინაკრებში

რუსეთის პრემიერლიგის მეცამეტე ტურის შემდეგ ინტერნეტ-პორტალმა "სოკერმა" ტურის სიმბოლური ანტინაკრები შეადგინა.

თერთმეტ ანტიგმირში მოსკოვის "ლოკომოტივისა"და საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი **მალხაზ ასათიანიც** მოხვდა. "ლოკომოტივმა" მოსკოვის "დინამოსთან" 2:4 წააგო, რაშიც ქართველის ბრალეულობაც აღმოაჩინეს.

*"რკინიგზელთა მცველს კერჟაკოვი პირველივე წუთებიდან უსხლტებოდა. მოსკოვის "დინამოს" ფორვარდმა პირველი მომენტით ვერ ისარგებლა, მალე კი შესაძლებლობა გამოყენა. უფრო დიდი ანგარიშით წაგებისგან "ლოკომოტივი" მეტოქის უილბლობამ იხსნა".*



**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ვარსკვლავი

# მოედანზე, როგორც უბნის ბიჭებთან

## სამირ ნასრი: კიდევ ერთი ტალანტი მარსელიდან

**საინტერესოა,** რომ ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი, სამირ ნასრიც იქ დაიბადა, სადაც ზინედინ ზიდანი. იმედია, თუ გენიალური წინამორბედის დონეზე ვერა, მის ნახევარს მაინც ითამაშებს. ეს ფეხბურთს მხოლოდ წაადგება. ტრადიციები ძალიან განსხვავებული შეიძლება არსებობდეს, მათ შორის ფეხბურთშიც. ზოგი მწვრთნელი მოთამაშეთა იმ ჯგუფთან მუშაობს, ვინც ახალ კლუბში მისვლისას ადგილზე ხვდება, ზოგს წინა კლუბებიდან მიჰყავს ფავორიტი ფეხბურთელები - თუნდაც ამისთვის გაუმართლებლად დიდი თანხის დახარჯვა დასჭირდეს. ზოგი მხოლოდ თანამემამულეებს სწყალობს და გზას უხსნის დიდ ფეხბურთში. არსენ ვენგერი სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება. ვინ მოთვლის, რამდენმა ფრანგმა ითამაშა "არსენალის" შემადგენლობაში 1996 წლის შემდეგ? ალბათ, უფრო მეტმა, ვიდრე ინგლისელმა.

შეუძლებელია, **არსენ ვენგერს** დააბრალო, რომ ის თანამემამულეებს ეთნიკური ნიშნით სწყალობს. ასე სულაც არ არის. ვენგერის გუნდში მხოლოდ უნიჭიერესი ფრანგები ხვდებიან. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ დიდ საფეხბურთო გზაზე **ნიკოლა ანელკა** სწორედ მოსიე არსენმა დააყენა. **ტიერი ანრიმ** საკუთარი ტალანტი მხოლოდ "ჰაიბერიზე" გადაბარგების შემდეგ წარმოაჩინა. ახლა მათ გზას შეუდგა **სამირ ნასრიც**. ქართველ გულშემატკივარს შევახსენებთ, რომ ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე, ოსერის "აბე დეშამზე", ჩვენი ნაკრები სწორედ სამირის ერთადერთი გოლით დამარცხდა. "მეთოფეებმა" "მარსელს" ნახევარმცველის სანაცვლოდ 16.8 მილიონი ევრო გადაუხადეს.

ვენგერმა ნასრისადმი ინტერესი სატრანსფერო სეზონის გახსნამდე დიდი ხნით ადრე დააფიქსირა. მწვრთნელი ხედავდა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ნახევარდაცვაში სერიოზული ცვლილებები დასჭირდებოდა. ფრანგი **მატიო ფლამინი** უარს ამბობდა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. ბელარუსი **ალექსანდრ გლები** მუდმივად უკმაყოფილო იერით დაიარებოდა. გლების გუნდში გაჩერება აზრს კარგავდა. გარდა ამისა, ბრაზილიელი **ჟილბერტო სილვაც** აღარ იყო ძველებურად მოტივირებული. საბოლოოდ სამივე მათგანმა იპოვა საკუთარი გზა. ერთმა ჟურნალისტმა ხუმრობით ისიც კი დაწერა, ვენგერს შემცვლელებზე დიდხანს არ უფიქრია, რადგან საითაც გაიხედავდა, ყველგან ნასრის ხედავდაო.

სამირის დახასიათება ადვილია - ახალგაზრდა, ძალიან ტექნიკური, ჭკვიანი, მოხერხებული, მოედნის ბრწყინვალე ხედვით, თამაშის კითხვის შესანიშნავი უნარით და ორივე ფეხით თითქმის ერთნაირად მოასპარეზე. ასეთი ფეხბურთელი ვენგერის დარი მწვრთნელისთვის, ვისი საფეხბურთო ფილოსოფიაც სიჩქარე, ტექნიკა და მოძრაობაა, ნამდვილი მისწრებაა. ფრანგი სპეციალისტი კიდევ ერთ ცენტრალურ ნახევარმცველს ეკურკურება. ნუ გაიკვირვებთ და მეორე ფავორიტი ინგლისელია – "ასტონ ვილის" კაპიტანი **გარეთ ბერი.**

სამირის ბავშვობა სხვა ალჟირელ ემიგრანტთა ბავშვობისაგან არაფრით განსხვავდებოდა. ის მარსელის ჩრდილოეთი რაიონების ქუჩებში გაიზარდა. ნასრის ბავშვობა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც მისი ქალაქის გუნდმა, მოხუცი **რაიმონ გუტალსის** თავკაცობით, ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ისედაც ფრანგული ფეხბურთის აკვნად მიჩნეულ ქალაქს კიდევ უფრო გაუთქვა სახელი. რამდენიმე წელიწადში, "მარსელის" წარმატებას **ზინედინ ზიდანის** გამოჩენა მოჰყვა. 90-იანი წლების ბოლოს ფრანგებმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს. იმ ბიჭებისათვის, ვინც დღე და ღამ ბურთს დასდევდნენ, ეს უზარმაზარი სტიმული გახლდათ. სამირი ერთი ამ ბიჭთაგანი იყო.

ჯერ კიდევ 6 წლისა, ის საფეხბურთო სკოლა "პენე მირაბოში" მიაბარეს. როცა ქუჩაში ბურთს გააგორებდა, მხოლოდ უფროსი ასაკის ბიჭები ეთამაშებოდნენ. თანატოლებთან მისი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთები მასთან ერთად მოედანზე გასვლაზე უარს ამბობდნენ. სამირის ნიჭი ყველასათვის ცხადი გახდა. 8 წლის ბავშვი "მარსელის" სკაუტებმა კლუბის აკადემიაში მიიწვიეს. მას შემდეგ ფეხბურთელმა "ოლიმპიკის" ყველა ასაკობრივ გუნდში ითამაშა და უკლებლივ ყველგან ლიდერი გახდა.



სამირ ნასრი ლონდონური კარიერის დასაწყებად ემზადება

ნასრი 16 წლისა იყო, როდესაც საფრანგეთის შესაბამისი ასაკის ნაკრებში უხმეს. სამირმა ყველა ასაკობრივი ნაკრებში მოასწრო ასპარეზობა. მან ყველაზე დიდ წარმატებას 2004 წელს, 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე მიაღწია. ფრანგები ოქროს მედლებს დაეუფლნენ. ფინალში, ესპანეთის ნაკრებს გადამწყვეტი გოლი ნასრიმ გაუტანა.

17 წლის სამირი "მარსელის" ძირითად გუნდში აიყვანეს. ინგლისში წასვლამდე, მან საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში ოთხი სეზონი ჩაატარა. ამ დროის განმავლობაში, ის ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ გამთამაშებლად იქცა. რაც შეეხება სანაკრებო კარიერას, ნასრის დებიუტი 2007 წლის 28 მარტს, ავსტრიასთან მატჩისას შედგა (დებიუტანტმა მეორე დებიუტან **ქარიმ ბენზემას** საგოლე პასი გაუკეთა), ხოლო პირველი გოლი, როგორც გითხარით, საქართველოს შეუგდო. დღეისთვის მის ანგარიშზე 12 თამაშში გატანილი 2 გოლი და რამდენიმე საგოლე პასია.

სამირს შემტევი ფეხბურთელისათვის არადამახასიათებელი თვისება გამოარჩევს - ის მეტოქის იერიშების ჩაშლაში ისევე ეფექტურია, როგორც საკუთარი გუნდის შეტევების წამოწყებისას. ნასრი ართმევაზე თავდაუზოგავად თამაშობს. ფეხების მოფრთხილება მის სტილში არ ზის. საკმაოდ აგრესიული თამაშის მიუხედავად, უხეში ფეხბურთელი არ არის. ამის დასტურად გეტყვით, რომ "მარსელში" 101 თამაშში მის ანგარიშზე სულ რაღაც სამი ყვითელი ბარათია. ბურთისთვის თავგანწირული ბრძოლა რომ შეუძლია, ეს მან შარშანდელ სეზონში, "ლიონთან" მატჩისას დაამტკიცა. მეტოქის კლდესავით მაგარმა ფეხბურთელმა **ჟერემი ტულალანმა** ნასრისთან პაექრობას ვერ გაუძლო, დაშავდა და სამი კვირა იძულებით შვებულებაში გაატარა. არადა, ხშირად სულ პირიქითაა ხოლმე - ტულალანთან შეხლა-შემოხლას ნასრიზე უფრო ათლეტური ფეხბურთელებიც გაურბიან.

გასული წლის აპრილში სამირ ნასრიმ პირველი ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა. საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირის პრიზი წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის მას უბოძეს. სამირი მისმა კერპმა, ზინედინ ზიდანმა დააჯილდოვა. ზიზუმ საქებარი სიტყვები არ დაიშურა: *"გულწრფელად გეტყვით, აღფრთოვანებული ვარ იმ ბრწყინვალე თამაშით, რაც სამირმა წლევანდელ სეზონში გვიჩვენა. ასეთ ასაკში ასეთი დალვინებული თამაში არაორდინალურად მეჩვენება. გარწმუნებთ, ეს მხოლოდ პირველი ეტაპია. ძალიან კარგია, რომ ის "მარსელში" ასპარეზობს. აქ მწვრთნელების ყურადღებითაა გარემოცული, რაც მისი განვითარებისთვის შესანიშნავი წინაპირობაა. ხანდახან როცა სამირის თამაშს ვუყურებ, მასში ისეთ სიმსუბუქეს ვხედავ, მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს თავის უბანში, მასთან ერთად გაზრდილ ბიჭებთან აგორებდეს ბურთს. ზეწოლა მის თამაშზე გავლენას ვერ ახდენს."*

ევრო 2008 სამირისა და მისი თაობის ბიჭებისთვის კოშმარულ მოგონებად დარჩება. საფრანგეთის ნაკრები ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა. გუნდმა შესარჩევ ეტაპზე ფანტასტიკურად ითამაშა. თბილისური შეხვედრით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დონის გუნდს ჩვენს დედაქალაქში არც უთამაშია. ზიდანის პენსიაში გასვლის მიუხედავად, გუნდი მაინც ძალიან შიშისმომგვრელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. რთული სათქმელია, რა მოხდა ჩემპიონატისას. ასევე ძნელად ასახსნელია ის, თუ რატომ არ ენდო ახალი თაობის ფეხბურთელებს **რაიმონ დომენეკი,** მწვრთნელი, რომელმაც წლების განმავლობაში სწორედ ახალგაზრდებთან მუშაობით გაითქვა სახელი. არსენ ვენგერის აზრით, ნასრი ჩემპიონატის აღმოჩენად უნდა ქცეულიყო. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ სამირმა სამიდან მხოლოდ ორ მატჩში ითამაშა და მოედანზე სულ 27 წუთი დაყო.

ნასრი ერთ გაუგებრობაშიც მოხვდა. იტალიასთან მატჩის მეათე წუთზე **ფრანკ რიბერი** დაშავდა. მის ნაცვლად მინდორზე სამირი შევიდა. 10 წუთის შემდეგ დომენეკმა სამირი **ბუმსონგით** შეცვალა. რატომ მიიღო მწვრთნელმა ასეთი აბსურდული გადაწყვეტილება, ყველასათვის გაუგებარი დარჩა. გასაგებია, რომ გუნდი უმცირესობაში იყო დარჩენილი, მაგრამ რატომ გახდა საჭირო ჯანლონით სავსე შემქმნელი ფეხბურთელის მინდვრიდან გაყვანა? ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რატომ შეცვალა ნასრი, დომენეკმა მიუგო - ეს იყო გაკვეთილი ყველასთვის, რომ შეიძლება ნებისმიერ მომენტში ნებისმიერი მოთამაშე შევცვალოო. ჩემპიონატის შემდეგ მწვრთნელის მიერ ფრანგული პრესისთვის მიცემული ინტერვიუ ბევრ კითხვას სცემს პასუხს, მაგრამ ბევრს ისევ უპასუხოდ ტოვებს:

*"ზიდანი სანაკრებო შანსს დიდი ხანი ელოდა. ალბათ, იცით, რომ მისი დებიუტი 22 წლის ასაკში შედგა. არადა, ყველა წინაპირობა არსებობდა, რომ დებიუტი 18 წლისას ჰქონოდა. გარწმუნებთ, ამას წინ არაფერი ედგა. თუმცა სანაკრებო შანსისთვის ბოლომდე იბრძოლა. ეს ყველა ახალგაზრდამ უნდა გაითვალისწინოს, ვისაც ეროვნულ გუნდში თამაშის პრეტენზია გააჩნია. ნაკრებში თამაშის უფლება სულაც არაა ციდან უცაბედად მოვლენილი სასწაული. ყოველივეს დამსახურება უნდა."*

რაც არ უნდა ილაპარაკოს დომენეკმა, დღესავით ნათელია, რომ საფრანგეთის ნაკრების მომავალი სწორედ სამირ ნასრის, ქარიმ ბენზემას, **ჰატემ ბენ არფას** და სხვა მათი თანატოლი ფეხბურთელების ხელშია. ისინი პატარები არიან, ტალანტით გამორჩეულები და გარეგნული მოკრძალების მიუხედავად, ძალიან დიდი ამბიციაც აქვთ. ეს სამეული ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალიან ხშირად ხდებოდა სატრანსფერო ჭორების გმირი. ჯერ კიდევ შარშან, ნასრით აქტიურ დაინტერესებას გამოთქვამდა მადრიდის "რეალი". **რამონ კალდერონი** მზად გახლდათ, მარსელელთა მიერ მოთხოვნილი თანხა დაუყოვნებლივ გადაეხადა. მადრიდში ნიჭიერ ფლეიმეიქერს ეძებდნენ. **ბერნდ შუსტერს** ახალგაზრდა ფრანგი ძალიან მოსწონდა. თუმცა მოხდა ის, რასაც ნაკლებად თუ ელოდა ვინმე. ნასრის მრჩევლად თავად ზიდანი მოევლინა და ახალგაზრდა მეგობარს გაზეთ "ლა პროვანსის" ფურცლებიდან ღია წერილით მიმართა: *"სამირს დრო ყველაფრისთვის ეყოფა. დღეს, ყველაზე ლოგიკური იქნებოდა, ფეხბურთელი შინ, მარსელში დარჩენილიყო და საფეხბურთო ზრდა გაეგრძელებინა. სიმართლე ითქვას, მას წინ მთელი საფეხბურთო ცხოვრება აქვს და თუ მოინდომებს, ყველაფერს მოასწრებს, ყველაფერს მიაღწევს."* წარმოიდგინეთ, რამდენად გამბედავი უნდა იყოს ფეხბურთელი, რომ არ დაუჯეროს ადამიანს, ვინც ფეხბურთში ყველაფერი მოიგო და მარცხის სიმწარეც არაერთხელ ნახა.

ნასრისა და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ფრანგში ჟურნალისტები მუდმივად "ახალ ზიდანს" ეძებენ. შედარებები არც 20 წლის ბიჭს მოსწონს და არც ზიზუს: *"ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სამირი ჩემი მემკვიდრეა, უადგილოდ მეჩვენება. საკითხის ასე დაყენება, შესაძლოა, ზღუდავს კიდეც ფეხბურთელს. ის ნასრია და ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც სამირ ნასრი და სხვანაირად შეუძლებელია, იყოს. ყველას თავის ცხოვრებისეული გზა აქვს და ამ გზას ისე გადის, როგორც საჭიროდ თვლის. არაა აუცილებელი, ყოველ წუთას ერთმანეთს შევადაროთ ხოლმე. შეხედეთ და დარწმუნდით, რომ სამირი ყოველ მატჩში უმატებს. ის არც ჩემგან საჭიროებს რჩევას და არც სხვისაგან."*

იანვარში, როცა ვენგერმა ნასრით დაინტერესება ოფიციალურად დაადასტურა, ზიდანი უკვე ჩუმად იყო და წინა წლისაგან განსხვავებით, ყველა მიხვდა, რომ გენიამ დადებითად შეაფასა მისი საყვარელი ფეხბურთელის კარიერის განვითარების შესაძლო გზა. ფეხბურთელი, ვინც ოთხი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს თვალწინ წვერმოუპარსავი ბიჭიდან ნამდვილ კაცად იქცა (რა ამის პასუხია და მისი მეგობარი გოგონა მომხიბლავი ფრანგი ჩოგბურთელი **ტატიანა გოლოვინია**), ახლა უკვე ვენგერის შეგირდია და ალბათ ყველაზე პესიმისტებსაც კი არ ეპარებათ ეჭვი, რომ კონტინენტის მასშტაბით ყველაზე მომთმენი და ახალგაზრდებთან მუშაობის აგრერიგად მოყვარული მწვრთნელის ხელში მას დიდზე დიდი მომავალი ელის.

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ინტერვიუ ხუანდე რამოსთან

# რომანტიზმის დრო დასრულდა

## თუ დიდ ფულს არ დახარჯავ, ჩემპიონი ვერ გახდები



**ინგლისური "ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელი პრემიერლიგაში მეორე სეზონის დაწყებისთვის ემზადება. გუნდი სავარჯიშოდ მან ოლივაში ჩაიყვანა. მისი სტუმრობით ესპანელმა ჟურნალისტებმა მაქსიმალურად ისარგებლეს. სენიორ რამოსს პირველივე ვარჯიშის შემდეგ საგანგებო პრესკონფერენციის გამართვა მოუხდა. ინტერვიუ საკმაოდ ვრცელი გამოვიდა, მაგრამ თქვენს სამსჯავროზე ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გამოვიტანთ.**

**- სენიორ რამოს, ესპანეთში რატომ ჩამოხვედით?**

- ორი მიზეზის გამო. პრიმერადივიზიონურ გუნდებში მუშაობისას პრეტემპორადას ყოველთვის ესპანეთში ვიწყებდი. არ მინდა, ეს ტრადიცია დავარღვიო. ამიტომ "ტოტენჰემიც" აქ ჩამოვიყვანე. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩემი ქვეყანა ძალიან მომენატრა. აქ მშვენივრად ვგრძნობ თავს, ვარჯიშისთვის საუკეთესო პირობები გვაქვს და ინტენსიურად მოვემზადებით.

**- შესაძლოა უახლოეს დღეებში "ტოტენჰემი" დიმიტარ ბერბატოვმა და რობი კინმა დატოვონ.**

- ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. გამორიცხული არაფერია. ბერბატოვი და კინი ძლიერი ფეხბურთელები არიან და მათთან თანამშრომლობა მრავალ კლუბს სურს. ჯერჯერობით ისინი ჩვენთან არიან და ჩემი მითითებებით მოემზადებიან. არ ვიცი, ბულგარელი და ირლანდიელი კარიერას სად გააგრძელებენ. შესაძლოა, ჩვენთან დარჩნენ. ასე იქნება, თუ ისე, "ტოტენჰემს" ნებისმიერ შემთხვევაში კარგი შემადგენლობა ეყოლება. გასულ წელზე უკეთეს შედეგებს უნდა მივაღწიოთ. დამეთანხმებით, ამისათვის ბევრი მუშაობაა საჭირო. ინგლისის ჩემპიონატში დიდი კონკურენციაა. შეიძლება ჩემპიონობას უმიზნებდე, მაგრამ პრემიერლიგიდან გავარდნის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდე.

**- ახალი სეზონისთვის რა მიზნებს ისახავთ?**

- მე ყოველთვის რეალისტი ვიყავი და ახლაც ობიექტურად ვაფასებ მოვლენებს. მიზნები ძალიან ამბიციური გვაქვს, მაგრამ სხვა საქმეა, რამდენად შევძლებთ დასახული ამოცანების გადაჭრას. დასამალი არ არის, რომ უმდიდრესი ინგლისური კლუბები ყოველი სეზონის წინ კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ. "მანჩესტერ იუნაიტედი", "ჩელსი", "ლივერპული" და "არსენალი" წელსაც ფავორიტები იქნებიან. შემთხვევითი არ არის, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორი ბრიტანული გუნდი მოხვდა. სამწუხაროდ, "ტოტენჰემი" პრემიერლიგის გრანდებს ფინანსური შესაძლებლობებით ვერ შეედრება. თანამედროვე ფეხბურთში კი ფული ძალიან ბევრ რამეს წყვეტს. საუკეთესო მოთამაშეები იმ კლუბებში მიდიან, სადაც უფრო დიდ ხელფასს გადაუხდიან. რომანტიზმის დრო დასრულდა. ადრე ამა თუ იმ კლუბის სიყვარულის გამო ფეხბურთელები უფრო მაღალ ხელფასზე უარს ამბობდნენ და სხვაგან არ მიდიოდნენ. ახლა ამას აღარავინ აკეთებს. მოკლედ, ამდენი იმისთვის ვილაპარაკე, რომ "ტოტენჰემს" ინგლისის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ძალიან გაუჭირდება, თუმცა ჩვენი ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება, მაღალი ადგილი დავიკავოთ.

**- მაღალი ადგილის დაკავებას სტაბილური შემადგენლობა სჭირდება. თქვენი კლუბის ხელმძღვანელობა კი წამყვანი მოთამაშეების გაყიდვას აპირებს.**

- "ტოტენჰემს" წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული და გამობრძმედილი მსოფლმხედველობა აქვს. ეს კლუბი დიდწილად ფეხბურთელების ყიდვასა და სარფიანად გაყიდვაზეა დამოკიდებული. შესაძლოა, გულშემატკივრებს ბევრი რამ არ მოსწონთ, მაგრამ უნდა გაიგონ, რომ საფეხბურთო გუნდი იგივე კომერციული კომპანიაა. მარკეტინგის გარეშე ფინანსურ კრახს ვერ გავექცევით. ხელმძღვანელობა იძულებულია, წამყვანი ფეხბურთელები გაყიდოს და მიღებული კოლოსალური თანხით ახალი პროექტები განახორციელოს. ჩემი აზრით, ამ პოლიტიკას "ტოტენჰემისთვის" სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია. ისეთივე პოპულარული რომ ვიყოთ, როგორიც "რეალია", რა თქმა უნდა, საქმე სულ სხვანაირად იქნებოდა, მაგრამ "ტოტენჰემს" ლონდონის ერთი უბნის ხალხი ქომაგობს. ფანკლუბები ქალაქისა და ქვეყნის გარეთაც გვაქვს, მაგრამ პოპულარობით ევროპულ გრანდებს ვერ შევედრებით. ელემენტარულია. რაც უფრო მეტი გულშემატკივარი გყავს, მით მეტი შემოსავალი გაქვს. ერთი სიტყვით, ფეხბურთელების გაყიდვა გარდაუვალი პროცესია.

**- ფულზე ბევრს წუწუნებთ, მაგრამ მოდრიჩი საკმაოდ ძვირად შეიძინეთ.**

- თქვენ ის იკითხეთ, წლების შემდეგ რამდენად გავყიდით (იცინის). მოდრიჩი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე შევიძინეთ იმიტომ, რომ მერე ერთი ორად გაძვირდებოდა. ასეც მოხდა. დღეს რომ გავყიდოთ, რამდენიმე მილიონით მეტს ვიშოვით, მაგრამ მოდრიჩს ჯერ არ გავუშვებთ. მისგან ძლიერ თამაშს ველოდები. იმავეს ვიტყვი ჯოვანიზეც. ერთი შეხედვით, "ბარსელონას" დიდი ფული გადავუხადეთ, მაგრამ ეს კაპიტალდაბანდება გამაოგნებელ შედეგს გამოიღებს. ჯოვანი უნიჭიერესია და დარწმუნებული ვარ, 3-4 წლის შემდეგ პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდება. მისი ფასი კი რამდენიმე ათეული მილიონი იქნება.

**- მოარული ხმების თანახმად, ეტოოს, ვილიასა და არშავინის შეძენა გინდათ.**

- მოარულ ხმებს რომ დავუჯეროთ, შორს ვერ წავალთ. წინასასეზონო პერიოდში უამრავი ჭორი ვრცელდება და აუცილებელი არ არის, ყველაფერი დავიჯეროთ. მას შემდეგ, რაც "ტოტენჰემი" ჩავიბარე, მუდმივი სპეკულაციების ობიექტი ვარ. ჟურნალისტებს რომ დავუჯეროთ, ახლა უკვე 40 ფეხბურთელი უნდა მყავდეს ნაყიდი. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ "ტოტენჰემი" ეტოოს, ვილიასა და არშავინის აგენტებთან არ აწარმოებს მოლაპარაკებებს.

**- ესპანეთის ნაკრების გამარჯვებაზე რას გვეტყვით?**

- დღემდე აღფრთოვანებული და აჟიტირებული ვარ. ემოციებს დიდხანს ვერ ვთოკავდი. რამდენი ხანია, ასე არაფერი გამხარებია. ჩვენმა ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ ესპანური ფეხბურთი ძალიან სანახაობრივი და ეფექტურია. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ "სელექსიონს" გამართული საფეხბურთო მსოფლმხედველობა აღმოაჩნდა. წარმატებას სწორედ ამის ხარჯზე მივაღწიეთ. რომ იცოდეთ, როგორ ვამაყობ ესპანეთის ეროვნული გუნდით. მათ საოცრება მოახდინეს.

**- პრიმერადივიზიონური გუნდების შემადგენლობებს თვალს თუ გადაავლებთ, აღმოაჩენთ, რომ კლუბების აბსოლუტურ უმრავლესობას ესპანელები ხელმძღვანელობენ. როგორ ფიქრობთ, ეს ტენდენცია რას მოგვიტანს?**

- პირველ რიგში კვალიფიციური მწვრთნელების მთელ არმიას. მართალია, ესპანურ გრანდებს უცხოელები უდგანან სათავეში, მაგრამ უმრავლესობას მაინც ესპანელები წვრთნიან. ეს ფაქტი ძალიან მახარებს.

**- ინგლისში გულშემატკივრები როგორ გეპყრობიან?**

- ლონდონში ჩასვლის დღიდან დღემდე აღფრთოვანებული და მოხიბლული ვარ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ინგლისელები ესპანელ მწვრთნელს ასე შეხვდებოდნენ. მათ მხოლოდ ტელევიზიით ვყავდით ნანახი, მაგრამ აეროპორტში ათასობით ადამიანი დამხვდა. თავიდან ვიფიქრე, რაიმე გაუგებრობაში ხომ არ მოვხვდი-მეთქი, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ყველა ჩემს სანახავად იყო მოსული. გულშემატკივრების ჩემდამი სიყვარული მას შემდეგ ოდნავადაც არ განელებულა. არა მგონია, ასეთი პრივილეგია კიდევ ბევრ მწვრთნელს ჰქონდეს.

**- ესპანეთის ნაკრებში ვისენტე დელ ბოსკეს დანიშვნას როგორ აფასებთ?**

- ჩემი აზრით, ეს არაჩვეულებრივი არჩევანია. "სელექსიონს" სწორედ დელ ბოსკე სჭირდებოდა. ყველამ ნახა, რომ ჩვენმა ბიჭებმა სანახაობრივი ფეხბურთის თამაშით მიაღწიეს ფენომენალურ წარმატებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ესპანეთის ნაკრების წევრებს ყველაზე კარგად ტექნიკური ფეხბურთი ეხერხებათ. მთავარი სწორედ ეს არის. ტექნიკა ან გაქვს, ან არა, სწრაფად სირბილს კი ბევრი ვარჯიშის შედეგად აუცილებლად შეძლებთ. დელ ბოსკე ტექნიკური ფეხბურთის უდიდესი თაყვანისმცემელია და დარწმუნებული ვარ, "სელექსიონის" წარმატებულ კურსს გააგრძელებს. ის ტექნიკურ მოთამაშეებს ეფექტური ფინტისთვის ან ილეთისთვის თითს არ დაუქნევს. პირიქით, წაახალისებს და მადლობასაც ეტყვის.

**- ხომ არ იცით, კრისტიანო რონალდოსთან დაკავშირებით რა ხდება?**

- სიახლეებს მე თქვენი გაზეთის ვებგვერდის საშუალებებს ვეცნობი ხოლმე (იცინის). მე "ტოტენჰემის" მწვრთნელი ვარ და წარმოდგენა არ მაქვს, "მანჩესტერში" რას ფიქრობენ. ერთი რამ კი ფაქტია, ინგლისშიც და ესპანეთშიც უდიდესი სპეკულაციები მიმდინარეობს. ჯობია, რონალდოს ყველამ თავი დაანებოს და მშვიდად დასვენების საშუალება მისცეს.

**- როგორ ფიქრობთ, რონალდო "რეალს" სჭირდება?**

- რონალდო ნებისმიერ გუნდს დასჭირდება. სადაც ის ითამაშებს, იმ კლუბს დიდი გამარჯვებების მოპოვება უფრო გაუადვილდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

ჩეხეთის ნაკრები

# ბრიუკნერი მისმა ასისტენტმა შეცვალა

## კარელ რადა, ფეხბურთის ფედერაციის მოულოდნელი რჩეული



ჩეხეთის ნაკრების ახალი დამრიგებელი კარელ რადა

ჩეხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **პეტრ რადა** დაინიშნა. მისი დაწინაურება ბევრი მიმომხილველისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. რადას დებიუტი 20 აგვისტოს, ლონდონში შედგება. ამ დღეს დაგეგმილია ამხანაგური მატჩი ინგლისთან. 10 სექტემბერს რადას შეგირდებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს დაიწყებენ. მათი პირველი მეტოქე ჩრდილოეთი ირლანდიის ნაკრები იქნება.

**კარელ ბრიუკნერის** შემდეგ, ჩეხეთის ნაკრების გაძღოლას **იოზეფ ხოვანეცს** უწინასწარმეტყველებდნენ. ბევრის გასაკვირად, ფეხბურთის ფედერაციამ "ტეპლიცეს" დამრიგებელზე შეაჩერა არჩევანი. კლუბში მოღვაწეობის გარდა, რადა ბრიუკნერის თანაშემწეც იყო. ახალმა მწვრთნელმა გუნდში რადიკალური ცვლილებები გამორიცხა. უფრო მეტიც, პენსიაში გასული ვეტერანების დაბრუნებაც კი ისურვა. ასე მაგალითად, **იან კოლერი** ჩეხეთის ნაკრებში, შეიძლება, კიდევ ვიხილოთ:

*"იანმა გვითხრა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მზადაა, დაგვეხმაროს. გამოცდილ ფეხბურთელებს კიდევ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ."* რადა ნაკრებში დისციპლინის გამკაცრებას აპირებს: *"ზოგიერთმა ფეხბურთელმა უნდა გააცნობიეროს, რომ ის პროფესიონალია და საკუთარი ქვეყნის ღირსებას იცავს."* მწვრთნელმა კონკრეტული გვარების დასახელებისაგან თავი შეიკავა.

ჩეხების ახალ ბოსს არ დაუმალავს, რომ ბოლო წუთამდე აუტსაიდერი იყო. მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფავორიტად მასაც პრაღის "სპარტის" დამრიგებელი ხოვანეცი მიაჩნდა. ხოვანეცი ნაკრების ყოფილი თავკაცია. ის ეროვნულ გუნდში 1998-2001 წლებში მუშაობდა. ის 2001 წლის მიწურულს გადადგა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის ფლეი ოფში ბელგიელთა დამარცხება ვერ მოახერხა და მუნდიალს მიღმა დარჩა. სხვათა შორის, რადა მისი ასისტენტიც გახლდათ. "ტეპლიცეში" მისვლამდე, 49 წლის რადა პლზენის "ვიქტორიასა" და "იაბლონეცში" მოღვაწეობდა.

აქვე გეტყვით, რომ მესამე კანდიდატი საქართველოს ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **კლაუს ტოპმიოლერი** იყო, თუმცა ის ბრძოლას სამშაბათს გამოეთიშა. მხარეებმა კონტრაქტის პირობებზე შეთანხმება ვერ მოახერხეს.

---

რეალი

# კალდერონი: რონალდო მალე ჩამოვა

## პრეზიდენტმა ეგოიზმით დაავადებულ ფეხბურთელებს თითი დაუქნია

**კრისტიანო რონალდოს** მოსალოდნელმა ტრანსფერმა მადრიდის "რეალში" სიტუაცია დაძაბა. ამ დაძაბულობის მიზეზად ფეხბურთელების ეჭვიანობა და ეგოიზმი შეგვიძლია მივიჩნიოთ. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში **ვესლი სნეიდერის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. ჰოლანდიელმა მადრიდელ ჟურნალისტთან საუბარში პირდაპირ განაცხადა, "რეალს" კრისტიანო რონალდო არ სჭირდებაო. ვესლიმ ამით საკუთარი პოზიცია გამოხატა და წესით, მის სიტყვებს გამოხმაურება არ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ პორტუგალიელი ვარსკვლავის ხელში ჩასაგდებად **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** ფაქტობრივად 24-საათიანი რეჟიმით მუშაობენ. ალბათ, ცუდი მოსასმენი იქნება, როდესაც თავდაუზოგავი მუშაობის ფონზე შენი გუნდის წევრი შრომის შედეგს არაფრად ჩააგდებს. გარდა ამისა, აჟიოტაჟის აგორებას სნეიდერის კიდევ ერთმა ფრაზამ შეუწყო ხელი. ყბადაღებულ ინტერვიუში აღნიშნა, რონალდოს რაიმე პრივილეგიას თუ მიანიჭებენ, ფეხბურთელები ძალიან უკმაყოფილოები დარჩებიანო. პრეზიდენტი სწორედ ამ გარემოებამ შეაშფოთა. სნეიდერის სიტყვებმა იმდენად დააფიქრა, რომ მადრიდიდან სპეცრეისით ალგარვეში გაფრინდა. მოგეხსენებათ, მადრიდელები იქ პრეტემპორადის პირველ ეტაპს ატარებენ. პრეზიდენტის სტუმრობას ბევრი არ ელოდა, თუმცა მას ყველამ ყურადღებით მოუსმინა. კალდერონის გამოსვლას ჟურნალისტებიც დაესწრნენ, ამიტომ მისი სიტყვის შინაარსი ჩვენთვისაც ხელმისაწვდომი გახდა: *"გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ მომახსენეს, რომ კრისტიანო რონალდოს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ფეხბურთელების ერთი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს. მე ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არავის საქმე არ არის, კლუბის ხელმძღვანელობა ვის შეიძენს. თუ ვინმეს კონკურენციის ეშინია, ეს მისი პრობლემაა. მე არც დიქტატორი ვარ და არც მორალისტი. უბრალოდ, როგორც კლუბის პრეზიდენტი, ვალდებული ვარ, სიმშვიდისკენ მოგიწოდოთ. მოგწონთ თუ არა, კრისტიანო რონალდო უახლოეს მომავალში მადრიდში ჩამოვა და ჩვენთან კონტრაქტს გააფორმებს. თუ "სანტიაგო ბერნაბეუზე" კარგი კარიერის გაკეთება გინდათ, გირჩევთ, ემოციები მოთოკოთ და ინტენსიურად იმუშაოთ."*



კრისტიანო რონალდოს მადრიდში ელოდებიან

**ილია ნიკოლაიშვილი**

# ძალიან მინდა, ინტერში ყველა ჩემნაირად აზროვნებდეს



ინტერვიუ ჟოზე მოურინიოსთან

ოთხშაბათს, "ინტერი" აპიანო ჯენტილეში შეიკრიბა და ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. დილიდან, ჟოზე მოურინიო ფეხბურთელებთან და სამწვრთნელო შტაბთან საუბრებით იყო დაკავებული. მერე მან გამონახა დრო და ზუსტად 47 წუთის განმავლობაში ესაუბრა "ინტერ ჩენელს". ახლა სწორედ ამ ინტერვიუს საგაზეთო ვარიანტს გთავაზობთ...

**მოურინიო, რა უთხარით ფეხბურთელებს პირველი შეხვედრის დღეს? რა შეგიძლიათ დაასკვნათ ამ პირველი კონტაქტით, არის კი ეს ის გუნდი, რომელიც მზადაა გამარჯვებებისთვის?**

- ჩემთვის, გამარჯვებული ფეხბურთელი, მწვრთნელი თუ კლუბის რომელიმე მაღალჩინოსანი არის ის ადამიანი, ვინც გამარჯვებებით არასოდეს ილლება. აშკარად დავინახე, რომ ამ ბიჭებს მუშაობა სწყურიათ და მოტივაციაც დიდი აქვთ. იცით, ჩემთან მუშაობა ადვილიცაა და ძნელიც. ადვილი იმიტომ, ყველაფერი გამჭვირვალე და ორგანიზებულია, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ და სათქმელსაც პირდაპირ ვამბობთ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე... ხოლო ჩემთან მუშაობა ძნელია მათთვის, ვისაც ამგვარი ფილოსოფია არ ამოძრავებს. მინდა, რომ გუნდში ყველა ჩემნაირი იყოს. გესმით, რას ვგულისხმობ? აქ უსაზღვრო უნდა იყოს პროფესიონალიზმი, ვნება და ამბიციები. მე ვარ ის ადამიანი, ვისთვისაც რისკი აზარტია, და ამ რისკზე რომ მივდივარ, ცოტათი აგრესიულიც ვარ. ასეთი უნდა იყოს ჩემი გუნდიც. ერთად ჩვენ დიდი საქმის გაკეთება შეგვიძლია.

**- ფიქრობთ, რომ თქვენი მუშაობის მეთოდები ან მედიასთან ურთიერთობა რევოლუციურია?**

- არა, არა... არც რევოლუციონერი ვარ და არც მჭირდება რევოლუციური გარდაქმნები. და გეტყვით, რატომაც. მე ვარ ადამიანი ნათელი და გასაგები იდეებით. ვთვლი, რომ ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელია. ჩემი ცხოვრებისეული ფილოსოფია ძალიან ჰგავს ჩემსავე სამწვრთნელო კრედოს: სამართლიანობა, პირდაპირობა, გამჭვირვალობა ურთიერთობებში და ამბიცია. ეს არის ჩემი მთავარი სახასიათო შტრიხები და ძალიან არ მინდა, ის ოდესმე დავკარგო. დააკვირდებოდით, ჩემს სამწვრთნელო შტაბში ბევრი ადამიანი მუშაობს და ეს არ არის ჩემი ახირება. მიმაჩნია, რომ თანამედროვე მწვრთნელი 20 წლის წინანდელს არ ჰგავს და არც უნდა ჰგავდეს. დღევანდელი მწვრთნელი უნდა იყოს... არ ვიცი, რამდენად სწორად ვამბობ - ადამიანური რესურსების მენეჯერი. ეს სულაც არ არის რევოლუციური იდეა.

**- გარდა თქვენი სამწვრთნელო ფილოსოფიისა, ალბათ, არსებობს რაღაც ზნეობის კოდექსის მაგვარიც, რასაც ფეხბურთელებმა პატივი უნდა სცენ. ასეა?**

- უკვე ვისაუბრეთ ამაზე. მაგრამ ჩემთვის, მთავარი, მაინც სალი აზრია. ფეხბურთელს არ მოვთხოვ იმას, რასაც თავად ვერ გავაკეთებ. მაგალითს გეტყვით: თუკი მე ბაზაზე ვარჯიშის დაწყებამდე საათნახევრით ადრე მივდივარ, ვერ ავიტან, რომ ფეხბურთელმა დააგვიანოს. ასე პრობლემებს ვერ ავცდებით. კი, შეიძლება იყოს გარკვეული ფინანსური სანქციები, მაგრამ ეს ხომ სასაცილოა იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებიც მილიონებს გამოიმუშავებენ? თუ ვარჯიში იწყება 10 საათზე, ამ დროს ყველა ბაზაზე უნდა იყოს. მორჩა და გათავდა! თუ 24-ვე ფეხბურთელი მოედანზეა, ძალიანაც კარგი, ეს შესანიშნავია, მაგრამ თუ მხოლოდ 14-ია მოსული, ლოდინს ნამდვილად არ დავიწყებ. მე ასე მესმის...

**- დავუშვათ, მხოლოდ 14-ია. დანარჩენები?**

- დანარჩენები წავლენ სახლში. ნუ გეცინებათ, მართლა ასე მოხდება, მატჩიც რომ იყოს...

**- რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იმ მცირე ხნის განმავლობაში, რაც აპიანო ჯენტილეში ხართ?**

- ჩემთვის, არსებითი, მოთამაშეებთან ურთიერთობაა. ძალიან კარგად ვმუშაობ პრეზიდენტთან, ბრანკასა და ორიალისთან ერთად, მაგრამ კიდევ გიმეორებთ - ფეხბურთელები ჩემი სამუშაოს ქვაკუთხედია.

> მწვრთნელი და ფეხბურთელი გამარჯვებებით არ უნდა დანაყრდნენ, მათ წარმატების მუდმივი შიმშილი უნდა ჰქონდეთ

**- ექვსი ფორვარდი ძალიან ბევრი ხომ არ არის?**

- უკეთესია ბევრი, ვიდრე სულ არ გყავდეს. ვიცი, ბევრ მწვრთნელს აქვს მაღალი კლასის თავდამსხმელების პრობლემა. მაგრამ თუ იმას გულისხმობთ, რომ ჩვენს შემთხვევაში ეს "ინტერის" პრობლემაა, არ არის ასე, ეს უფრო მათი პრობლემაა. მოედანზე 11 მოთამაშე გადის, აქედან, ჩემი ფილოსოფიით, 3 ფორვარდი უნდა იყოს, დანარჩენები სკამზე იქნებიან. მოედანზე ბალანსი მჭირდება. 31 აგვისტომდე, როცა სატრანსფერო ბაზარი დაიხურება, დრო ბევრია და ვნახოთ... მაგრამ ჩვენ ტოპკლასის ფორვარდები გვყავს...

**- მოურინიო, რას გაიფიქრებთ, ახლა კვარეშმა და ლემპარდი რომ ვახსენოთ?**

- ლემპარდი "ჩელსის" მოთამაშეა, კვარეშმა კი "პორტუსი"... არ მიყვარს სხვა კლუბის ფეხბურთელებზე საუბარი, მით უმეტეს, კითხვის ქვეტექსტი პროვოკაციულია. ლემპარდთან სამნახევარი წელიწადი ვიმუშავე. ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. ეს არის და ეს. ამასწინათ, ერთ-ერთ პორტუგალიურ გაზეთს მივეცი ინტერვიუ. კვარეშმაზე მკითხეს. ვთქვი, რომ ის ძალიან მომწონს, მეტი არაფერი. უბრალოდ, ვალდებული ვარ, პატივი ვცე სხვა გუნდების მოთამაშეებსაც.

**- "ინტერში" დანიშვნისთანავე, პირველივე პრესკონფერენციაზე, გარკვევით თქვით: 24 ფეხბურთელი მჭირდება, ხოლო აქედან 3 მეკარე უნდა იყოსო. ხომ არ შეიცვალეთ აზრი?**



ერიქსონი არ გეგონოთ, ინგლისელი კომიკოსი დერეკ უილსონია

როგორ ხუმრობენ მექსიკაში...

# სად არის ნამდვილი ერიქსონი?

...სად არის და... იცით, რა მოხდა მექსიკაში? გუშინ, დილით, მეხიკოს "უნივერსიდად ნასიონალის" სტადიონზე გამოცხადდა ვინმე... **"სვენ გორან ერიქსონი"**, რომელიც, ნამდვილისგან განსხვავებით, იმ მომენტისთვის არა თუ მექსიკის დედაქალაქში, არამედ საერთოდ, ქვეყანაში არ ყოფილა...

შვედი სპეციალისტი **სვენ გორან ერიქსონი** მექსიკის ეროვნული გუნდის მწვრთნელად ერთი თვის წინათ დაინიშნა და უკვე შეუდგა კიდეც საქმეს. მექსიკაში მისი დროებითი არყოფნით ისარგებლა ინგლისელმა კომიკოსმა **დერეკ უილიამსმა**, რომელმაც მექსიკის ფეხბურთის ფედერაციას ყალბი საბუთები გაუგზავნა. თქვენ წარმოიდგინეთ, უილიამსმა მიაღწია იმას, რომ "უნივერსიდად ნასიონალის" სტადიონზე ის დიდი პატივით მიიღეს. "თავის გმირთან" საოცარი გარეგნული მსგავსების გამო, ხალხმა ის ნამდვილ ერიქსონად მიიღო...

კომიკოსი წარუდგა "პუმასის" მწვრთნელ **რიკარდო ფერეტის**, რომელსაც ეჭვი არაფერში შეჰპარვია, და აუწყა, რომ როგორც მექსიკის ნაკრების მწვრთნელი, იქ მის ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად მივიდა. ხედავთ, რა ხდება? მექსიკელები იმდენად ცუდად იცნობენ ეროვნული გუნდის ახალ დამრიგებელს, რომ უმალ მახეში გაებნენ, თუმც ამ სპექტაკლის თაობაზე ბევრიც ინფორმირებული იყო. "პუმასის" მწვრთნელთან გასაუბრების შემდეგ, "ერიქსონმა" ორ გრძელფეხება ლამაზმანთან (ესეც არ ყოფილა ამ წარმოდგენის შემთხვევითი სცენა, ერიქსონის ცნობილი მიდრეკილებების გამო) ერთად, მოედანს საპატიო წრეც დაარტყა.

მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია კი მომხდარში მხოლოდ მოგვიანებით გაერკვა და მყისვე გავრცელდა პრესრელიზი, რომელშიც ნათქვამია:

*"ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი, ამჟამად, გუნდთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრძანდება. ის, რაც მეხიკოს სტადიონზე მოხდა, ეროვნული გუნდის დამრიგებლის მიმართ სრული უპატივცემულობის გამოვლინებაა".*

გიორგი გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

> **ანჩელოტის ერთი რამ უნდა ახსოვდეს, რომ მილანის ისტორიაში ყველაზე დიდი მწვრთნელი არიგო საკი იყო**

- არ შემიცვლია. ეს არ არის ჩემი პრობლემა. ჩვენ 29 ფეხბურთელით ვიწყებთ, აქედან, 5 ტრავმირებულია. ასე რომ, 24 უკვე გროვდება... ეს ნახევრად ხუმრობით, რა თქმა უნდა. საერთოდ კი, ვარჯიშის დროს მოედანზე მაქსიმუმ 22 ფეხბურთელი უნდა მყავდეს.

**- როგორი ურთიერთობა გაქვთ რომან აბრამოვიჩთან, რომელიც ჯიბრში ჩაგიდგათ და ლემპარდს ცოცხალი თავით არ უშვებს?**

- ნახევარმცველი აუცილებლად მჭირდება. როგორც კი ჩამოვედი, მაშინვე ვთქვი, რომ დამჭირდებოდა ერთი შუახაზელი, რომელიც განსხვავებული იქნებოდა იმათგან, ვინც დღეს გუნდშია. ახლაც ამ აზრზე ვარ. რაც შეეხება აბრამოვიჩს... არ ვიცი, რა გითხრათ... მე მწვრთნელი ვარ, ტრანსფერებსა და სხვა კლუბებთან ურთიერთობაზე კი მორატი, ბრანკა და ორიალი ზრუნავენ.

**- იყო საუბარი იმაზე, თითქოს სტანკოვიჩი მიდის. რას ფიქრობთ მასზე?**

- სტანკოვიჩი პრობლემა არ არის, მე მომწონს ის, როგორც ფეხბურთელი... მაგრამ გულახდილად ვუთხარი: ჩემთვის ნამდვილი სტანკოვიჩი არის ის, რომელიც თავის დროზე "ლაციოში" თამაშობდა. როგორც ყოველთვის, ახლაც გულწრფელად გეტყვით, რომ მასთან ერთად მუშაობა ჩემთვის ერთგვარი გამოწვევაა. შემიძლია, დავეხმარო იმაში, რომ ისევ ის სტანკოვიჩი გახდეს, როგორიც "ლაციოდან" გვახსოვს.

**- "მილანმა" რონალდინიო იყიდა...**

- შესანიშნავია. როცა "ჩელსიში" ვიყავი, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ინგლისური ფეხბურთის საქმესაც ვაკეთებდი. ანალოგიურად იქნება "ინტერის" შემთხვევაშიც, აქ იტალიური ფეხბურთისთვისაც უნდა ვიმუშაო. როცა სერია A-ში რონალდინიოს დარი ფეხბურთელი მოდის, უფრო ადვილია, რომ იტალიის ჩემპიონატმა ძველი დიდება და ხიბლი დაიბრუნოს. ასეთ პირობებში კონკურენცია გაცილებით მიმზიდველია. თუ სხვა კლუბებიც იყიდიან ამგვარი კალიბრის მოთამაშეებს, მით უკეთესი.

**- თუ არ ჩავთვლით "ინტერის" მოთამაშეებს, სერია A-ს რომელი ფეხბურთელი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

- ოო, ეს კითხვა მილიონი დოლარი ღირს... მოკლედ გეტყვით: ეს არის ფეხბურთელი, რომელიც არც "მილანში" თამაშობს, არც "იუვენტუსში" და არც "რომაში".

**- ბურდისოს ელაპარაკეთ?**

- ყველას ველაპარაკე. სიტუაცია მარტივია: ამ მომენტისთვის ჩვენ სამი ცენტრალური მცველი გვყავს - ბურდისო, მატერაცი და რივასი. მოგვიანებით, გვეყოლება ქესსი, რადგან კივუ, კორდობა და სამუელი ტრავმებს მოიშუშებენ. ანუ, აქ პრობლემა დაახლოებით ისეთივეა, როგორც თავდასხმაში. მოედანზე მხოლოდ ორი ცენტრალური მცველი უნდა იყოს, ერთი სკამზე უნდა დაჯდეს, დანარჩენები... დანარჩენები ნამდვილად არ ვიცი. მაგრამ ერთი მხრივ, ეს უპირატესობაცაა, რადგან ჩვენ გვყავს მცველები, რომელთაც, ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციების პირობებში, სხვა ზონების გადაფარვაც შეუძლიათ. საერთო კი ექვსი ცენტრალური მცველი მართლა ძალიან ბევრია. ბიჭებთან საუბრის დროს გულახდილი ვიყავი, ისინი ინტელიგენტები არიან და ყველაფერს ისე გაიგებენ, როგორც საჭიროა.

**- თქვით, რომ ახალი ნახევარმცველი გსურთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა ტრანსფერები აღარ იქნება?**

- არ ვიცი, რა მოხდება 31 აგვისტომდე. უნდა მოვიცადოთ.

**- თქვენი ფავორიტი ტაქტიკური სქემა? გვაინტერესებს თქვენი აზრი იბრაჰიმოვიჩსა და ადრიანოზეც. ორივეს ცენტრფორვადად განიხილავთ, თუ მათ სხვადასხვა პოზიციაზე გამოიყენებთ?**

- ძალიან მომწონს 4-3-3 და ამაზე უკვე ვესაუბრე ფეხბურთელებს. ამ სქემაში სამი სუფთა ფორვარდია. მათი პოზიცია მნიშვნელოვანი არ არის და, შეიძლება, მატჩიდან მატჩამდე იცვლებოდეს. ნახევარდაცვაში 3 ფეხბურთელი კი მეტად საინტერესო გამოწვევაა. არ მეთანხმებით? ეს გუნდს აძლევს სრულ თავისუფლებას იმისთვის, რომ ითამაშოს 3 თავდამსხმელით. ამ თვალსაზრისით, იბრაჰიმოვიჩისა და ადრიანოს ერთად თამაში პრობლემა არ იქნება.

**- რას ფიქრობთ ამანტინო მანსინიზე? ის თქვენი პირველი შენაძენია...**

- მანსინი ძალიან მომწონს და ამიტომაც მინდოდა მისი ყიდვა. ის მრავალმხრივი ფეხბურთელია, უყვარს ხაზებს შორის თამაში, უყვარს დიაგონალური გარღვევებიც, სწრაფი და დინამიურია, გოლების გატანაც ეხერხება. დააკვირდით, ამ ამპლუის ფეხბურთელებს შორის მას სერია A-ში ბრწყინვალე საგოლე მაჩვენებელი აქვს. მანსინი არის მემარჯვენე, რომელიც კარგად თამაშობს მარცხენა ფლანგზე და ეს ძალიან კარგია, რადგან ხშირ შემთხვევაში ცენტრისკენ შეწევაც შეუძლია.

**- ინგლისში ამბობენ, მოურინიო დაცვითი სტილის მოყვარული მწვრთნელიაო...**

- ამას ამბობენ ინგლისში და არა იტალიაში? მართლა? ოჰ, ეს ინგლისი... 2004-დან 2007 წლამდე "ჩელსიმ" პრემიერლიგაში ყველა რეკორდი მოხსნა. ჩემთან ერთად, გუნდმა ყველაზე მეტი გასვლითი შეხვედრა მოიგო, უმრავლეს შემთხვევაში ვთამაშობდით 3 ფორვარდით და ძალიან ბევრი მატჩი მოვიგეთ ბოლო 10-15 წუთში. ეს არის დაცვითი ფეხბურთი?

**- "პორტუსა" და "ჩელსიში", ერთად აღებული, ზედიზედ 99 საშინაო მატჩი მოიგეთ...**

- შეგისწორებთ: სინამდვილეში, არ წამიგია ბოლო 99 საშინაო შეხვედრა. ასე რომ, 100-მდე ერთი მატჩიღა მაკლია.

**- ადრიანო მოტივირებულია?**

- ჯერ ვერ გეტყვით, რადგან კონტაქტი უფრო გუნდთან მქონდა, ვიდრე ცალკეულ მოთამაშეებთან. მას სხვა გზა არ აქვს, გარდა იმისა, რომ მოტივირებული იყოს. ჩვენ მას ვაძლევთ შანსს, ხმაურით დაბრუნდეს ევროპულ ფეხბურთში და იმედია, ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

**- რა განსხვავებაა, მიხვიდე "ჩელსიში", რომელსაც 50 წელიწადია, ტიტული არ მოუგია, და მიხვიდე "ინტერში", რომელმაც ზედიზედ სამჯერ იმარჯვა სერია A-ში?**

- პირადად ჩემთვის, არანაირი განსხვავება არ არის. ერთ შემთხვევაში, მოგება გინდა იმიტომ, რომ დიდი ხანია არაფერი მოგიგია, ხოლო მეორე შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტი გინდა. ეს სწორედ ჩემი ფილოსოფიაა. მწვრთნელი და ფეხბურთელი გამარჯვებებით არ უნდა დანაყრდნენ, მათ წარმატების მუდმივი შიმშილი უნდა ჰქონდეთ.

**- შედის თუ არა თქვენს მეთოდებში ფეხბურთელებს შორის კონკურენცია უშუალოდ საწვრთნელი პროცესის დროს?**



მასიმო მორატი ინტერისა და მოურინიოს პირველ ვარჯიშზე

> **თანამედროვე ადამიანი ვარ და კარგად ვიცნობ მედიის მუშაობის სტილს, რომელიც ტყუილს უფრო კარგად ყიდის, ვიდრე სიმართლეს**

- საერთოდ, კონკურენცია ძალზე მნიშვნელოვანია. უკვე ავუხსენი ფეხბურთელებს, რომ ჩემი მუშაობის მეთოდები მთლიანად დამყარებულია კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნაზე. მაგრამ კონკურენციაში არ უნდა ვიგულისხმოთ ომი იმ მოთამაშეებს შორის, რომლებიც ერთსა და იმავე პოზიციაზე მოიაზრებიან. თუკი ესა თუ ის ფეხბურთელი მწვრთნელის პირველი არჩევანია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეორე არჩევანმა ნაკლები უნდა იშრომოს. ის მუდამ უნდა ცდილობდეს, რომ პირველი არჩევანი გახდეს.

**- როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა თქვენსა და რობერტო მანჩინის "ინტერს" შორის?**

- მე მგონი, მსგავსი შედარება უადგილოა. მანჩინი უკვე "ინტერის" ისტორიის ნაწილია, მე კი ჯერ ერთი მატჩიც არ ჩამიტარებია. ყველა მწვრთნელს თავისი იდეები აქვს. შეიძლება, მე არ მომწონდა მანჩინის "ინტერი", მას კი მოურინიოს "ჩელსი", მაგრამ ეს ნორმალურია. ასეც და ისეც, მის შრომას ვაფასებ და უდიდეს პატივს ვცემ.

**- სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშს სხვადასხვა ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება?**

- მოდით, ასე ვთქვათ: გუნდს საკუთარი იდენტობა უნდა ჰქონდეს და არ აქვს მნიშვნელობა, სერია A-ს მატჩს ატარებს თუ ჩემპიონთა ლიგისას. აქ მთავარია არა ფსიქოლოგიური მომზადება, არამედ ის, თუ რამდენად ვართ მზად, სხვადასხვა საფეხბურთო სისტემისა თუ კულტურის მქონე კლუბებს დავუპირისპირდეთ და თან წარმატებას მივაღწიოთ.

**- ამასწინათ, მასიმო მორატიმ ლეგენდარულ ელენიო ერერას შეგადარათ...**

- არ მომეწონა ეს შედარება, რადგან "ინტერის" ისტორიაში სინიორ ერერას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ მომენტისთვის, მე არაფერი გამიკეთებია ისეთი, რომ ერერას შემადარონ.

**- კარლო ანჩელოტის ჰკითხეს, ხომ არ გეშინიათ, "ინტერში" მოურინიო რომ მოდისო. მისი აზრები საკამათო გახდა. როგორ გგონიათ, რატომ?**

- ეს მას უნდა ჰკითხოთ. ისე, ანჩელოტის ერთი რამ უნდა ახსოვდეს, რომ "მილანის" ისტორიაში ყველაზე დიდი მწვრთნელი იყო არიგო საკი. სხვათა შორის, საკის ფეხბურთი ჩემზე უკეთ ნამდვილად არ უთამაშია. და ერთსაც დავამატებდი: საერთოდ, ყველაზე მაგარია ჩემი დანტისტი, რომელსაც კბილი არასოდეს სტკივებია.

**- პრესასთან როგორ ურთიერთობას ისურვებდით?**

**- ტყუილები არ მიყვარს. აქაურ სიტუაციაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოვედი.** მაგრამ მე ვარ 21-ე საუკუნის ადამიანი და კარგად მესმის თქვენი სამუშაოს სპეციფიკა, როცა ტყუილი უფრო კარგად იყიდება, ვიდრე სიმართლე. ეს არის თქვენი ცხოვრება, რომელიც, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მომწონს... მაგრამ რას ვიზამთ, ყველაფერს უნდა მივეჩვიოთ. მზად ვარ, გაგიგოთ და ერთად ვიმუშაოთ. თუმცა იცოდეთ, რომ ჩემთვის "ინტერი" და მისი ბიჭები ასმაგად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენ...

მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

---

ვერდერი

# ფრინგსი: საჭიროა ტოპფორვარდი!



ტორსტენ ფრინგსი

ბრემენის "ვერდერი" ახალი სეზონისთვის უკვე დიდი ხანია ემზადება, მაგრამ ლიდერი **ტორსტენ ფრინგსი** ჯერ გუნდთან ერთად არ არის, რადგან ევროპის ჩემპიონატის გამო, ხანგრძლივი შვებულება დაიმსახურა. მაგრამ ფრინგსი ბრემენულ კლუბში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს შვებულებიდანაც ძალიან კარგად ადევნებს. 31 წლის საყრდენი ნახევარმცველი გუნდის შეფებს ტრანსფერების განხორციელებისკენ მოუწოდებს.

ფრინგსი ფიქრობს, რომ "ვერდერმა", როგორც მინიმუმ, ერთი უმაღლესი კლასის თავდამსხმელი უნდა შეიძინოს. *"ხანდახან სულაც არ არის ხოლმე აუცილებელი, რომ ძვირფასი ფეხბურთელი იყიდო, მაგრამ ამ შემთხვევაში ფაქტია, რომ ჩვენ მინიმუმ ერთი უმაღლესი კლასის ფორვარდი გვჭირდება,"* - უთხრა ფრინგსმა "შპორტ-ბილდს".

კითხვაზე, შიშობს თუ არა, რომ მომავალი სეზონი "მუსიკოსთათვის" წარუმატებელი იქნება, ტორსტენმა ასე უპასუხა: *"თუკი იღბალი ჩვენსკენ იქნება და წამყვანი ფეხბურთელები ზუსტად ისევე არ დაგვიშავდებიან, როგორც წინა სეზონში, მაშინ რაღაცაც აუცილებლად მოვიგებთ."*

მოკლედ, ფრინგსი თავდამსხმელის ყიდვას ითხოვს, მაგრამ ბოსები, როგორც ირკვევა, არავის შეძენას აღარ აპირებენ. პირიქით, "ვერდერმა" ხორვატი **ივან კლასნიჩიც** დაკარგა.

**გოტფრიდ ლენცი**



შვიდწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ივან კლასნიჩმა ვერდერი დატოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა


ვიქტორ იკპება


კარლოს ალბერტო


ანდრეს დ'ალესანდრო


იორგ ალბერტცი

გერმანია

# წყალში გადაყრილი მილიონები

## ბუნდესლიგის ყველა დროის 20 ყველაზე ფლოპ-ტრანსფერი

ცოტა ხნის წინათ, არგენტინელმა ხუან პაბლო სორინმა "ჰამბურგი" დატოვა და თანაც ისე, რომ ორი წლის განმავლობაში ჩრდილოგერმანულ კლუბში არაფერი გაუკეთებია. არადა, HSV-ში გადასვლამდე ის უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გახლდათ, ისეთი, რომელზეც ბუნდესლიგის ნებისმიერი კლუბის მენეჯერი იოცნებებდა. ის, რაც "ჰამბურგს" არგენტინელთან მიმართებაში დაემართა, გერმანულ კლუბებს ბუნდესლიგის 45-წლიან ისტორიაში არაერთხელ დამართნიათ. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც გუნდმა ამა თუ იმ ფეხბურთელში მილიონები გადაიხადა, ძალიან მაღალი ხელფასი დაუნიშნა, ხოლო ფანებმა უდიდესი იმედები დაამყარეს, მოთამაშემ კი კლუბსა და ქომაგებს მოედნიდან სამაგიერო ვერ გადაუხადა.

მოდით, გავიხსენოთ გერმანიის პირველობის ყველაზე უიღბლო ტრანსფერები. საინტერესოა, თქვენ თუ გეხსომებათ ყოველი მათგანი. მაშ ასე: ბუნდესლიგის ყველა დროის 20 ყველაზე ფლოპ-ტრანსფერი.

### ხუან პაბლო სორინი (ჰამბურგი)

სორინი "ჰამბურგში" 2006 წლის მუნდიალის შემდეგ გადავიდა და ჩრდილოგერმანელებმა მის სანაცვლოდ "ვილიარეალს" 3 მილიონი ევრო ჩაუთვალეს. ის მაშინ არგენტინის ნაკრების კაპიტანი გახლდათ (76 მატჩი ეროვნულ გუნდში). ხუანს თვეში 300 000 ევროს უხდიდნენ და ასე განსაჯეთ, ბოლო სეზონში მოედანზე მხოლოდ 119 წუთი გაატარა. გამოდის, რომ ორი წლის განმავლობაში 7 მილიონი ევრო, ფაქტობრივად, ტყუილად მიიღო და ახლაც, როცა კონტრაქტი გაუწყვიტეს, "ჰამბურგი" იძულებული გახდა, კომპენსაციის სახით 1.5 მილიონი გადაეხადა.

### იან შიმაკი (ლევერკუზენი)

2002 წელს, "ლევერკუზენმა" "ჰანოვერს" ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ 6.5 მილიონი ევრო გადაუხადა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, **შიმაკი** "ბაიერიდან" 550 000 ევროს სანაცვლოდ გაიყიდა (!) - მოთამაშის ასეთი სწრაფი გაუფასურება ოდესმე გსმენიათ? ერთ დროს ახალ მარადონად წოდებულმა პლეიმეიქერმა მას მერე პრალაშიც ითამაშა და მეორე ბუნდესლიგაშიც, სადაც გასულ სეზონში, ქართველებთან ერთად იენის "კარლ-ცაისის" ღირსებას იცავდა. მასზე მოთხოვნა ისევ გაჩნდა - შიმაკი "შტუტგარტში" გადავიდა და ეს მისი მორიგი შანსია, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს.

### ალექს ალვეში (ჰერტა)

ეს თავდამსხმელი ბერლინის "ჰერტამ" 2000 წელს, "კრუზეიროდან" გადაიბირა. ბერლინელებმა ალექს ალვეშში 7.6 მილიონი გადაიხადეს. ერთადერთი ხეირიანი რამ, რაც ამ ფეხბურთელმა "ჰერტაში" თამაშის პერიოდში გააკეთა, გახლდათ ის, რომ "კიოლნს" გაუტანა გოლი, რომელიც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა 2000 წლის საუკეთესო გოლად აღიარეს.

### იორგ ალბერტცი (ჰერტა)

ეს იყო ფეხბურთელი, რომელზეც "ჰამბურგის" ფანები უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. HSV-მ **იორგ ალბერტცი** 2001 წელს, გლაზგოს "რეინჯერსიდან" 5 მილიონ ევროდ იყიდა. მაგრამ თავდამსხმელმა (ხაზს ვუსვამთ: თავდამსხმელმა) 2 წლის განმავლობაში მხოლოდ 6 გოლის გატანა შეძლო და 2003 წელს "შანხაიში" გაუშვეს. უფასოდ!

### კარლოს ალბერტო (ვერდერი)

ბრაზილიელი **კარლოს ალბერტო** ბრემენის "ვერდერის" ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახლავთ და ამავე დროს, ის უკვე გახდა გუნდის ყველა დროის ყველაზე დიდი შეცდომა! 2007 წელს "კორინთიანსმა" ამ ნახევარმცველის სანაცვლოდ 8.5 მილიონი ევრო მიიღო. "მუსიკოსებს" ამდენი ფული მანამდე არც ერთ მოთამაშეში არ ჰქონდათ გადახდილი. კარლოს ალბერტოს ხელფასიც დიდი დაუნიშნეს: 2 მილიონი წელიწადში. მაგრამ მან "ვერდერში" მხოლოდ სკანდალები მიიტანა და სულ რაღაც 2-ჯერ ათამაშეს ძირითად შემადგენლობაში! ახლა "ბოტაფოგოშია" განათხოვრებული.

### კარლ დელეი (ბაიერნი)

ეს უკანასკნელი 1980 წელს მიონხენგლადბახის "ბორუსიიდან" "ბაიერნში" გადავიდა და რეკორდმაისტერმა მასში 650 000 ევრო გადაიხადა, რაც იმ დროისთვის ბავარიული კლუბისთვის რეკორდი გახლდათ. ფეხბურთელმა 5 წელიწადში 7 გოლის გატანა შეძლო...

### ზოლტან შებეშენი (ლევერკუზენი)

"ლევერკუზენმა" ეს ფეხბურთელი 2001 წელს "ვოლფსბურგიდან" 6 მილიონად შეიძინა. 32 მატჩის შემდეგ, **შებეშენმა** კარიერა დაასრულა! დღესდღეისობით, "შტუტგარტერ კიკერსში" მუშაობს, სადაც ბავშვებს წვრთნის.

### იგორ ბელანოვი (გლადბახი)

ეს უკანასკნელი მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" 1989 წელს 1 მილიონის სანაცვლოდ გადავიდა. ეს გახლდათ პირველი ფეხბურთელი ბუნდესლიგაში საბჭოთა კავშირიდან. ორწელიწადნახევრის განმავლობაში მან მხოლოდ 4 გოლი გაიტანა და რა გასაკვირია, რომ 1991 წელს გაუშვეს.

### დარკო პანჩევი (დიუსელდორფი)

1995 წელს, უეფას თასის მფლობელი **დარკო პანჩევი** "ინტერიდან" დიუსელდორფში გადაბარგდა და გერმანულ კლუბს მისი შეძენა 600 000 ევრო დაუჯდა. პანჩევის შედეგი: 14 თამაში, 2 გოლი.

### მარკო რაიხი (კიოლნი)

2001 წელს, 3 მილიონად "კაიზერსლაუტერნიდან" "კიოლნში" გაიყიდა და მას მერე მოედანზე 90 წუთი მხოლოდ 4-ჯერ გაატარა. ახლა გრაცშია, სინჯებზე...

### იური ჯორკაეფი (კაიზერსლაუტერნი)

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 1999 წელს **ოტო რეჰაგელმა** 1.8 მილიონის სანაცვლოდ "ინტერიდან" "კაიზერსლაუტერნში" წაიყვანა. "წითელი ეშმაკების" რიგებში **ჯორკაეფმა** 55 თამაშში 14 გოლი გაიტანა.

### თომას ბერთოლდი (ბაიერნი)

**თომას ბერთოლდი** 1991 წელს "რომადან" "ბაიერნში" უფასოდ გადაბარგდა და იმის გამო, რომ ძალიან ძვირფასი ფეხბურთელი იყო, უდიდესი ხელფასი დაუნიშნეს. უკვე მეორე სეზონში, მას რეკორდმაისტერის რიგებში არც ერთი შეხვედრა აღარ ჩაუტარებია და ფეხბურთიდან გოლფში გადაინაცვლა.

### იონ დალ ტომასონი (შტუტგარტი)

2005 წელს, "შტუტგარტის" თავკაცმა **ჯოვანი ტრაპატონიმ** დაჟინებით მოითხოვა დანიელი თავდამსხმელის, **იონ დალ ტომასონის** შეძენა, რომელიც იმხანად "მილანის" ღირსებას იცავდა. შვაბებმა "როსონერის" 7.5 მილიონი ევრო გადაუხადეს და ტომასონი იყიდეს. თანაც, დანიელს წელიწადში 4.5 მილიონი დაუნიშნეს. ტომასონმა VFB-ში 30 თამაში ჩაატარა და მხოლოდ 8 გოლი გაიტანა. ახლა "ფეიენოორდის" ღირსებას იცავს.

### ვიქტორ იკპება (დორტმუნდი)

1999 წელს დორტმუნდის "ბორუსიამ" (მაშინ BVB-ს ძალიან ბევრი ფული ჰქონდა და კარგადაც ფლანგავდა) "მონაკოს" **ვიქტორ იკპებას** სანაცვლოდ 7.5 მილიონი გადაუხადა. ნიგერიელმა თავდამსხმელმა ორწელიწადნახევრის განმავლობაში მხოლოდ 3 (!) გოლი გაიტანა და მერე არაბეთში გადაიხვეწა...

### ალან მაკინელი (ბაიერნი)

1989 წელს "ბაიერნს" მისი შეძენა 1.65 მილიონი დაუჯდა. სამი წლის განმავლობაში მაკინელიმ ოდენ 10 გოლს მოუყარა თავი. რეკორდმაისტერის ფანებმა მას ამის გამო "მაკნული" შეარქვეს.

### ანიბალ მატელანი (შალკე)

2001 წელს "შალკემ" ამ არგენტინელ მცველში 4.8 მილიონი გადაიხადა და უაღრესად ნიჭიერი **ანიბალ მატელანი** "ბოკა ხუნიორსიდან" იყიდა. ფეხბურთელს წელიწადში 1.3 მილიონი დაუნიშნეს. 43 თამაშის შემდეგ, მან "შალკე" უფასოდ დატოვა.

### ბენიამინ ლაუთი (ჰამბურგი)

**ბენი ლაუთი** ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ გერმანელ ფეხბურთელად მიიჩნეოდა, როცა "ჰამბურგმა" 2004 წელს "მიუნხენ 1860"-ს მასში 4.1 მილიონი ევრო გადაუხადა. ორწელიწადნახევრის განმავლობაში ლაუთმა მხოლოდ 10 გოლი გაიტანა. მერე "ჰანოვერში" გაუშვეს, მაგრამ ველარც იქ გამოიჩინა თავი.

### ანდრეს დ'ალესანდრო (ვოლფსბურგი)

2003 წელს, "ვოლფსბურგმა" ყველასთვის მოულოდნელად, ძალიან ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა: "მგლებმა" 9 მილიონ ევროდ იყიდეს არგენტინელი სუპერ-ტალანტი **ანდრეს დ'ალესანდრო**, რომელზეც ევროპული გრანდები ნადირობდნენ. არგენტინელს წელიწადში 1.8 მილიონი დაუნიშნეს. ტრანსფერმა ვერ გაამართლა - დ'ალესანდრო ვერ შედგა შესანიშნავი პლეიმეიქერი. 2005 წელს ის "პორტსმუთში" გაანათხოვრეს, ახლა კი "სან ლორენცოშია".

### ბენტ კრისტენსენი (შალკე)

1991 წელს "შალკემ" ამ ფეხბურთელში 2.5 მილიონი გადაიხადა. **კრისტენსენი** გელზენკირხენულ კლუბში "ბრონდბიუდან" გადავიდა. 2 წლის განმავლობაში მის ანგარიშზე მხოლოდ 8 გოლი იყო.

### ლუიზაო (ჰერტა)

2002 წელს, როცა მსოფლიოს ჩემპიონი **ლუიზაო** "ჰერტაში" უფასოდ გადავიდა, ბერლინში უდიდესი ზეიმი გაიმართა. მაგრამ ჩამრგვალებულმა თავდამსხმელმა 26 შეხვედრაში სულ რაღაც 4 გოლის გატანა შეძლო. დღეს 32 წლის გახლავთ, კარიერა არ დაუმთავრებია, მაგრამ უგუნდოდაა...

გოტფრიდ ლენცი


იური ჯორკაეფი


იონ დალ ტომასონი


ხუან პაბლო სორინი


ალექს ალვეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო წარმოგიდგენთ

## საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

მოსკოვი. XXII ოლიმპიადა

# ბოიკოტი ოლიმპიზმის წინააღმდეგ



ქეთევან ლოსაბერიძე



შოთა ხაბარელი



ვახტანგ ბლაგიძე



ალმავლობის გზით მიმავალ მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში უეცრად გაჩნდა ბზარი, რამაც სპორტული სამყარო ორად გახლიჩა. 1979 წელს, დეკემბერში, მოსკოვის ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, საბჭოთა კავშირმა თავისი ჯარები შეიყვანა ავღანეთში. პროტესტის საბაბიც ეს გახდა - დასავლეთის ქვეყნებმა უარი თქვეს მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ძალისხმევამ, შეენარჩუნებინა ერთიანობა, არ გაჭრა. დიდმა პოლიტიკამ წაართვა ბევრი ქვეყნის, მათ შორის აშშ-ის სპორტსმენებს, თამაშებში მონაწილეობის უფლება.

მოსკოვში 1980 წელს მაინც შეიკრიბა 80 ქვეყნის 5179 ათლეტი. საქართველოდან 16 მონაწილე გვყავდა, რომელთაგან შინ 12 მედლით დაბრუნდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ოლიმპიადის გახსნამდე სამი დღით ადრე, 16 ივლისს, მოსკოვში სოკ-ის კონგრესი გაიმართა და ირლანდიელი ლორდი **მაიკლ კილანინი** ესპანელმა **ხუან ანტონიო სამარანჩმა** შეცვალა, რომელიც მაშინ მარკიზი ჯერ კიდევ არ იყო. დავძენთ, რომ სამარანჩს მანამდე იცნობდნენ, როგორც წარჩინებულ დიპლომატს, მეწარმესა და ჟურნალისტს.

დავუბრუნდეთ მოსკოვის ოლიმპიადასა და საქართველოს სპორტსმენების წარმატებებს. ოქროს - 3, ვერცხლის - 4 და ბრინჯაოს - 5 მედალი ურიგო მონაგარი ნამდვილად არ იყო. უმედლოდ დარჩა მხოლოდ ჩვენი 4 სპორტსმენი. ამ თამაშებზე, 1952 წლის შემდეგ მეორე ქართველმა ქალმა დაიდგა ოლიმპიური ჩემპიონის გვირგვინი. ეს იყო **ქეთევან ლოსაბერიძე**, რომელმაც მშვილდოსნობაში მოპოვა ოქროს მედალი. უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა აგრეთვე ძიუდოში **შოთა ხარაბელმა**, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში - **ვახტანგ ბლაგიძემ**. ლეგენდარული **ვიქტორ სანეევისთვის** ეს იყო ზედიზედ მეოთხე ოლიმპიადა. მას დიდი შანსი ჰქონდა მეოთხედაც გამხდარიყო ჩემპიონი, მაგრამ... არ ღირს ახლა მიზეზებზე ვრცლად ლაპარაკი, მოკლედ ვიტყვით. იმის შიშით, რომ საბჭოთა კავშირს სამხტომში ამჟამადაც გარანტირებული ჰქონდა ოქროს მედალი, ყველაფერი გაკეთდა, რომ ესტონელ **უუდმიაეს** მოეგო ოლიმპიადა. ვიქტორი მეორე პრიზიორი გახდა. შესანიშნავად იასპარეზა **საიდა გუმბამ**, რომელიც შუბის ტყორცნაში დაეუფლა ვერცხლის მედალს, ასევე მეორე იყო ძიუდოისტი **თეიმურაზ ხუბულური** და ხელბურთელი **ალექსანდრე ანპილოგოვი**. პირველად მოვიპოვეთ ოლიმპიური მედალი წყალში ხტომაში. ბრინჯაოს ეს ჯილდო მოიხვეჭა **ლიანა ცოტაძემ**. კალათბურთში **ნიკოლოზ დერიუგინსაც** გადაეცა ბრინჯაოს მედალი. იგივე წარმატება ხვდათ წილად ფეხბურთელებს **ალექსანდრე ჩივაძეს, თენგიზ სულაქველიძესა** და **რევაზ ჩელებაძეს**. სასტენდო სროლაში - **თამაზ იმნაშვილი** მეცხრე იყო, ძიუდოისტი **თამაზ ნამგალაურ**.. და მოკრივე **დავით კვაჭაძე** თავიანთ ტურნირს მეორე წრიდან გამოეთიშნენ. მოცურავე **ირინა გერასიმოვამ** დისკვალიფიკაცია მიიღო.

საერთო გუნდური პირველობისთვის ბრძოლას, ბოიკოტის გამო, სულაც არ დაუკარგავს ინტერესი. ძირითადად დავა, როგორც წინა ოლიმპიადაზე, ამჯერადაც სსრ კავშირსა და გდრ-ს შორის წარიმართა. ცხრილში მკაფიოდ ჩანს თუ როგორ დასრულდა ეს პაექრობა.

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| სსრკ | 80 | 69 | 435 | 194 |
| გდრ | 47 | 37 | 42 | 126 |
| ბულგარეთი | 8 | 16 | 17 | 41 |

თენგიზ გაჩეჩილაძე

## ოლიმპიური ვიქტორინა

### ეძღვნება 24-ე ოლიმპიურ თამაშებს

1. მონაწილეობდა თუ არა 23-ე ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირი?

ა - მონაწილეობდა
ბ - არ მონაწილეობდა
გ - შეწყვიტა მონაწილეობა

2. სად ჩატარდა 24-ე ოლიმპიადა?

ა - ლოს-ანჯელესში
ბ - ბარსელონაში
გ - სეულში

3. რამდენი ჩვენი სპორტსმენი გამოდიოდა საბჭოთა ნაკრებ გუნდებში 24-ე ოლიმპიურ თამაშებში?

ა - 14
ბ - 16
გ - 18

4. ვინ მოიპოვა ორი მედალი საქართველოდან 24-ე თამაშებში?

ა - ნინო სალუქვაძემ
ბ - ვლადიმერ გოგოლაძემ
გ - კახი კახიაშვილმა

5. სპორტის რომელ სახეობაში გახდა დღემდე ერთადერთი ქართველი 24-ე თამაშებში ოლიმპიური ჩემპიონი?

ა - კრივში
ბ - ჩოგბურთში
გ- ფეხბურთში

*პასუხებს გაეცნობით ოლიმპიური გვერდის შემდეგი გამოშვების მასალებში.*

## პეკინის ოლიმპიადის მონაწილენი

*33 ლიცენზია, 35 სპორტსმენი*

*საბოლოო მდგომარეობა*

1. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)
2. ხათუნა ნარიმანიძე (მშვილდოსნობა)
3. ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა)
4. ილია გიორგაძე (სპ. ტანვარჯიში)
5. ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო)
6. ნესტორ ხერგიანი (ძიუდო)
7. ლაშა გუჯეჯიანი (ძიუდო)
8. დავით ქევხიშვილი (ძიუდო)
9. ლომერ ჟორჟოლიანი (ძიუდო)
10. გიორგი ზაინდურაშვილი ან საბა გავაშელიშვილი (ორივე –ძიუდო)
11. რამაზ ნოზაძე (ბ/რ ჭიდაობა)
12. დავით ბედინაძე (ბ/რ ჭიდაობა)
13. ბადრი ხასაია (ბ/რ ჭიდაობა)
14. ოთარ თუშიშვილი (თავ. ჭიდაობა)
15. გელა სალირაშვილი (თავ. ჭიდაობა)
16. რევაზ მინდორაშვილი (თავ. ჭიდაობა)
17. გიორგი გოგშელიძე (თავ. ჭიდაობა)
18. ბესიკ გოჩაშვილი (თავ. ჭიდაობა)
19. ლუბა გოლოვინა (ბატუტი)
20. არსენ კასაბიევი (ძალოსნობა)
21. ნიკოლოზ იზორია (კრივი)
22. კახა ჟვანია (კრივი)
23. ლაშა გოგიტაძე (ბ/რ ჭიდაობა)
24. მანუჩარ კვირკველია (ბ/რ ჭიდაობა)
25. მარიამ ქევხიშვილი (მძლეოსნობა)
26. რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა)
27. ალბერტ კუზილოვი (ძალოსნობა)
28. ზაზა კედელაშვილი (ძიუდო)
29. ირაკლი რევიშვილი (ცურვა)
30. ანა სალნიკოვა (ცურვა)
31. გეორ-გია (პლაჟბურთი)
32. საქა-რთველო (პლაჟბურთი)
33. დავით ილარიანო (მძლეოსნობა)

## ივლისი მსოფლიოს სპორტის ისტორიაში

**13 ივლისი. 1943 წელი.** ომში მიღებული ჭრილობებიდან გარდაიცვალა 1936 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში, გერმანელი სპორტსმენი **ლუც ლონგი.**

**13 ივლისი. 1967 წელი.** დოპინგის მიღების შედეგად "ტურ დე ფრანსის" დროს 29 წლისა გარდაიცვალა ინგლისელი მრბოლი **ტომ სიმფსონი.**

**14 ივლისი. 1964 წელი.** "ტურ დე ფრანსი" პირველმა მეხუთედ, აქედან ზედიზედ მეოთხედ, მოიგო ფრანგმა მრბოლმა **ჟაკ ანკეტილმა.**

**15 ივლისი. 1931 წელი.** სენსაციური შედეგებით დაასრულა მოცურავეთა ასპარეზობა **ჰელენ მედისონმა,** რომელმაც 8 დისტანციაზე მსოფლიო რეკორდით იპირველა თავისუფალი სტილით ცურვაში. ამით სპორტსმენი რეკორდსმენთა რეკორდსმენად მოევლინა სპორტულ სამყაროს.

**16 ივლისი. 1980 წელი.** მოსკოვის ოლიმპიადის წინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე ლორდ **კილანინი** ესპანელმა **ხუან ანტონიო სამარანჩმა** შეცვალა

**17 ივლისი. 1808 წელი.** კანადაში ჩატარდა შეჯიბრება რბენაში, რომელშიაც ინდიელები და თეთრკანიანები ცალ-ცალკე ასპერეზობდნენ.

**17 ივლისი. 1931 წელი.** ბერლინში შეწყდა და აიკრძალა "წითელი სპორტინტერნაციონალის" მეორე სპარტაკიადა, რომელიც შემდეგ მოსკოვში დასრულდა.

**17 ივლისი. 1976 წელი.** ამ დღეს მონრეალში გაიხსნა ზაფხულის 21-ე ოლიმპიური თამაშები. მონაწილეობდა 92 ქვეყნის 6084 სპორტსმენი, საქართველოდან-11.

**18 ივლისი. 1978 წელი.** ფილიპინებზე, ბაგიოში, დაიწყო **ანატოლი კარპოვისა** და **ვიქტორ კორჩნოის** მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, რომელიც დასრულდა 18 ოქტომბერს 16.5:15.5 კარპოვის სასარგებლოდ.

**19 ივლისი. 1908 წელი.** ლონდონში დაფუძნდა მოყვარულთა ცურვის საერთაშორისო ფედერაცია (FINA).

**19 ივლისი. 1952 წელი.** ჰელსინკში დაიწყო ზაფხულის მე-15 ოლიმპიური თამაშები, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სპორტსმენები, მათ შორის 14 საქართველოდან.

**19 ივლისი. 1980 წელი.** მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის 22-ე ოლიმპიური თამაშები. მონაწილეობდა 80 ქვეყნის 5174 სპორტსმენი, საქართველოდან - 16. თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა 30-მა ქვეყანამ 1979 წელს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის გამო.

**19 ივლისი. 1996 წელი.** ატლანტაში დაიწყო ზაფხულის 26-ე ოლიმპიადა, რომელშიც პირველად ასპარეზობდა მსოფლიოს ოლიმპიური ოჯახის ყველა 197 წევრი ქვეყანა. საქართველო პირველად ამ თამაშებზე წარსდგა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. ჩვენ სპორტულ დელეგაციაში შედიოდა 36 სპორტსმენი. სულ თამაშებში 10318 ათლეტი გამოვიდა.

**20 ივლისი. 1984 წელი.** დრეზდენში გერმანელმა (გდრ) **უვე ჰონმა** შუბი ზღაპრულ სიშორეზე - 104,80 მ. სტყორცნა, რამაც დააფიქრა სპორტის ამ სახეობის მესვეურები და მიიღეს გადაწყვეტილება შუბის შეცვლის შესახებ.

გაგრძელება იქნება

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# ქართულ ოლიმპიურ დელეგაციას საქა-რთველო დაემატა



საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას კიდევ ორი სპორტსმენი, პლაჟბურთელი ქალები **საქა (კრისტინა სანტანა)** და **რთველო (ანდრეზა ჩაგასი)** შეემატა. ოლიმპიური ლიცენზია ჩვენმა ფრენბურთელებმა მსოფლიო ტურის ბოლო სალიცენზიო ეტაპზე მარსელში გაინაღდეს.

ბოლო ეტაპის წინ საქა-რთველო საოლიმპიადო რეიტინგში 1 680 ქულით 22-ე ადგილზე იყო. დარჩენილი ოთხი ლიცენზიისთვის კი ერთბაშად ექვსი წყვილი იბრძოდა. კონკურენტებს შორის ქულათა სხვაობა კი მინიმალური ოც-ოცი იყო. ყველაფერი მარსელის ეტაპზე უნდა გადაწყვეტილიყო.

საქა-რთველომ ტურნირის მეორე დღეს, თავის მესამე შეხვედრაში უშუალო კონკურენტთან, მექსიკურ დუეტთან **კანდელასი-გარსია** მარცხი განიცადა 21:23, 18:21, მაგრამ მანამდე დამარცხდნენ სხვა კონკურენტებიც, **კუნი-შვერი** (შვეიცარია) და **ფორი-საპრო** (საფრანგეთი), რომლებსაც ჩვენი ფრენბურთელები რეიტინგში უსწრებდნენ. შესაბამისად საქა-რთველო მათთვის მიუწვდომელი გახდა.

მარსელის ეტაპზე საქა-რთველომ 120 სარეიტინგო ქულა, 2 500 ამერიკული დოლარი და,რაც მთავარია, პეკინის საგზური გამოიმუშავა.

ამრიგად, პეკინის ოლიმპიადაზე საქართველო პირველად წარდგება სათამაშო სახეობებში და თანაც ორი გუნდით. ვაჟთა შორის **გეორ-გია,** ხოლო ქალებში საქა-რთველო იასპარეზებენ. საოლიმპიადო კენჭისყრა კვირის თავზე შვეიცარიის საკურორტო ქალაქ გშტაადში გაიმართება, სადაც 22 ივლისიდან მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი აიღებს სტარტს.

*"საბედნიეროდ ყველაფერი ჩვენი გუნდისთვის იღბლიანად აეწყო. თუმცა მარსელის ეტაპიდან მაინც მეტს ველოდით. მექსიკურ დუეტთან მოსაგები თამაში იყო, მაგრამ ჩვენი კონკურენტების შედეგები უკვე ცნობილი იყო და ეტყობა ამან გავლენა იქონია. მთავარი მიზანი მიღწეულია. საქართველოს ოლიმპიადაზე პლაჟბურთში ორი გუნდი ეყოლება.*

*ძალიან გახარებულები ვართ და ორივე წყვილი, ქალებიც და ვაჟებიც ოლიმპიადისთვის საბრძოლო განწყობას იქმნიან. იმედი მაქვს, პეკინში ქართული წყვილების გამოსვლა სპორტის ამ სახეობას ჩვენს ქვეყანაში უფრო პოპულარულს გახდის და მის განვითარებას ხელს შეუწყობს"*-გვითხრა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა,** რომელსაც მარსელში დავუკავშირდით.

მანამდე კი **გეორ-გია** ასპარეზობას მარსელში განაგრძობს. ჩვენი ფრენბურთელები ამ შეჯიბრებაში მეოთხე ნომრად არიან განთესილები. პირველ მატჩში მათი მეტოქე ნაკლებად ცნობილი ანგოლური წყვილი **ფერნანდესი** და **მორაიში** იყვნენ, რომლებსაც გეორ-გია იოლად გაუსწორდა 21:13, 21:19.

ჩვენს ფრენბურთელებს დიდი გარჯა არც მეორე შეხვედრაში მოუწია. მე-20 ნომერ ჰოლანდიელებს **კოგელსა** და **რონესს** პირველი სეტი 21:8 მოუგეს. რის შემდეგაც, მეორეში ოდნავ მოეშვნენ და მეტოქე მხოლოდ ორი ქულის სხვაობით დაამარცხეს 25:23.

დღეს გეორ-გია ბრაზილიურ დუეტს **ფრანკო-ბენიამინს** დაუპირისპირდება, რომელიც ტურნირზე მე-5 ნომრადაა განთესილი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ხელბურთი. ინტერვიუ ილია გოგალაძესთან

# პირობების კვალობაზე, ურიგოდ არ გვითამაშია

**ილია გოგალაძე ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პერსპექტიული ხელბურთელია. უნივერსალურ გარემარბს ორივე ფლანგზე თამაში შეუძლია. ილიამ ნელ-ნელა გაიარა ასაკობრივი ნაკრებები და ასე მოვიდა ეროვნულ გუნდში, სადაც არც მეტი და არც ნაკლები, გუნდის კაპიტან გიორგი ქობელაშვილის შეცვლა ევალება.**



**- ილო, თავიდან ალბათ უპრიანი იქნება, რომ მკითხველს შენი თავი წარვუდგინოთ.**

- 21 წლის ვარ. ხელბურთის თამაში 11-12 წლის ასაკში დავიწყე. სპორტი პატარაობიდანვე უზომოდ მიყვარდა, ძალიან ენერგიული ბავშვი ვიყავი და ხელბურთის სექციაზე შესვლა გადავწყვიტე. ჩემი არჩევანი უფრო იმან განაპირობა, რომ გლდანის ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრთან ახლოს ვცხოვრობდი. სწორედ გლდანის კომპლექსში არსებულ კლუბ "მართვეში" ვეზიარე ხელბურთს. ჩემმა გუნდმა საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატი მოიგო, მერე კი "ქარიშხალა" შეიქმნა, რომელმაც სამიოდე წლის წინათ, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. მაშინ ძალიან კარგი გუნდი გვყავდა - გაგა სამყურაშვილი, რატი მსხვილიძე, ძმები ჩიქოვანები, ლევან ბერძენიშვილი, მიშა საჯაია...

მერე ისე მოხდა, რომ იმ შემადგენლობის უმეტესობა სტუ-"შევარდენში" გადავედით და დღეს სტუ-ს ღირსებას ვიცავ.

**- ასაკობრივი ნაკრები გუნდების შემდეგ, წლეულს ეროვნული ნაკრები დააჭაშნიკე...**

- ეროვნულის შეკრებაზე შარშან გამომიძახეს, როდესაც გუნდი "ჩელენჯ ტროფის" თბილისური ეტაპისთვის ემზადებოდა. თუმცა, მაშინ 14 კაცში ვერ მოვხვდი. სამაგიეროდ, წლეულს, იანვარში პირდაპირ "ჩელენჯ ტროფის" ფინალში შედგა ეროვნულ ნაკრებში ჩემი ოფიციალური დებიუტი. ის მატჩი არასოდეს დამავიწყდება. შეცვლაზე ვითამაშე და ჩემს აქტიურობას ორი პენალტი მოჰყვა. გოლის გატანაც შემეძლო ლუქსემბურგელთა კარში, მაგრამ ცოტა არ იყოს, ვნერვიულობდი და ამან შემიშალა ხელი. რაც არ უნდა იყოს, მაინც ფინალი იყო, დებიუტანტი ვიყავი და ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი.

**- ახლა უკვე შეწყობილი ხარ ნაკრებთან?**

- დიახ, ამის პრობლემა უკვე აღარ მაქვს. ამას წინათ, მინსკის საერთაშორისო ტურნირზე ვითამაშე ორი მატჩი ეროვნულ ნაკრებში, ახლახან კი ვენეციაში გამართულ უნივერსიადაზე ექვსი შეხვედრა ჩავატარე. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ნაკრებს უკვე გავუშინაურდი.

**- უნივერსიადაზე საკმაოდ კარგად ითამაშე - ჩვენი გუნდის მეგოლეებს შორის მესამე იყავი...**

- სიმართლე რომ გითხრათ, უნივერსიადაზე არც დამითვლია რამდენი ბურთი გავიტანე. თბილისში რომ ჩამოვედი, თქვენს გაზეთში წავიკითხე, რომ მესამე მეგოლე ვყოფილვარ. ცუდად ალბათ არ მითამაშია, მაგრამ უკეთაც შემეძლო.

**- უნივერსიადაზე ჩვენი გუნდის გამოსვლას როგორ შეაფასებ?**

- რა პირობებშიც მოვემზადეთ, იმის კვალობაზე ურიგოდ არ გვითამაშია. ცოტა მეტიც შეიძლებოდა, მაგრამ მეოთხედფინალში თურქეთთან მატჩისას, ბოლო წუთებზე ძალა აღარ გვეყო, ცოტა იღბალმაც შეგვაქცია ზურგი და წავაგეთ. ისე, აკაკი ტალახაძეს ტრავმა რომ არ ჰქონოდა და მერე რატი მსხვილიძეც არ დაგვშავებოდა, ფინალში გასვლა სავსებით რეალური იყო. თურქებსაც მოვუგებდით, ნახევარფინალში ბელორუსსაც დავამარცხებდით და ფინალში რუსეთსაც თანაბრად ვეჭიდავებოდით.

**- ვენეცია როგორ მოგეწონა?**

- სამწუხაროდ, უშუალოდ ვენეცია და მისი განთქმული არხები თუ გონდოლები ვერ ვნახეთ. საქმე ის არის, რომ ვენეციის გარეუბან ჯესოლოში ვიყავით დაბანაკებულები და იქვე ვთამაშობდით. გადატვირთული გრაფიკის გამო, ვენეციის ნახვა ვერ მოვახერხეთ. ჯესოლო ძალიან მომეწონა - 3000-მაცხოვრებლიანი ულამაზესი საკურორტო ზონაა და უამრავი დამსვენებელი ირეოდა, მაგრამ გული დამწყდა, რომ უფრო მეტი ვერ ვნახე. მით უმეტეს, რომ უცხოური ქვეყნებიდან, ყველაზე მეტად იტალია მომწონს. არა უშავს, იმედია, სხვა დროს მომეცემა მისი კარგად დათვალიერების საშუალება.

**- ეროვნულ ნაკრებს შემოდგომით ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ეწყება და გაცილებით მაღალი დონის მატჩებში ითამაშებ. თანაც ნაკრების ვეტერანი კაპიტნის გიორგი ქობელაშვილის შეცვლა მოგიწევს ხოლმე, რომელსაც ბოლო ხანს ტრავმები აწუხებს. მზად ხარ ამისთვის?**

- ქობელაშვილს ჩემთან ერთად ამირან ყიფიანიც შეცვლის ხოლმე, რომელიც საკმაოდ ნიჭიერი მოთამაშეა. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ნაკრებისთვის, გარკვეულწილად, მზად ვარ, მაგრამ ფიზიკურად მოლონიერება არ მაწყენდა. ამჟამად, ეს ჩემი და საერთოდ, საქართველოში მოთამაშე ხელბურთელების ძირითადი ნაკლია. როდესაც ფიზიკურად კარგად გრძნობ თავს და ჯანზე ხარ, უფრო კარგად გამოგდის თამაში, უფრო მეტი რწმენა გაქვს. ამ პრობლემის აღმოფხვრაზე ბევრი მუშაობა გვმართებს.

**- ნაკრების საშემოდგომო შანსებზე რას იტყვი?**

- ისეთ რთულ ჯგუფში მოვხვდით, რომ რეალურად, ოპტიმიზმის ნაკლები საფუძველი გვაქვს. პოლონეთი, შვედეთი, რუმინეთი და ჩერნოგორია ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე თამაშობენ და ჩვენზე გაცილებით დიდი გამოცდილება გააჩნიათ. შედარებით სუსტია თურქეთი, მაგრამ არც მასთან ხუმრობა შეიძლება, რაც უნივერსიადაზეც გამოჩნდა.

მოკლედ, 2-3 მატჩის მოგება უკვე წარმატებად უნდა ჩავთვალოთ. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ მოსამზადებელ ეტაპს გავივლით.

**კობა ხატისაშვილი**

ჭიდაობა

# ვერცხლი კოშიცედან

გუშინ, სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში მოჭიდავეთა ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე ბიჭების ჯერი დადგა და საქმეში ქართველებიც ჩაებნენ. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ტურნირში ოთხ წონით კატეგორიაში (55, 66, 84, 120) გაიმართა ორთაბრძოლები. პირველი დღის შემდეგ საქართველოს ერთი მედალი აქვს – 120 კგ. წონით კატეგორიაში ვერცხლის ჯილდო **რამინ შაქარიშვილმა** მოიპოვა.

55 კგ. წონით კატეგორიაში **ჯემალ ხარაბაძე** ჭიდაობდა. მან კარგად დაიწყო – პირველ წრეში ჯემალმა რუმინელი **ლაურენტიუ მაკარეი** დაამარცხა ორ პერიოდში – 5:1, 7:0. შემდეგ ფინელ **ნიკო ოჰანენს** მოუგო – 4:1, 2:1, მაგრამ მესამე წრეში პოლონელ **ედგარ პოლოსიანთან** ველარ იყოჩაღა – 4:5, 3:0, 2:8.

66 და 84 კგ. წონით კატეგორიებში ჩვენებურებმა ძალიან ცუდად იჭიდავეს. 66-ში **ლაშა ლოლაშვილმა** პირველივე ორთაბრძოლა წააგო ხორვატ **ბოზო სტარჩევიჩთან** – 4:1, 0:3, 1:1. მესამე პერიოდში ბოლო ქულა ბოზომ მიითვალა, ამიტომ ბრძოლა ხორვატმა გააგრძელა. 84-ში **გიორგი ღვინიაშვილი** ბულგარელ **ლუბომირ დიმიტროვთან** დამარცხდა – 0:2, 1:1. ლოლაშვილმა 26 კაცში მე-19 ადგილი დაიკავა, ხოლო ღვინიაშვილმა მე-20 (24 კაცში).

20 კილოგრამ წონით კატეგორიაში გაგვახარა რამინ შაქარიშვილმა. ფინალისკენ გზად მან ჯერ ჩეხი **ოლდრიხ კუჩერა** ჩამოიცილა – 4:2, 2:0. შემდეგ რამინმა ბალტიელები დაამარცხა – ლატვიელი **არტიომს კოსგიგოვსი** – 2:0, 1:1, 3:2 და ესტონელი **მადის შიჰიმეცი** – 3:0, 4:0. ფინალში შაქარიშვილი რუს **ვლადიმირ ილნიცკის** შეხვდა. რუსმა დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა – 1:1, 0:2.

დღეს კოშიცეში კიდევ ოთხი ჩვენებური იჭიდავებს: **მინდია წულუკიძე** (50); **უჩა შავაძე** (60); **არსენ კახაბრიშვილი** (74) და **ვასილ იმერლიშვილი** (96). ხვალიდან კი საქმეში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი. ახალგაზრდული ნაკრები

# იტალიაში ლატვიისთვის მოსამზადებლად

საქართველოს 20-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრები გუშინ იტალიის ქალაქ ვენეციაში გაემგზავრა, სადაც ოთხთა ტურნირზე იასპარეზებს. ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც 1 აგვისტოს რიგაში დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ევროპის პირველობაზე, ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებიან იტალია, ისრაელი და თურქეთი.

ამდენად, ჩვენს გუნდს შანსი აქვს, რომ იტალიელებს ვენეციის ტურნირზევე მოუსინჯოს კბილი. ჩვენსა და მასპინძლების გარდა, შეჯიბრებაში იასპარეზებენ საბერძნეთი და სლოვენია. 18 ივლისს იტალიელებს ვხვდებით, 19-ში - საბერძნეთს, 20 ივლისს კი სლოვენიას ვეთამაშებით. გუნდი თბილისში 22 ივლისს დაბრუნდება და ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპს "დინამოს" ბაზაზე დაამთავრებს.

ნაკრების თავკაცმა **დავით უსტიაშვილმა** ვენეციაში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა:

**გიორგი გაფრინდაშვილი** ("მიდლენდი", აშშ), **გიორგი ჯგერენაია** ("აიდაჰო", აშშ), **დიმიტრი ფაცაცია** ("არკანზასი", აშშ), **რიჩარდ მათიაშვილი** ("თბილავიამშენი", საქართველო), **გიორგი შერმადინი, გიორგი პირველაშვილი** ("მაკაბი", საქართველო), **გიორგი გულისაბედაშვილი** ("დინამო", საქართველო), **ლევან შენგელია** ("აკადემია", ლიტვა), **ბექა წივწივაძე, ლუკა ნოზაძე** ("ვითა", საქართველო), **ლევან ცეკვავა** ("ენერჯი ინვესტი", საქართველო); **ზვიად ახთაძე** ("თბილისი", საქართველო)

**კობა ხატისაშვილი**



დავით უსტიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

# ჰეფი ენდი

## მინჟულინას პეკინისკენ მწვანე შუქი აუნთეს

რომორც ამასწინათ გაცნობეთ, საქართველოს მოცურავეთა ეროვნულ ნაკრებსა და ოლიმპიურ კომიტეტს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. კონკრეტულად, ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირინა მინჟულინა** პრეტენზიას აცხადებდა იმის თაობაზე, რომ ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე არ უშვებდნენ. ამის გამო, მინჟულინა გუნდის დატოვებით, ხოლო პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიანტები - **ანა სალნიკოვა** და **ირაკლი რევიშვილი** პეკინში არწასვლით იმუქრებოდნენ. საპასუხო კრიტიკული არგუმენტი ჰქონდა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, მერე საქმეში საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ირაკლი ბართაია** ჩაერია, რომელმაც ფედერაციაც დაიცვა და აქეთაც გააკრიტიკა ოლიმპიური კომიტეტი. მოკლედ, სიტუაცია გვარიანად დაიძაბა.

საბედნიეროდ, განხეთქილებას წერტილი დაესვა. გადაწყდა, რომ მინჟულინა პეკინში თავის შეგირდებს გაჰყვება. ამის შესახებ გუშინ ირაკლი ბართაიამ გვაცნობა.

- შეხვედრა გვქონდა სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან. დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** და მისმა მოადგილე **გია გალდავამ** გვითხრეს, რომ მინჟულინა პეკინში წამსვლელ დელეგაციაში ჩაიწერა. ამით ყველანაირი გაუგებრობა დამთავრდა და თქვენი გაზეთის საშუალებით, სპორტის დეპარტამენტს მადლობას ვუხდით.

**- ოლიმპიური კომიტეტის განცხადებას საპასუხო მკაცრი კრიტიკით შეხვდით...**

- იმ მომენტში მე ირინა მინჟულინა კი არა, საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია დავიცავი. ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ფედერაცია ოლიმპიური კომიტეტისაგან კრიტიკას არ იმსახურებდა. თუმცა უმჯობესი იქნება, თუკი ამ თემას საბოლოოდ ამოვწურავთ. მოახლოებული ოლიმპიადის წინ, ახალი სკანდალების აგორება გაუმართლებელია. ეს ჩვენი შიდა სამზარეულოა, რომელსაც ჩვენვე მოვაგვარებთ.

**კობა ხატისაშვილი**

მძლეოსნობა

# პრეზიდენტმა ადგილი ამერიკელს დაუთმო



მარცხნიდან: გოგი გოზალიშვილი, მარიამ ქევხიშვილი, ყარამან საბანაშვილი, თამაზ მდინარაძე და დავით ილარიანი.

გიორგი ჭანიშვილის ფოტო

გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სარბენ ბილიკებზე მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის **თამაზ მდინარაძის** ინიციატივით მასმედიის წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულ **მარიამ ქევხიშვილსა** და **დავით ილარიანს** შეხვდნენ.

მარიამ ქევხიშვილმა (მწვრთნელი **ყარამან საბანაშვილი**), რომელიც ორი წელიწადია, ფლორიდის შტატის ქალაქ გეინეზვილის უნივერსიტეტში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს **სტივ ლემკეს** ხელმძღვანელობით, წლეულს თებერვალში აიოვას შტატის პირველობაზე ბირთვი 17,44 მეტრზე კრა და ოლიმპიურ სალიცენზიო ნორმატივს 24 სანტიმეტრით გადააჭარბა, ცოტა მოგვიანებით კი NCAA-ს ნაციონალურ ჩემპიონატში სტუდენტთა შორის (17,85 მეტრით) პირველი ადგილი დაიკავა. იგი პეკინში მეორედ იასპარეზებს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, ისევე, როგორც თარჯმრბენი დავით ილარიანი (მწვრთნელი **გოგი გოზალიშვილი**). ქართველმა მძლეოსანმა ამას წინათ იერუსალიმის საერთაშორისო ტურნირზე 110 მეტრი თარჯებით 13,67 წამში გაირბინა და 0,02 წამით გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი, რომელიც 2004 წელს კიევში მანვე დაამყარა. ეს შედეგი ოლიმპიურ ნორმატივს 0,05 წამით სჯობს.

- მოხარული ვარ, რომ "სპორტის დედოფლის" წარმომადგენლებმა პეკინის ორი საგზური მოვიპოვეთ, - მითხრა თამაზ მდინარაძემ. - შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ქევხიშვილი და ილარიანი ჩინეთის დედაქალაქში კვარცხლბეკზე ავლენ. მით უმეტეს, რომ თითოეულს მსოფლიოს 50-60 საუკეთესო ათლეტთან მოუწევს გამკლავება. პირველი ბარიერის გადალახვა კი ორივეს შეუძლია, თუნდაც თავიანთი საუკეთესო შედეგები აჩვენონ. ეს კი აშკარა წინსვლა იქნება წინა ოლიმპიადასთან შედარებით. სპორტის 10 სახეობაში წინსვლა შესაძლებელი გახდა მძლეოსნობისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის გაუმჯობესებით. თუნდაც ის რად ღირს, რომ რამდენიმე ათლეტს სულ მცირე დააკლდა საგზურის დაბევებამდე. ამგვარი თანადგომა მომავალშიც თუ არ მოგვაკლდება, 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მძლეოსნებს არა მარტო მონაწილეთა რაოდენობა გაგვეზრდება, არამედ, შესაძლოა, მედლებზეც ვიფიქროთ.

**- ბატონო თამაზ, შევიტყვეთ, რომ საქართველოს სპორტულ დელეგაციაში ადგილი ქევხიშვილის ამერიკელი მწვრთნელისთვის დაგითმიათ. მართალია?**

- ოლიმპიადაზე გამგზავრება ჩემთვის თვითმიზანი არ არის. საქმისთვის უმჯობესია, მარიამს პეკინში სტივ ლემკე წაჰყვეს, რომელიც ორი წელიწადია, ამეცადინებს. ეს ხელს შეუწყობს პეკინის თამაშებზე ქევხიშვილის უკეთ გამოსვლას.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ქართველი აღარავინ დარჩა

თბილისში ჩვეულად, ზაფხულის დარად ჩამოცხა და არ ვიცი ამის ბრალი იყო თუ სხვა რამემ შეუშალა ხელი, ჩვენგან ქებული 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** გუშინ კორტზე საკუთარი შესაძლებლობების ნახევარსაც კი ვერ ავლენდა. არადა, გვეგონა, რომ არცთუ ძლიერ ლატვიელ **დენის პავლოვსს** გასცდებოდა და კარიერაში მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამდა წინ.

ლაზარე უკანასკნელი ქართველი იყო, რომელიც შემორჩენოდა ტურნირს და ჩვენი მოლოდინიც და სურვილიც წარმატებისა, ამ ფაქტორით უფრო იყო გამძაფრებული.

მატჩი დილით, 11 საათზე დაიწყო ცენტრალურ კორტზე. ლატვიელი, რომელიც თითქოს შებოჭილი და შეზღუდული საჩოგბურთო უნარ-ჩვევების მქონე მოთამაშის შთაბეჭდილებას ტოვებს, ქულებს მაინც იხვეჭს და კუხალაშვილთან შეხვედრაშიც თავიდანვე მიჰყო ხელი საქმეს - 3:0 დაწინაურდა. მეოთხე გეიმში თავად აწვდიდა და ანგარიშის გაზრდას ვფიქრობდით მის სასარგებლოდ, მაგრამ ქართველმა ეს მონაკვეთი კარგად ჩაატარა და ბრეიკი გაახერხდა. ამით ლაზარეს მატჩის შემოტრიალების კარგი შანსი მიეცა, თუმცა გუშინ მისი დღე ნამდვილად არ იყო, - უმალ ხომ დააბრუნა ბრეიკი, მერეც ვერაფერი მოუხერხა ლატვიელის დინჯ და გამოზომილ დარტყმებს და 1:6 დამარცხდა.

იმედი ხომ ყველაზე დიდხანს ცოცხლობს და მეორე სეტის საჩვენოდ დასრულების ნაღვერდალი კი ღვიოდა ჩვენს გულებში, მაგრამ დენისმა უმალ მიაყარა ნაცარი და ზედ ცივი წყალიც გადაასხა - 6:1 გაიმარჯვა მეორეშიც და ნახევარფინალში გავიდა.

მატჩის შემდეგ ლაზარეს რამდენიმე კითხვა დავუსვით და ცხადია, პირველ რიგში წაგების მიზეზებზე ვკითხეთ.

- თავისთავად ის ფაქტი, რომ ორი წრე გავიარე, ძალიან კარგია, თუმცა მარცხმა ნამდვილად დამწყვიტა გული. ალბათ დავიღალე, ენერგია არ მეყო და არც მეტოქე მაძლევდა რაიმეს გაკეთების საშუალებას. კარგად იჭერდა ბურთს, შორეულ კუთხეებში გზავნიდა მას და ტემპსაც გონივრულად ცვლიდა. შეიძლება ითქვას, რომ დენისსი ჭკვიანი მოთამაშეა.

**- ჩემი აზრით, მას ბექჰენდი არ უვარგა - ორი ხელით ძალიან მოუხეშავად აბრუნებს ბურთებს. ამ სისუსტის გათვალისწინება არ შეგეძლო?**

- გარედან მაყურებლისთვის მართლაც ისე ჩანს, რომ დენისს ბექჰენდი ცუდი აქვს, მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა: საკმაოდ კარგად ასრულებს ამ დარტყმას, მართალია ორი ხელით, მაგრამ მისთვის სასურველად და მეტოქისთვის უსიამოვნოდ, შორეულ კუთხეებში აგზავნის.

**- ფიქრობ, რომ მისი დამარცხება არ შეგეძლო? ჩემი აზრით, განვლილ ორ წრეში შენ ბევრად მაღალი დონის ჩოგბურთი აჩვენე.**

- დაუმარცხებელი რომ არავინაა, ფაქტია, მაგრამ ეტყობა სრულად მობილიზება ვერ შევძელი, - ყველა სპორტსმენს აქვს ცუდი დღეები და მეც არა ვარ გამონაკლისი - ვიდრე შემეძლო, იმაზე უარესად ვითამაშე.

**- კარგი გამოცდილება რომ მიიღე, ალბათ, დამეთანხმები. მომდევნო ტურნირსაც ითამაშებ თუ სხვა გეგმები გაქვს?**

- აუცილებლად ვითამაშებ მეორე თბილისურ ტურნირსაც. იქამდე სამი დღეა და დასვენებასაც მოვასწრებ.

**- მიმდინარე ტურნირზე ველური ბარათით მოხვდი, ამჯერადაც ასეთივე შეღავათით ისარგებლებ თუ საკვალიფიკაციოში ჩაერთვები?**

- იმედი მაქვს, რომ ველური ბარათის მფლობელი გავხდები, მით უფრო, რომ ნორმალურად ვითამაშე და ორი წრე გავიარე.

**- ამის შემდგომ რომელ ტურნირში იასპარეზებ?**

- უახლოეს ხანში არსად თამაშს არ ვაპირებ: ირლანდიაში უნდა გავემგზავრო და იქ გავაგრძელო მზადება.

**- ირლანდიაში ვისთან უნდა მოემზადო და რომელ ქალაქში?**

- ირლანდიის ჩოგბურთის ფედერაცია მეხმარება და მათი შემწეობით გავდივარ წვრთნას, ქალაქ დუბლინში.

**- პირველად მიემგზავრები?**

- არა, უკვე ექვსი თვეა, დუბლინში ვვარჯიშობ. იქ დედაჩემი და ძმა ცხოვრობენ და მეც გადავწყვიტე, რომ ჩემი კარიერისთვის დუბლინში ყოფნა აჯობებდა. თუმცა იქამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში მსურდა ვარჯიში, მაგრამ ამერიკის საელჩომ რატომღაც ვიზა არ მომცა. საოცარი ის არის, რომ ოთხი წელი ვვარჯიშობდი ამერიკაში და კიდევ მეტი ხნის განმავლობაში უამრავჯერ შევსულვარ და გამოვსულვარ ამ ქვეყნიდან. სამწუხაროდ, ამერიკის საკონსულომ საქართველოში არავის თხოვნა და არგუმენტები არ ილო ყურად და ვიზა არ მალირსეს. ირლანდიაში გადაბარგებაც ამის შემდეგ მოიხდა.

**- ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და გააგრძელებ თუ არა თანატოლებთან ტურნირებში თამაშს?**

- უკვე დროა, რომ დიდებთან გაჯიბრებაც დავიწყო, მაგრამ იუნიორთა ტურნირებშიც გავაგრძელებ ასპარეზობას.

ლაზარეს წარმატებები ვუსურვე და ტურნირის შემორჩენილ სტუმრებს მივადევნეთ თვალი, - ამ ეტაპიდან უკვე ყველა თამაში საინტერესოა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კორეელი **ჰიუნ-ვუუ ნამის** თამაში. იგი მეექვსე ნომრად არის განთესილი, მაგრამ ისე ჩანს, ამაზე არ შეჩერდება - გუშინ იოლად სძლია უკრაინელ **ვადიმ ალექსეენკოს**. კორეელის ნახევარფინალური მეტოქე სერბი **დავიდ სავიჩია**, ვინც, თავის მხრივ, განთესვის მეორე ნომერს სრულად ამართლებს, - ძალზე იოლად უგებს მეტოქეებს. მეოთხედფინალში მეშვიდე ნომრად განთესილი ლატვიელი **გვიდას საბეცკასი** 6:1, 6:2 გაანადგურა. ასევე ნერვის აუშლელად მიიწევს წინ პირველი ნომერი იტალიელი **მატეო მარაი**. მან მეოთხედფინალი რუსი **ანდრეი პლოტნევი** დაამარცხა ორ სეტში- 6:3, 6:2; მარაის მეტოქე "ქართველთმუსვრელი" დენისს პავლოვსსია, ხოლო ჰიუნ-ვოო ნამას დავიდ სავიჩი გამოცდის.

პარალელურად წყვილთა შეჯიბრებაც იმართება და დღეისთვის ფინალისტები არიან ცნობილი. გადამწყვეტ ხელში უკრაინელები - **ივან ანიკანოვი** და **ალექსანდრ იარმოლა**, რუსი **ალექსეი ფილენკოვისა** და სერბი დავიდ სავიჩის წყვილს დაუპირისპირდებიან. ისინი კორტზე დაახლოებით 14 საათისთვის გავლენ, მანამდე კი ერთეულთა ნახევარფინალები გაიმართება: 11 საათზე ჰიუნ-ვოო ნამი და დავით სავიჩი გახსნიან სათმაშო დღეს.

**ზვიად შათირიშვილი**

## მაკა და ალბერტა დამარცხდნენ

**მაკა ჩახნაშვილმა** (179) დაასრულა ასპარეზობა იტალიის ქალაქ ბიელაში, სადაც ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (100 ათასი დოლარი) მიმდინარეობს. მაკა წყვილთა თანრიგს იყო შემორჩენილი, სადაც ის იტალიელ **ალბერტა ბრიანტისთან** (187) ერთად თამაშობდა. ტურნირის მეოთხედფინალში მაკა და ალბერტა რუსულ-ფრანგულ დუეტს (**ალექსანდრა პანოვა** და **მატილდე იოჰანსონი**) შეხვდნენ. ჩახნაშვილმა და ბრიანტიმ მეტოქეებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ორ სეტში დამარცხდნენ – 2:6, 3:6. შეგახსენებთ, რომ ამავე ტურნირის ერთეულთა თანრიგში 25 წლის ქართველმა პირველივე რაუნდში წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო. ივლისის ბაშო

# რით გააოცა ქართველმა მეტოქე

ნაგოიას ბაშოს „ბექდაუდებლად" ორი სუმოისტი ლიდერობს- დიდი ჩემპიონი (იოკოძუნა) **ჰაკუჰო** და რანგით მესამე ტიტულის (სეკივაკე) მფლობელი **ამა**. ორივე მონღოლია, მათ კვალში აიჩის პრეფექტურის მკვიდრი, ფაქტობრივად, მასპინძელი, ოძეკი **კოტომიცუკი** და ექვსი რიგითი მაეგაშირა უდგას. სასიხარულოა, რომ ერთ-ერთი ქართველია – დასავლეთის მე-14 მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)**. ყველა მათგანს 4-4 მოგება აქვს.

ლევანის არსენალში ახალი ილეთი გაჩნდა, რომლის წყალობითაც მან, გუშინ, ყოფილი კომუსუბი **კაკიძოე** დაამარცხა. კეკაეში, ასე ეწოდება იაპონურად ამ ილეთს, თუმცა ჩვენთვის ახალი არაფერია – ეს ჩვეულებრივი სარმაა, რომელსაც ტოჩინოშინი ბავშვობიდან იყენებდა სამბოსა თუ ძიუდოში. ლევანმა კაკიძოეს მარცხენა ფეხი გამოჰკრა და გაოცებული რიკიში ძირს დაანარცხა. მოკლედ, ტოჩინოშინი გვაოცებს და გვახარებს. მთავარია, მას მაისის სადებიუტო ბაშოსავით არ დაემართოს, როცა პირველი სამი გამარჯვების შემდეგ რვა ორთაბრძოლიდან მხოლოდ ერთი დაასრულა თავის სასარგებლოდ.

უფრო გამოცდილი და ტიტულოვანი ქართველი **კოკაი**, სამწუხაროდ, ვერ ჭიდაობს ნაგოიაში კარგად. **ლევან ცაგურიას** უკვე უარყოფითი ბალანსი გაუხდა – 2-3. გუშინ, კოკაი ვერ გაუმკლავდა 171-კილოიან მძიმეწონოსან **ტოიოჰიბიკის** და დარბაზის პირველ რიგებისკენ მოუწია „გაფრენა". იმედია, კოკაი მშვიდობიანად დაეშვა ძირს და დღეს **ტაკამისაკარის** წინააღმდეგ ჩვეული შემართებით იჭიდავებს. ტაკამისაკარი იაპონელთა კერპია, მისი გამოსვლა ხშირად დიდ ჩემპიონებისაზე მეტ ინტერესს იწვევს დარბაზში. ამას კი კოკაის და ტაკამისაკარის პირადი მტრობა ემატება – ამ ორი სუმოისტის ბრძოლა მუდამ უშეღავათოა. წლეულს ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორჯერვე ლევანი დარჩა გამარჯვებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ნაგოიას ბაშო

(ივლისის სუპერტურნირი)

13-27 ივლისი.

აიჩის გიმნაზიუმი (იაპონია)

V დღე: მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ10)-ტოიოჰიბიკი (მ 13) 0:1 (ოშიტაოში); ტოჩინოშინი (მ 14)-კაკიძოე (მ 15) 1:0 (კეკაეში); ტოჩინონადა (მ 3)-ასაშორიუ (ი) 1:0; ჰაკუჰო (ი)-ჰოკუტორიკი (მ 2) 1:0; კოტოოშუ (ო)-ვაკანოჰო (მ 1) 1:0; კოტომიცუკი (ო)-ამინიშიკი (მ 1) 1:0; კოტოშოგიკუ (ს)-კაიო (ო) 1:0; ამა (ს)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; კისენოსატო (კ)-ტოიონოშიმა (კ) 1:0; ასასეკირიუ (მ 2)-ფუტენო (მ 3) 1:0; ბარუტო (მ 5)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; ჰომაშო (მ 6)-გოეიდო (მ 4).**

სატურნირო მდგომარეობა: 5-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა); ამა (სეკივაკე) 4-1: კოტომიცუკი (ოძეკი); მიაბიამა (მაეგაშირა 5); კიოკუტენჰო (მ 9); ტოჩიოძანი (მ 11); კიმურაიამა (მ 12); ტოსანოუმი (მ 14); ტოჩინოშინი (მ 14)... კოკაი (მ 10)

VI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 10)-ტაკამისაკარი (მ 8); ტოჩინოშინი (მ 14)-კორიუ (მ 13); ჰაკუჰო (ი)-ფუტენო (მ 3); ასაშორიუ (ი)-ვაკანოსატო (მ 4); კოტომიცუკი (ო)-ტოიონოშიმა (კ); კაიო (ო)-ვაკანოჰო (მ 1); ჩიოტაიკაი (ო)-ამინიშიკი (მ 1); კოტოოშუ (ო)-კისენოსატო (კ); ამა (ს)-კოტოშოგიკუ (ს); ასასეკირიუ (მ 2)-ჰოკუტორიკი (მ 2); მიაბიამა (მ 5)-ტოჩინონადა (მ 3); ბარუტო (მ 5)-როჰო (მ 7)



ტოჩინოშინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ექსპერტის აზრი

# შეცდომა სიკვდილის ტოლფასი იქნება



გერმანიის გრანპრის წინ, ფორმულა 1-ის 59-ე სეზონში მიმდინარე მოვლენებს აფასებს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ავსტრიელი ნიკი ლაუდა.

**- ჰემილტონს, მასასა და რაიკონენს თანაბარი ქულები აქვთ, კუბიცა კი, ამ ტრიოს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. თავის დროზე, თქვენც ყოფილხართ ანალოგიურ სიტუაციაში და შესაბამისად, მსგავსი საკითხების ექსპერტად ითვლებით. მომავალ რბოლაში ფავორიტი გყავთ?**

- დიახ, მსგავს სიტუაციაში არა ერთხელ აღმოვჩენილვარ, მაგრამ ისეთი ნერვიული დაძაბულობა, რისი მომსწრენიც დღეს ვართ, ჩემს კარიერაში არასოდეს ყოფილა. ლიდერთა ჯგუფში ერთი შეცდომა - სიკვდილის ტოლფასი იქნება. გარანტიას ვიძლევი - ვინც ამ შეცდომას დაუშვებს, ჩემპიონი ვერ გახდება. დაძაბულობა იზრდება, ნერვიულ ზღვარზე არა მარტო პილოტები, არამედ ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენლებიც არიან.

**- და მაინც, ვინ იქნება ფავორიტი ჰოკენჰაიმზე?**

- "მაკლარენს" ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ მხოლოდ იმის გამო არა, რომ ჰემილტონმა ასე დამაჯერებლად მოიგო ბრიტანეთის გრანპრი. უბრალოდ, "ფერარის" წარმომადგენლები არც ისე კარგად გამოიყურებოდნენ ბოლო ტესტების დროს.

**- როგორია გერმანიის ეტაპზე გამარჯვების თქვენეული რეცეპტი?**

- მთელი დისტანცია სერიოზული შეცდომის გარეშე უნდა გაიარო.

**- რაიმე უცნაური თუ შეამჩნიეთ მსოფლიო ჩემპიონატის წინა ეტაპებზე?**

- გასაკვირია, მაგრამ ყველა პილოტმა დაახლოებით ერთნაირი რაოდენობის შეცდომა დაუშვა, რის გამოც, დღეს ჩვენ გამოკვეთილი ლიდერი არ გვყავს.

**- გერმანულ ტრასებზე არ უმართლებს კიმი რაიკონენს - ხან ავარიის მსხვერპლი ხდება, ხან მანქანა გამოდის მწყობრიდან... მხოლოდ 2006 წელს შეძლო ფინელმა მესამე ადგილის დაკავება. როდის დასრულდება ეს დაწყევლილი სერია?**

- ვფიქრობ, თქვენს მიერ გახმოვანებული ნეგატიური სერია არ იმოქმედებს პილოტის სიმშვიდესა და თვითდამაჯერებლობაზე. მით უმეტეს, რომ ბოლო დროს, კიმი ძალიან სწრაფ წრეებს გადის. ვფიქრობ, მას ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლის კარგი შანსი აქვს.

**- ფორმულა 1-დან ძმები შუმახერების წასვლის მიუხედავად, კვირას სტარტზე ხუთი გერმანელი პილოტი გავა. მათ შორისაა ნიკ ჰაიდფელდი, რომელიც 141 ეტაპია ელის თავის პირველ გამარჯვებას.**

- ის მაღალი დონის ოსტატია. ნიკისთვის ერთადერთ პრობლემას მისი თანაგუნდელი, რობერტ კუბიცა წარმოადგენს. ჯერჯერობით, პოლონელი ყველა პარამეტრით სჯობს გერმანელს.

**- ნიკო როსბერგზე რა აზრის ხართ?**

- ვხედავ, რომ ის ძალიან განიცდის თავის არასტაბილურ შედეგებს. მას უდიდესი ნიჭი აქვს, მაგრამ ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე იმისთვის, რომ ძველ დონეს დაუბრუნდეს.

**- კიდევ ერთ გერმანელს, სებასტიან ფეტელს უკვე უწოდებენ "პატარა შუმახერს". თქვენც თვლით, რომ ის თავის ლეგენდარულ თანამემამულეს ჰგავს?**

- ფეტელი - ამ სეზონის მთავარი სიურპრიზია. პრაქტიკულად, არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ტოლი არაფერში დაუდო გამოცდილ კონკურენტებს. მეტსაც გეტყვით, გერმანელებს შორის, ის ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

**- ტიმო გლოკისა და ადრიან სუტილის შესაძლებლობებზე რას იტყვით?**

- გლოკისთვის უკვე ის არის დიდი პროგრესი, რომ ხანდახან იარნო ტრულიზე სწრაფად დადის. რაც შეეხება სუტილს, რა თქმა უნდა, მასზე დამთრგუნველად მოქმედებს მონაკოს გრანპრის გახსენება. მაშინ, არაფრის გამო, გერმანელის ბოლიდს რაიკონენის "ფერარი" დაეჯახა, რითაც ადრიანმა დამსახურებული მეოთხე ადგილი დაკარგა. სამწუხაროა, რომ ასე მოხდა. სუტილს უჭირს, რადგან საკუთარი თავის დამკვიდრება უწევს ისეთ გამოცდილ პილოტთან ბრძოლაში, როგორიც ჯანკარლო ფიზიკელა გახლავთ.

**- ფორმულას სამყაროში ისევ დაიწყეს საუბარი სენას შესახებ. ოღონდ, ამჯერად საქმე ეხება მის ნათესავს, ბრუნოს, რომელიც ძალიან კარგად გამოიყურება GP2-ის სერიაში. როგორ ფიქრობთ, უმცროსი სენა მზად არის ფორმულა 1-ში გადასასვლელად?**

- წარმოდგენა არ მაქვს. უმჯობესია, ამის შესახებ ჩემს თანამემამულეს, გერჰარდ ბერგერს ჰკითხოთ, რომელიც კარგად იცნობს სენას ოჯახს.

**- არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ ფორმულაში შეჭრას ლამობს ერთი ქალბატონი...**

- მე ამას მხოლოდ მივესალმები. რაც არ უნდა იყოს, დღეს საჭის ტრიალი უფრო იოლი გახდა. რა თქმა უნდა, ჩვენს დროში, როცა ჰიდროგამაძლიერებელი არ არსებობდა, არ ვურჩევდი ქალებს საჭის ხელში აღებას, დღეს კი, ამის ყველანაირი პირობა არსებობს.

### მსოფლიო ჩემპიონატი

**პირადი ჩათვლა:** 1. ჰემილტონი - 48; 2. მასა - 48; 3. რაიკონენი - 48; 4. კუბიცა - 46; 5. ჰაიდფელდი - 36; 6. კოვალაინენი - 24; 7. ტრული - 20; 8. უებერი - 18; 9. ალონსო - 13; 10. ბარიკელო - 11; 11. როსბერგი - 8; 12. ნაკაძიმა - 8; 13. კულტჰარდი - 6; 14. გლოკი - 5; 15. ფეტელი - 5; 16. ბატონი - 3; 17. ბურდე - 2; 18. პიკე - 2.

**კონსტრუქტორთა თასი:** 1. ფერერი - 96; 2. BMW-ზაუბერი - 82; 3. მაკლარენი - 72; 4. ტოიოტა - 25; 5. რედ ბული - 24; 6. უილიამსი - 16; 7. რენო - 15; 8. ჰონდა - 14; 9. ტორო როსო - 7.

კალათბურთი

## ახალი კონტრაქტები

გაზეთი "ბოსტონ ჰერალდის" ინფორმაციით, NBA-ის წლევანდელი ჩემპიონი **ჯეიმს პოუსი**, თავისუფალი აგენტის სტატუსით "ნიუ ორლეან ჰორნეტსში" გადავიდა და ამ გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

"ბოსტონი" თავის კალათბურთელს მხოლოდ საშუალო დონის სამწლიან კონტრაქტს სთავაზობდა, მაგრამ 31 წლის პოუსიმ აღიარა, რომ უკეთესი ფინანსური პირობების მიღება და მომავალ სეზონში ჩემპიონობის შანსის შენარჩუნება სურდა. სწორედ ამიტომ აირჩია მან "ნიუ ორლეანის" ვარიანტი.

გასულ სეზონში, ექსბოსტონელი საშუალოდ 7.4 ქულას, 4.4 მოხსნასა და 1.5 გადაცემას აგროვებდა.

■ ■ ■

"ტორონტო რეპტორზმა" შემადგენლობა მეხუთე ევროპელი ლეგიონერით შეავსო. კანადურმა კლუბმა ხორვატ **როკო უკიჩთან** სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს მცველი 2005 წლის დრაფტზე იყო დაყენებული და "ტორონტომ" ის მეორე რაუნდში აირჩია.

უკიჩი შარშანდელ სეზონში იტალიის "რომაში" თამაშობდა. ევროლიგაზე მან 19 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 11.5 ქულა, 2.4 მოხსნა, 2.8 პასი და 1.1 ჩაჭრა დააგროვა. ხორვატი თამაშიდან ტყორცნების 54.5 პროცენტს იყენებდა.

■ ■ ■

ამასობაში, "რეპტორზი" დატოვა კიდევ ერთმა ლეგიონერმა, ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, **კარლოს დელფინომ**. არგენტინელმა რუსულ "ხიმკიში" ამჯობინა კარიერის გაგრძელება.

დელფინო 2003 წლის დრაფტზე, 23-ე ნომრად აირჩია "დეტროიტმა". სულ NBA-ში 262 მატჩი დაუგროვდა და მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარი 5.8 ქულასა და 3.0 მოხსნას შეადგენდა.

■ ■ ■

"კლივლენდ კავალიერზმა" მცველი **დანიელ გიბსონი** შეინარჩუნა. **ლებრონ ჯეიმსის** გუნდმა თავისუფალ აგენტს ხუთწლიანი კონტრაქტი დაუდო და ასე დააფასა გიბსონის კარგი თამაში გასულ სეზონში.

ამ რეგულარულში, გიბსონმა კარიერის რეკორდი დაამყარა - საშუალოდ 10.4 ქულა დააგროვა. ის მეხუთე ადგილზე გავიდა ლიგაში სამქულიანების გამოყენების პროცენტული რაოდენობით (43.0). კლივლენდელმა "ოლ სტარის" უიქენდზე დებიუტანტებისა და მეორეწლიანების მატჩში მიიღო მონაწილეობა. იმ შეხვედრაში 11 (!) სამქულიანი ჩააგდო და MVP-ის პრიზი დაიმსახურა.

ახალი კონტრაქტის ფინანსური დეტალები უცნობი დარჩა.

■ ■ ■

მას შემდეგ, რაც "გოლდენ სტეიტმა" **ბაირონ დევისი** ("კლიპერსში" გადავიდა) დაკარგა, "მეომრების" ხელმძღვანელები ახალი გამთამაშებლების ძიებაში არიან.

სულ მალე, "გოლდენ სტეიტმა" შეიძლება საინტერესო გაცვლა განახორციელოს "დეტროიტ პისტონზთან". ეს უკანასკნელი თავის ძირითად გამთამაშებელში, **ჩონსი ბილაპსში** "უორიორზის" ლატვიელ ცენტრს, **ანდრის ბიედრინშს** ითხოვს. ამ გაცვლის წინააღმდეგი არც ერთი კლუბი არ არის, უბრალოდ, მოლაპარაკების საგანი ევროპელის კონტრაქტის პირობების შეთანხმებაა.

## მეოთხედფინალისტები გაირკვნენ

**როგორც იცით, ათენში პეკინის თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი მიმდინარეობს, სადაც ოლიმპიადის სამი დარჩენილი საგზური თამაშდება.**

**ჯგუფური ტურნირი დასრულდა და გაირკვა ის რვა გუნდი, რომლებიც მეოთხედფინალში გააგრძელებენ ბრძოლას. ამ ეტაპზე ისინი შემდეგნაირად დაწყვილდნენ: ხორვატია-კანადა, გერმანია-ბრაზილია, საბერძნეთი-ახალი ზელანდია, სლოვენია-პუერტო რიკო.**

**მეოთხედფინალები დღეს გაიმართება.**

# როსბერგი უილიამსიდან გარბის



გერმანელი **ნიკო როსბერგი** არ აპირებს თავისი გეგმების შეცვლას და ძველებურად სურს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. თუ "უილიამსი" ვერ შექმნის ისეთ მანქანას, რომელიც როსბერგს ამ მიზნის მიღწევაში დაეხმარება, პილოტს ახალი გუნდის ძებნა მოუწევს - სწორედ ასეთი მინიშნება გააკეთა ნიკომ გერმანული "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

23 წლის როსბერგი აცხადებს, რომ კონტრაქტის მიხედვით, მან 2009 წლის სეზონიც "უილიამსის" შემადგენლობაში უნდა გაატაროს, მაგრამ თანამედროვე სპორტში კონტრაქტი - ეს კიდევ არ ნიშნავს 100-პროცენტიან გარანტიას. მაგალითად, გასულ წელს, გერმანელით სერიოზულად იყო დაინტერესებული "მაკლარენი", მაგრამ მაშინ ნიკომ "უილიამსში" დარჩენა ამჯობინა.

*"მე კონტრაქტი მაქვს გაფორმებული და ყველაფერი ფრენკ უილიამსზე იქნება დამოკიდებული. გუნდის შეცვლაზე მაშინ დავიწყებ ფიქრს, თუ სერ ფრენკი ჩემს გაშვებას დათანხმდება. ჩემი მთავარი მიზანი - ჩემპიონობაა. თუ ამას "უილიამსის" მანქანით ვერ შევძლებ, სხვა გუნდის მოძებნა მომიწევს, რომელიც ასეთ შესაძლებლობას მომცემს.*

*სეზონის დასაწყისში არც ისე ცუდად გამოვიყურებოდით, მაგრამ ტოპ-გუნდების მიერ, მანქანის მოდერნიზაციის შემოთავაზებული ტემპი ვერ შევინარჩუნეთ. ვიცი, რომ გაისადაც ვერ შევძლებ "უილიამსის" ბოლიდით ტიტულის მოპოვებას, მაგრამ იმედი მაქვს, სერიოზულ პროგრესს მაინც მივაღწევთ. ახალი ტექნიკური რეგლამენტის პირობებში, როცა შემცირებული იქნება მანქანის აეროდინამიკური ეფექტურობა, ყველა საჯინიბოს ,პრაქტიკულად, თავიდან მოუწევს ყველაფრის დაწყება"*, - ამბობს როსბერგი.

"ბილდის" ჟურნალისტმა დააზუსტა: თუ 2009 წელს, "უილიამსი" ვერ შეძლებს პროგრესის მიღწევას, მზად იქნება თუ არა ნიკო გუნდის გამოსაცვლელად. *"შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ასე მოხდება ყველაფერი"*, - უპასუხა გერმანელმა.

ოლიმპიზმი. 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადა

# მიუნხენმა ბრძოლა დაიწყო

გერმანიის ქალაქმა მიუნხენმა, 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად სპეციალური კომიტეტი შექმნა. იმ შემთხვევაში, თუ ბავარიის დედაქალაქს თეთრი თამაშების მასპინძლად აირჩევენ, ოლიმპიადების ისტორიაში მიუნხენი გახდება პირველი ქალაქი, რომელსაც ზაფხულისა და ზამთრის თამაშებისთვის ექნება გაწეული ორგანიზება.

მიუნხენი ზაფხულის ოლიმპიადას 1972 წელს მასპინძლობდა. იმ თამაშების "შავი ლაქა" გახდა პალესტინელი ბოევიკების მიერ, ისრაელის ოლიმპიური ნაკრების 11 წევრის მკვლელობა. მანამდე, გერმანიას ოლიმპიადის მასპინძლობის პატივი 1936 წელს ერგო. თანაც მაშინ, ამ ქვეყანაში ზაფხულის (ბერლინი) და ზამთრის (გარმიშ-პარტენკირხენი) თამაშები ჩატარდა.

თუ მიუნხენი 2018 წლის თამაშების მასპინძლობის უფლებას მიიღებს, შეჯიბრებების ძირითადი ნაწილი ბავარიული ალპების ცნობილ კურორტებზე გაიმართება. გარმიშ-პარტენკირხენი სათხილამურო სტარტებს, ტრამპლინიდან ხტომასა და ფრისტაილს უმასპინძლებს, კენიგზეეში კი, ბობსლეის, სკელეტონისა და ციგაობის სტარტებს ვიხილავთ.

**ნინასაარჩევნო რბოლაში მიუნხენის ყველაზე ძლიერი კონკურენტი, ჩრდილოეთ კორეის ქალაქი პიონჩანგი იქნება, რომელიც ზედიზედ მესამედ აპირებს თავისი კანდიდატურის წამოყენებას.** ადრე, მან კანადის ვანკუვერთან (2010 წელი) და რუსეთის სოჭთან (2014) წააგო არჩევნები. ამ ორი ქალაქის გარდა, 2018 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის იბრძოლებენ - ნორვეგიული ტრომსიო, ფრანგული გრენობლი, შვეიცარიული ჟენევა და სავარაუდოდ, ერთი ამერიკული ქალაქი.

2018 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძელი 2011 წელს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე გაირკვევა.

**გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა. პეკინი 2008

# პისტორიუსმა პეკინის საგზური ვერ მოიპოვა

სამხრეთაფრიკელმა სპრინტერმა, **ოსკარ პისტორიუსმა** ვერ შეძლო ოლიმპიური ნორმატივის შესრულება, რის გამოც, 400 მეტრზე სპრინტში ის პეკინის ოლიმპიადაზე ერთეულებში ვერ იასპარეზებს, თუმცა იმის შანსი, რომ 4x400 მეტრზე ესტაფეტაში ვიხილოთ, ჯერაც დიდია.

ლუცერნში (შვეიცარია) გამართულ ტურნირ "შპიტცენ ლაიხტათლეტიკზე" ასპარეზობისას, პისტორიუსმა 400 მეტრი 46.25 წამში გაირბინა, ოლიმპიური ნორმა კი 45.55 წამია. მართალია, მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მორბენალი თავისი გამოსვლით მაინც კმაყოფილი დარჩა.

*"სეზონის დასაწყისშივე ვთქვი, რომ იმითაც ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ჩემს პირად შედეგებს გავაუმჯობესებდი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოვიპოვებდი თუ არა პეკინში ასპარეზობის უფლებას. აქ გამოსვლის შემდეგ კი შემიძლია განვაცხადო, რომ მიზანი მიღწეულია. ყოველ მომდევნო ტურნირზე სულ უფრო უკეთესი შედეგი მაქვს და მეტი დრო რომ მქონოდა, პეკინის საგზურსაც დავეუფლებოდი"*, - ამბობს პისტორიუსი, ვისაც ორივე ფეხი ბავშვობიდან ამპუტირებული (თანდაყოლილი დეფექტების გამო) აქვს და სპეციალური პროთეზების მეშვეობით დარბის.

სწორედ ეს პროთეზია იმის მიზეზი, რომ მორბენალმა ოლიმპიური ნორმატივის შესასრულებლად ზრუნვა დაგვიანებით დაიწყო. საქმე ისაა, რომ მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ მას ჯანმრთელ სპორტსმენებთან ასპარეზობა აუკრძალა. კომპოზიციური მასალებით დამზადებული პროთეზი მას უპირატესობად ჩაუთვალეს. მაგრამ მოგვიანებით, ეს გადაწყვეტილება სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლომ გააუქმა და პისტორიუსსაც პეკინის საგზურისთვის პაექრობის უფლება მიეცა.




ახლა კი პისტორიუსი იმედოვნებს, რომ ესტაფეტის გუნდში მაინც მოხვდება. ამის საფუძველს კი მას ის ფაქტი აძლევს, რომ სამხრეთ აფრიკაში, 400 მეტრზე მასზე სწრაფად მხოლოდ ორი სპრინტერი დარბის.

*"პეკინში ინდივიდუალურ სპრინტში გამოსვლის დაბალი შანსი თავიდანვე მქონდა. ამის მიზეზი თუნდაც ის ფაქტია, რომ რეალურად, პეკინისთვის მზადება ცხრა კვირის წინ დავიწყე. ეს მაშინ, როდესაც სხვები ამისთვის ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონიდან ემზადებიან. ახლა კი სამხრეთ აფრიკის მძლეოსნობის ფედერაციაზეა დამოკიდებული, შემიყვანენ თუ არა ესტაფეტის გუნდში. არადა, საკმარისი ვარჯიშის შემთხვევაში, ოლიმპიურ ნორმატივსაც შევასრულებდი"*, - დასძენს პისტორიუსი.

არაა გამორიცხული, რომ უფეხო სპრინტერმა საარბიტრაჟო სასამართლოში, მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის წინააღმდეგ კიდევ ერთი სარჩელი შეიტანოს. საქმე ისაა, რომ ასოციაციის რამდენიმე მაღალჩინოსანს ნათქვამი აქვს, რომ ესტაფეტაში პისტორიუსის ასპარეზობამ შესაძლოა, სხვა სპორტსმენების ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას. პისტორიუსი ეჭვობს, რომ ამგვარი განცხადებები იმის მანიშნებელია, რომ ასოციაციას პეკინში მისი გაშვება არ სურს და ხელოვნურად ქმნის პრობლემებს.

*"პეკინში მისი წაყვანის საკითხი მხოლოდ სამხრეთ აფრიკის ფედერაციის გადასაწყვეტია, თუმცა ჩვენ გვირჩევნია, რომ ოსკარი პეკინში არ გამოვიდეს. ამის მიზეზი კი სპორტსმენთა უსაფრთხოებაა. ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ სარბენ ბილიკზე მისი ყოველი გამოსვლისას, პროთეზები ვუმოწმოთ"*, - ამბობს ასოციაციის გენერალური მდივანი **პიერ ვაისი**. მისი აზრით, თუ პისტორიუსს ესტაფეტაში ასპარეზობის უფლება მაინც მიეცემა, მაშინ უმჯობესი იქნება, თუ ის ესტაფეტის პირველ საფეხურზე გამოვა, რათა ამით ყოველგვარი რისკი შემცირდეს — როგორც წესი, ესტაფეტებზე მორბენლები ერთმანეთს დასკვნით ეტაპზე, ამანათის გადაცემისას ეჯახებიან ხოლმე.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# რიკო დოპინგზე გამოიჭირეს

გუშინ, ტურ დე ფრანსზე მთავარი სალაპარაკო თემა ისევ დოპინგი იყო. ამჯერად იმის გამო, რომ ტესტმა აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინა იტალიელ **რიკარდო რიკოს**, ვინც ამ სეზონში ჯიროზე მეორე ადგილი დაიკავა, ფრანგულ ტურზე კი ორი ეტაპის მოგება მოასწრო და იქადნიდა, მესამესაც მოვიგებო.

მაგრამ არ დასცალდა. რბოლის ორგანიზატორებმა გუშინდელი ეტაპის დაწყებამდე გამოაცხადეს, რომ რიკო პრეპარატ ერითროპოიეტინის (EPO) გამოყენებაზე ჩავარდა. ამ ამბის გახმაურებისთანავე, რბოლიდან მოეხსნა რიკოს გუნდი "სონიე დუვალი", რომელსაც მიმდინარე ტურზე ყველაზე კარგი შედეგები ჰქონდა.

*"ასპარეზობიდან მოხსნა ჩვენი გადაწყვეტილებაა და ის არავის მიერ არაა ნაკარნახევი. უფრო მეტიც, გუნდის ფუნქციონირება მანამ არ განახლდება, სანამ გავერკვევით, თუ რა მოხდა"*, - განაცხადა "სონიე დუვალის" სპორტულმა დირექტორმა **მაჩინ ფერნანდესმა**.

ამგვარად, 24 წლის რიკო მესამე ველომრბოლია, ვინც მიმდინარე ტურზე დოპინგტესტი ჩააგდო. მანამდე ასევე ერითროპოიეტინზე ორი ესპანელი ველომრბოლი — **მანუელ ბელტრანი** და **მოისეს დუენას ნევადო** ჩავარდა.

რიკო, ვინც რბოლის ლიდერ **კეიდელ ევანსს** ორი წუთითა და 29 წამით ჩამორჩებოდა და კლასიფიკაციაში მეცხრე ადგილი ეკავა, დოპინგის გამოყენებაში მეოთხე ეტაპის შემდგომ ჩატარებულმა შემოწმებამ გამოიჭირა.

იტალიის ეროვნული გუნდის ტექნიკური დირექტორი **ფრანკო ბალერინი** ამბობს, რომ რიკოს დოპინგ-პრობლემები ახალგაზრდობაშიც ჰქონდა, თუმცა მაშინ გამოკვლევამ დაადგინა, რომ მის სისხლში წითელი ბურთულების ჭარბი შემცველობა ველომრბოლის ფიზიოლოგიური თავისებურების შედეგი ყოფილა.

რაც შეეხება გუშინდელ ეტაპს, ის ბრიტანელი **მარკ კავენდიშის** გამარჯვებით დასრულდა, ვისთვისაც ეს მიმდინარე ტურზე მოგებული მესამე ეტაპია. საფინიშო სპურტში მან იოლად აჯობა ფრანგ **სებასტიან შავანელს** და ბელგიელ **გერტ სტეეგმანსს**.

ეტაპის დასაწყისში ორმა ფრანგმა ველომრბოლმა შეძლო პელოტონის ჩამოტოვება, მაგრამ ფინიშამდე ათი კილომეტრი რომ რჩებოდა, ძირითადი ჯგუფი მათ დაეწია, რის შემდეგაც, სპრინტერების გუნდებს შორის პოზიციური ბრძოლა გაჩაღდა. კავენდიშმა, ვინც ეტაპის დასაწყისში დაეცა, ფინიშამდე 150 მეტრით ადრე შეუტია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მიმდინარე ტურზე სპრინტში ბადალი არ მოეპოვება.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

მე-12 ეტაპი.
ლაველანედან ნარბონამდე (168.5 კმ)

1. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, კოლუმბია) 3:40.52 (45.77 კმ/სთ); 2. სებასტიან შავანელი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) იგივე დროში; 3. გერტ სტეეგმანსი (ბელგია, ქვიკ სტეპი); 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 5. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი); 6. ფრანჩესკო კიკი (იტალია, ლიკვიგაზი); 7. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი); 8. ლეონარდო დუკე (კოლუმბია, კოფიდისი); 9. ჯულიან დინი (ახ.ზელანდია, გარმინ-ჩიპოტლე); 10. ჰაინრიხ ჰაუსლერი (გერმანია, გეროლშტაინერი) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია 12 ეტაპის შემდეგ

1. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 50:23.05; 2. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.01; 3. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 0.38; 4. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 0.46; 5. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.57; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 1.28; 7. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, კოლუმბია) 1.56; 8. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R ლა მონდიალი) 2.32; 9. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 3.51; 10. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, ლიკვიგაზი) 4.18...




დოპინგზე გამოჭერამდე რიკომ ორი ეტაპის მოგება მოასწრო

## TV სპორტი

### 18 ივლისი. პარასკევი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ-ენდის მატჩების ანონსი.
12:25 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
14:10 ევრო 2008. ფინალი. შვეიცარია-თურქეთი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
18:00 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:00 სასტვენი.
20:30 საფეხბურთო კლუბი.
21:25 FUTBOL MUNDIAL - საფეხბურთო ჟურნალი.
22:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:15 ევრო 2008. ფინალი. ხორვატია-გერმანია.
00:15 საფეხბურთო კლუბი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
09:15 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-დეტროიტი.
11:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ჰამბურგი.
12:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-ლაციო.
14:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. შვედეთი.
16:30 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი (LIVE).
18:10 მძლეოსნობა. Lagerdere Athletics Tour. საფრანგეთი.
20:00 სპორტკლუბი.
20:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. უმაგი. ხორვატია (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. უმაგი. ხორვატია (LIVE).
01:00 კრივი. რინგ-საიდი.
02:05 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-დეტროიტი.
03:50 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
04:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ჰამბურგი.
06:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-ლაციო.

#### EUROSPORT

10:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XII ტური.
11:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-უნგრეთი. ჩეხეთი.
12:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ბულგარეთი. ჩეხეთი.
13:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-სენეგალი. მექსიკა.
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი).
16:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ტური (LIVE).
19:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საემიროები-კამერუნი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
21:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ბრაზილია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 პოკერი.
23:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ტური.
01:00 ექსტრემალური სპორტი.
01:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. პოლონდია.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ტური.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-სალვადორი. მარსელი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-სენეგალი. მარსელი. საფრანგეთი.
16:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-არგენტინა. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
18:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-იაპონია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
19:45 ახალი ამბები.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ინდიანაპოლისი. აშშ (LIVE).
00:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საემიროები-კამერუნი. მარსელი. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
01:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. VI ტური. ფინეთი-ესპანეთი.
02:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ევროპის ჩემპიონატი. Under 19 | |
|---|---|
| ჩეხეთი-საბერძნეთი | 0:0 |
| ესპანეთი-უნგრეთი | 0:1 |
| ინგლისი-იტალია | 0:0 |
| გერმანია-ბულგარეთი | 3:0 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ფალკირკი-ჰარტლპული | 0:0 |
| ბრნო-ლევსკი | 0:1 |
| იაბლონეცი-კოტბუსი | 0:3 |
| ბირმინგემი-პლზენი | 3:1 |
| ფორტუნა-ვერდერი | 1:3 |
| პანათინაიკოსი-ზანიკი | 2:0 |
| კლუჟი-მოზერველი | 2:1 |
| ტელსტარი-უენდსი | 0:3 |
| ბირუიკი-ჰემილტონი | 2:3 |
| ალდერშოტი-კრ. პალასი | 3:4 |
| პორტ ტელბოტი-სუონსი | 0:0 |

| ფინეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| კემი-ტპ47 | 1:0 |

| იაპონია | |
|---|---|
| ივატა-ნაგოია | 2:1 |
| კაშივა-ომიია | 1:0 |
| კავასაკი-შიმიცუ | 2:1 |
| ურავა-ვერდი | 3:2 |

### პლაჟის ფეხბურთი

| მსოფლიო ჩემპიონატი | |
|---|---|
| იტალია-სოლომონის კ-ები | 4:1 |
| ურუგვაი-ირანი | 6:1 |
| პორტუგალია-სალვადორი | 8:2 |
| საფრანგეთი-სენეგალი | 5:5 |

### ჩოგბურთი

| ATP. ამერსფორტი | |
|---|---|
| აკასუსო-როჟე ვასელენი | 6:3, 6:4 |
| მონტანიესი-კუევასი | 6:4, 6:4 |
| გრანოლერსი-ნავარო პასტორი | 6:4, 6:4 |
| ერნანდესი-ჰუტა გალუნგი | 6:3, 6:2 |

| ATP. ინდიანაპოლისი | |
|---|---|
| რეინოლდსი-ფალა | 6:1, 6:1 |
| ლუ-რამი | 6:1, 7:6 |

| ATP. კიტცბუელი | |
|---|---|
| მელცერი-მაიერი | 6:4, 6:2 |

| ATP. უმაგი | |
|---|---|
| კანიასი-პაშანსკი | 6:7, 6:3, 7:5 |
| კარლოვიჩი-მ. გონსალესი | 6:3, 3:6, 4:6 |

| WTA. ბად გაშტაინი | |
|---|---|
| დე ლოს რიოსი-მაირი | 3:6, 3:6 |

| WTA. სტენფორდი | |
|---|---|
| ბამერი-ვოზნიაჩკი | 4:6, 5:7 |
| შნიდერი-კლეიბანოვა | 7:6, 6:4 |

### უეფას თასი

| I საკვ. ეტაპი. I მატჩები | |
|---|---|
| შახტიორი (ყაზახეთი)-დებრეცენი (უნგრეთი) | 1:1 |
| არარატი (სომხეთი)-ბელინცონა (შვეიცარია) | 0:1 |
| მტზ-რიპო (ბელარუსი)-ჟილინა (სლოვაკეთი) | 2:2 |
| ოლიმპსი (ლატვია)-სტ. პატსი (ირლანდია) | 0:1 |
| ტობოლი (ყაზახეთი)-აუსტრია (ავსტრია) | 1:0 |
| ჰონკა (ფინეთი)-აკრანესი (ისლანდია) | 3:0 |
| ტვმკ (ესტონეთი)-ნორდსილანდი (დანია) | 0:3 |
| ჰაპოელი (ქ-შ, ისრაელი)-მოგრენი (ჩერნოგორია) | 1:1 |
| ჰაპოელი (თ-ა, ისრაელი)-იუვენესი (სან მარინო) | 3:0 |
| ხაზარი (აზერბაიჯანი)-ლეხი (პოლონეთი) | 0:1 |
| პელისტერი (მაკედონია)-აპოელ (კვიპროსი) | 0:0 |
| სუდუვა (ლიტვა)-ნიუ საინტსი (უელსი) | 1:0 |
| ვეტრა (ლიტვა)-ვიკინგი (ნორვეგია) | 1:0 |
| ვოივოდინა (სერბეთი)-ოლიმპიკი (აზერბაიჯანი) | 1:0 |
| დაჩა (მოლდოვა)-ბორაცი (სერბეთი) | 1:1 |
| იურგორდენი (შვედეთი)-ფლორა (ესტონეთი) | 0:0 |
| ომონია (კვიპროსი)-მილანო (მაკედონია) | 2:0 |
| ჩერნო მორე (ბულგარეთი)-სანტ ჯულია (ანდორა) | 4:0 |
| უნიონი (ლუქსემბურგი)-კალმარი (შვედეთი) | 0:3 |
| ბრონდბიუ (დანია)-ბ36 ტორსჰაუნი(ფარერები) | 1:0 |
| სტეიმური (ფარერები)-მანჩესტერ სიტი (ინგლისი) | 0:2 |
| მარსაქსლოკი (მალტა)-სლავენი (ხორვატია) | 0:4 |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი)-ზრინსკი (ბოსნია) | 1:2 |
| ჰერტა (გერმანია)-ნისტრუ (მოლდოვა) | 8:1 |
| შიროკი ბრიეგი (ბოსნია)-პარტიზანი (ალბანეთი) | 0:0 |
| ბანგორი (უელსი)-მიდტიულანდი (დანია) | 1:6 |
| კოპერი (სლოვენია)-ვლაზნია (ალბანეთი) | 1:2 |
| ზალცბურგი (ავსტრია)-ბანანცი (სომხეთი) | 7:0 |
| ზეტა (ჩერნოგორია)-ლუბლიანა (სლოვენია) | 1:1 |
| კლიფტონვილი (ჩრ. ირლანდია)-კოპენჰაგენი (დანია) | 0:4 |
| კორკი (ირლანდია)-ჰაკა (ფინეთი) | 2:2 |
| გლენტორანი (ჩრ. ირლანდია)-მეტალურგსი (ლატვია) | 1:1 |
| ლეგია (პოლონეთი)-გომელი (ბელარუსი) | 0:0 |
| ჰაიდუკი (ხორვატია)-ბირკირკარა (მალტა) | 4:0 |
| ჰაფნარი (ისლანდია)-გრევენმახერი (ლუქსემბურგი) | 3:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# არც ცონგა, არც პირსი



ცვლილებები მოხდა პეკინის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირის ძირითად ბადეში. ტრავმების გამო, ჩინეთში ვერ მიემგზავრებიან ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, ავსტრიელი **შტეფან კუბეკი** და იტალიელი **კარინ კნაპი**.

ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ფინალისტი ჯერაც ტრავმირებულია და თავის ნაკრებს ამის გამო ვერ დაეხმარება. *"ცონგას ჯერ არ დაუმთავრებია მარჯვენა მუხლის ტრავმის სარეაბილიტაციო კურსი და ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ, მისი შინ დატოვება გადავწყვიტეთ"*, - განაცხადა საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ცონგას პეკინში მისივე თანამემამულე **მიშელ ლოდრა** შეცვლის.

ავსტრიელ **შტეფან კუბეკს** ზურგის ტრავმა აწუხებს. მის ადგილს მამაკაცთა ტურნირის ძირითად ბადეში ავსტრალიელი **კრის გუჩიონე** დაიკავებს. რაც შეეხება იტალიელ ქალ ჩოგბურთელ **კარინ კნაპს**, მის ნაცვლად პეკინში ასევე იტალიელი **მარა სანტენჯელო** გაემგზავრება.

■ ■ ■

ჯერ ოფიციალურად დამტკიცებული არ არის, მაგრამ ქალთა ბადეში კიდევ ერთი ცვლილება მოხდება.

ფედერაციის თასზე საფრანგეთის ქალთა ნაკრების კაპიტანმა **ჟორჟ გოვენმა** გამოაცხადა, რომ **მარი პირსს** ოლიმპიადის გამოტოვება მოუწევს. მუხლის დაზიანების გამო, ვეტერანს 2006 წლის შემდეგ არ უთამაშია WTA-ს ტურში და როგორც ჩანს, ეს ტრავმა არც ამჯერად მისცემს მას კორტზე გასვლის საშუალებას.

შესაძლოა, პირსის ადგილი მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, **ამელი მორესმომ** დაიკავოს, რომელიც აქამდე უარს აცხადებდა პეკინში გამგზავრებაზე. თუ ეს არ მოხდა, პირსის შეცვლა კიდევ ერთ ფრანგს, **პოლინ პარმენტიეს** მოუწევს.

# განდეგილი

როლან გაროსზე და უიმბლდონზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, **მარია შარაპოვას** სერიოზულად აქვს განზრახული პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვება და ამ გზით, ბოლო დროს შელახული პრესტიჟის აღდგენა.

მარია ჩინეთში ოლიმპიადის დაწყებამდე სამი დღით ადრე აპირებს ჩასვლას. ოღონდ, ის კატეგორიულად გამორიცხავს ოლიმპიურ სოფელში ცხოვრებას და 5-ვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდება. შარაპოვასთან ერთად, პეკინში ჩავლენ მისი ამერიკელი მწვრთნელი **მაიკლ ჯოისი**, მამა **იური შარაპოვი** და აგენტი **მაქს აიზენბადი**. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი თავისი გუნდისთვის ორი მანქანის მიმაგრებას ითხოვს. როგორც ჩანს, შარაპოვა პეკინის თამაშებს WTA-ს ჩვეულებრივ ტურნირად აღიქვამს და ოლიმპიადის გამო თავისი ჩვევების შეცვლას არ აპირებს.

*"თუ მარიას ცალკე ცხოვრება სურს, პრობლემა არ იქნება. შევეცდებით, მისი ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ. ტურინის ზამთრის თამაშების წინ, ანალოგიური თხოვნით მოციგურავე ევგენი პლიუშჩენკომ მოგვმართა. ჩვენ მას ცალკე ბინა დავუქირავეთ. ერთხელ, პლიუშჩენკომ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ოლიმპიურ სოფელში შემოიარა და ისე მოეწონა იქაური ატმოსფერო, რომ თანაგუნდელებთან დარჩენა გადაწყვიტა. დაქირავებულ სახლზე უარის თქმა მოგვიწია. პლიუშჩენკომ ის ოლიმპიადა მოიგო. მისთვის ხელი არ შეუშლია ოლიმპიური სოფლის ხმაურს"*, - აცხადებს რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი.



შარაპოვა ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელმაც ოლიმპიური სოფლის მიღმა ცხოვრება გადაწყვიტა. დანარჩენი ვარსკვლავები, **ფედერერის**, **ნადალისა** და **ჯოკოვიჩის** ჩათვლით, სხვა ოლიმპიელების გვერდით აპირებენ ორი კვირის გატარებას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# ფედერერი ჰოკეის ითამაშებს



21 ივლისს, ტორონტოში ATP-ის მორიგი მასტერსი იწყება, მანამდე კი, კანადის ამ ქალაქში საინტერესო საქველმოქმედო მატჩი გაიმართება. 20 ივლისს, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მამაკაცთა ჩოგბურთისა და ჰოკეის ეროვნული ლიგის ვარსკვლავები. ისინი ერთმანეთს ბურთის ჰოკეიში შეეჯიბრებიან.

ამ შეხვედრიდან შემოსული თანხა, კანადაში ჩოგბურთის აღორძინების საქმეს მოხმარდება. ჩოგბურთელების მხრიდან, ჰოკეის სათამაშოდ ემზადებიან შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, ხორვატი **ივან ლუბიჩიჩი**, კანადელი **ფრანკ დანჩევიჩი** და სხვები. NHL-ის ვარსკვლავებიდან კი, კანადური ჩოგბურთისთვის დახმარების გაწევის სურვილი გამოთქვეს - ლიგის საუკეთესო მეკარემ **მარტინ ბროდომ**, **დარსი ტაკერმა**, **ტაი დომიმ**, **ჯეისონ სპეცამ** და წლევანდელი სტენლის თასის მფლობელმა **კრის დრეიპერმა**.

# ანას ახალი ფოტოსესია

## SPORTS ILLUSTRATED 2008



